



ელდარ ისმაილოვი
ვლადიმერ (ლადო) კაკაბაძე

ცენტრალური ევრაზია

ახლებური
გეოკოლოგიური
გააზრება



ელდარ ისმაილოვი
ვლადიმერ (ლადო) პაპავა

ცენტრალური ევრაზია

ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი 2012

ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა. ცენტრალური ევრაზია: ახლებური გეოპოლიტიკური გააზრება. თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2012. გვ. 188

მონოგრაფია ეძღვნება ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური პრობლემების გამოკვლევას. ავტორებმა მოცემული რეგიონისადმი პრინციპულად ახალი გეოპოლიტიკური მიდგომა შემოგვთავაზეს, რაც ფართოდ გავრცელებული იმპერიული დოქტრინებისაგან ძირეულად განსხვავდება. ევრაზიის გეოგრაფიული საფუძვლებისა და ამ კონტინენტის გეოპოლიტიკური თავისებურებების გათვალისწინებით, ცენტრალური ევრაზია განისაზღვრება როგორც ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის და მათი დამაკავშირებელი რეგიონის – ცენტრალური კავკასიის ერთიანობა. ამავე დროს ცენტრალური კავკასიისა და ცენტრალური აზიის ერთიანობა განისაზღვრება როგორც „ცენტრალური კავკასია“. გეოპოლიტიკის ასეთი გააზრების საფუძველზე წიგნი მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, ახლებურად შეხედოს „ძველ“ პრობლემებს.

წიგნი გათვალისწინებულია მეცნიერების, მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის, აგრეთვე ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური პრობლემებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

მთარგმნელი ნანა კაციტაძე

საავტორო უფლებები დაცულია.

თუ ავტორების წერილობითი ნებართვა არ არსებობს, წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური ფორმით, ქსეროკოპირების, ინფორმაციის შენახვისა და მოძიების ელექტრონული სისტემებით.

ISBN 978-9941-440-28-1 © ელდარ ისმაილოვი, ვლადიმერ (ლადო) პაპავა
© გამომცემლობა „ინტელექტი“

სარჩევი

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის	5
შესავალი	9
თავი 1. ევრაზია და ცენტრალური ევრაზია:	
ანალიზის ამოსავალი ნანამკვრები	
§1.1. ევრაზიისა და ცენტრალური ევრაზიის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური კონტურები	13
§1.2. ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია	20
თავი 2. ევრაზიიზმი და „ცენტრალური კავკასიის“ კონცეფცია	
§2.1. რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობის თანამედროვე მდგომარეობა	27
§2.2. ცენტრალური კავკასია: ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი	52
§2.3. ცენტრალური აზია და დიდი ცენტრალური აზია: ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი	71
§2.4. „ცენტრალური კავკასია“ – ახალი გეოპოლიტიკური კონცეფცია	81
თავი 3. „პართლანდის“ თეორია და ცენტრალური ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური სტრუქტურა	
§3.1. პლანეტის „ღერძული რეგიონი“ მაკინდერის თეორიაში	95
§3.2. „ღერძული რეგიონის“ – ცენტრალური ევრაზიის ისტორიული ევოლუცია	103

§3.3. „ღერძული რეგიონის“ არსი, ფუნქციები და ჩამოყალიბების პრინციპები XXI საუკუნეში.....	121
§3.4. ცენტრალური ევრაზიის ახალი გეოპოლიტიკური ატრუქტურა.....	122
დასკვნა.....	131
გამოყენებული ლიტერატურა.....	138

წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის

წინამდებარე წიგნში ასახულ საკითხებზე მუშაობას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ჯერ კიდევ 2007 წლის დასაწყისში შევუდექით. ეს ის დრო იყო, როცა ახალი დასრულებული გვექონდა მუშაობა ერთობლივ წიგნზე ცენტრალური კავკასიის შესახებ (ისმაილოვი და პაპავა, 2007; Ismailov and Papava, 2006, 2008b; Исмаилов и Папавა, 2006). დამოუკიდებლად გამოვეცით პირველი სტატიები (Исмаилов, 2007; Папавა, 2007b), რამაც დაგვანახა, რომ ცენტრალური ევრაზიის ახლებური გეოპოლიტიკური გააზრების საკითხში ჩვენი ხედვა არსებითად დაემთხვა, ხოლო ის, რაც განსხვავებული იყო, შეხედულებათა ურთიერთშევესებას უწყობდა ხელს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც ჩვენ უკვე გვექონდა საერთო შეხედულებები ცენტრალური კავკასიის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ საკითხებზე, და, მეორეც, შესწავლის ერთსა და იმავე ობიექტს – ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკურ პრობლემებს, ელდარ ისმაილოვი იკვლევდა დასავლური (მაკინდერის „პართლენდისა“ და სპაიკმენის „რიმლენდის“ თეორიების), ხოლო მე – რუსული (ევრაზიიზმის) გეოპოლიტიკური სკოლების ძირითადი მიმართულებების საფუძველზე.

ყოველივე ამან გადაგვანყვეტინა, გავვერთიანებინა ჩვენი კვლევის შედეგები და ერთ მონოგრაფიად ჩამოგვეყალიბებინა. ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯი იყო შესაბამისი პროფილის ურნალის ერთ ნომერში ჩვენი სტატიების ერთად გამოცემა (Исмаилов, 2008; Папавა, 2008b), რაც, ჩვენი აზრით, მკითხველს გაუადვილებდა ჩვენი პოზიციების უკეთ გაგებას. შედეგმაც არ დააყოვნა და მალე ჩვენი კვლევის შედეგებს გამოეხმაურა ინდოელი მეცნიერი ანიტა სენგუფთა, რომელმაც თავის წიგნში პოზიტიურად შეაფასა ჩვენი ხსენებული პუბლიკაციები (Sengupta, 2009, pp. 66, 69).

ერთობლივი მუშაობა დაგვირგვინდა ინგლისურ და რუსულ ენებზე მონოგრაფიის გამოცემით (Ismailov and Papava, 2010; Исмаилов и Папава, 2010). ამ პუბლიკაციების შემდეგ ბუნებრივად დაისვა საკითხი, რომ ხსენებული მონოგრაფია თარგმნილიყო ჩვენს მშობლიურ, შესაბამის, – აზერბაიჯანულ და ქართულ ენებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი მონოგრაფიის ჩემი ნაწილი ქართულ ენაზე გამოვიდა ცალკე დამოუკიდებელი მონოგრაფიის სახით (პაპავა, 2009), რომელსაც მოჰყვა დადებითი გამოხმაურება (ჩხეიძე, 2010), და რომელიც პრაქტიკულად სრულადაა შესული წინამდებარე გამოცემაში. მასში ასევე ასახულია მოცემული პრობლემის გარშემო ჩემი სხვა პუბლიკაციებიც (Papava, 2008b, 2009a, 2010a). შედეგად წინამდებარე წიგნი არ არის მისი ინგლისური და რუსული წინამორბედების აბსოლუტურად იდენტური თარგმანი.

როგორც უცხოურ ენებზე, ისე ქართულად მოცემული წიგნის გამოცემა დროში ემთხვევა მოსკოვის მიერ მოდიფიცირებული საბჭოთა კავშირის – *ევრაზიული კავშირის* აღდგენის პროცესს.

პირველად იდეა *ევრაზიული კავშირის* შექმნის შესახებ XX საუკუნის 20-30-იან წლებში გააჟღერეს *ევრაზიიზმის* ფუძემდებლებმა ნიკოლაი ტრუბეცკოიმ, პეტრე სავიციკიმ და სხვ. მათი შეხედულებით, საბჭოთა კავშირი თანდათან უნდა გარდაქმნილიყო *ევრაზიულ კავშირში*, რაც უნდა მომხდარიყო კომუნისტური იდეოლოგიის *ევრაზიისტული* იდეოლოგიით ჩანაცვლების გზით. საბჭოთა კავშირის დაშლის წინ *ევროპისა და აზიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის*, ანუ *ევროპულ-აზიური კავშირის* შექმნის დეტალური პროექტი შემუშავებულ იქნა ცნობილი რუსი უფლებადამცველისა და ფიზიკოსის, ანდრეი სახაროვის მიერ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დეტალური პროექტი *ევრაზიული კავშირის* შექმნის შესახებ შემუშავებულ იქნა 1994 წელს ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მიერ, რომლის თანახმადაც თავიდან ამ კავშირს შექმნიდა ხუთი ყო-

ფილი საბჭოთა რესპუბლიკა: რუსეთი, ყაზახეთი, ბელორუსია, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. მოგვიანებით მათ შუერთდებოდნენ სომხეთი და უზბეკეთი. არ იყო გამორიცხული ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეგიონების მიერთებაც.

ევრაზიული კავშირის შექმნის იდეის რეალური ხორცშესხმა დაიწყო 2010 წლის დეკემბერში ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის სამიტზე, სადაც გადაწყდა საბაჟო კავშირის შექმნის საკითხი, რომელშიც გაერთიანდნენ რუსეთი, ყაზახეთი და ბელორუსია. 2011 წლის ოქტომბერში საბაჟო კავშირის ყირგიზეთიც შეუერთდა.

2011 წლის შემოდგომაზე ევრაზიული კავშირის შექმნის იდეას ახალი ბიძგი მისცა რუსეთის პრემიერ-მინისტრის, ვლადიმერ პუტინისა (Путин, 2011) და ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის (Назарбаев, 2011) პროგრამული ხასიათის წერილებმა. ევრაზიული კავშირის შექმნის მიზანშეწონილობასა და აუცილებლობაზე გაჩნდა ფსევდომეცნიერ-აპოლოგეტთა პუბლიკაციებიც, თუმცა ისინიც კი ვერ ხუჭავენ თვალს ასეთი „კავშირის“ შექმნის რეალურ სირთულეებზე (მაგალითად, Гринберг, 2011). იმპერიული აზროვნების ნიმუშად უნდა ჩაითვალოს ვლადიმერ პუტინის რუსეთის შიგასახელმწიფოებრივი მოწყობის ხედვაც (Путин, 2012), რომელიც, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ისევ და ისევ ევრაზიიზმის ამოსავალ დებულებებს ეფუძნება.

2011 წლის 18 ნოემბერს რუსეთის, ყაზახეთისა და ბელორუსიის ხელმძღვანელებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას ევრაზიული კავშირის შექმნის შესახებ. ამ დეკლარაციით გაცხადებულია პირველი ზესახელმწიფოებრივი ინსტიტუტის – ევრაზიული კომისიის შექმნა, რომელსაც დაევალა ევრაზიული კავშირის ინსტიტუტების ჩამოყალიბება. პრაქტიკულად საუბარია სახელმწიფოთა კონფედერაციული კავშირის დაარსებაზე. ვლადიმერ პუტინის დაპირების თანახმად, ევრაზიული კავშირი მუშაობას 2013 წელს დაიწყებს (ИТАР-ТАСС, 2011).

ევრაზიული კავშირის შექმნის მიმართულებით გატარებულ და გასატარებელ ღონისძიებათა გააქტიურება განსაკუთრებით აქტუალურს ხდის ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური გააზრების საკითხს. ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება წინამდებარე მონოგრაფია, რომელიც საშუალებას მისცემს მას, უკეთ გაერკვეს ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის თანამედროვე იმპერიალისტურ თეორიებში.

ვლადიმერ (ლადო) პაპავა

15 იანვარი, 2012 წელი

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (მაგალითად, Sebestyen, 2009; Service, 2009, pp. 467-507) დაიწყო ახალი ისტორიული ეპოქა – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება და გეოპოლიტიკური არეალების წარმოქმნა, რომლებიც ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას აერთიანებს. ამ არეალებს თავისი გეოგრაფიული კონტურები ჯერ კიდევ ყოფილი საბჭოთა კავშირის ფარგლებში ჰქონდა, რაც განმტკიცებული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მონყობის საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიკური დარაიონებით (მაგალითად, Hirsch, 2005, pp. 145-186). ამგვარად, ლატვიას, ლიტვასა და ესტონეთს, ერთად აღებულს, ბალტიისპირეთი ეწოდებოდა, აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს – ამიერკავკასია, ხოლო თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და ყირგიზეთს – შუა აზია. შესაბამისად შექმნილი იყო ბალტიისპირეთის, ამიერკავკასიისა და შუა აზიის ეკონომიკური რაიონები. ზოგჯერ შუა აზიის შემადგენლობაში შედიოდა ყაზახეთიც, თუმცა ყაზახეთის ეკონომიკური რაიონი (იმის გამო, რომ შედარებით დიდ ტერიტორიას მოიცავს) შუა აზიის ეკონომიკური რაიონისგან ცალკე განიხილებოდა.

ბუნებრივია, რომ ამ სახელმწიფოთა მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ამ, უკვე დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური არეალების სახელწოდებათა ახლებურად გააზრების საკითხი, მათში იმ ელემენტების გამოკვეთით, რომლებიც ხაზს უსვამს, რომ ისინი ემიჯნებიან იმას, თუ როგორ აღიქვამს მათ მოსკოვი, და მხოლოდ ზოგიერთ, ძირითადად რუსი ავტორების პუბლიკაციებში დღემდე გამოიყენება იმპერიის-

დროინდელი სახელწოდებები¹. ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში, სადაც ტერმინი „ბალტიისპირეთი“ ე. წ. „საბჭოთა ოკუპაციის ეპოქის გადმონათად“ მიაჩნიათ, ამჯობინებენ გამოიყენონ ტერმინი „ბალტიის ქვეყნები“; ნაცვლად ტერმინებისა „ამიერკავკასია“ და „შუა აზია“ პრაქტიკულად დამკვიდრდა ტერმინები „სამხრეთ კავკასია“ (ბოლო წლებში სამეცნიერო ლიტერატურაში სულ უფრო ხშირად გამოიყენება ტერმინი „ცენტრალური კავკასია“) და „ცენტრალური აზია“ (ეს უკანასკნელი უკვე ყაზახეთსაც მოიცავს).

ბოლო დროს სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შედარებით ახალი გეოპოლიტიკური ტერმინი „ცენტრალური ევრაზია“, რომელიც, როგორც წესი, ერთიან გეოპოლიტიკურ არეალში მოიცავს შემდეგ ქვეყნებს – აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს, თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს. ჩვენი ღრმა რწმენით, ეს ტერმინი არც მთლად კორექტულია, უნინარესად, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, რადგან ამ ტერმინში შენარჩუნებულია ამ გეოპოლიტიკური არეალის რუსეთისეული აღქმის სპეციფიკა.

წინამდებარე გამოკვლევის მიზანია იმ რეგიონის გეოპოლიტიკური აღქმის ზოგიერთი მომენტის ახლებურად გააზრება, რომელიც, უნინარეს ყოვლისა, ზემოჩამოთვლილ ქვეყნებს მოიცავს. ეს გააზრება ეფუძნება დესკრიფციულ მიდგომას, რომლის თანახმადაც შესწავლის ობიექტი არის ამ რეგიონის ქვეყნები და მათი ერთობლიობა, იმის მიუხედავად, თუ რა ინტერესები ამოძრავებთ ამ რეგიონში სხვა მეზობელ თუ შედარებით დაშორებულ სახელმწიფოებს.

¹ ამის ყველაზე ნათელი მაგალითია ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური პრობლემების შესახებ ზბიგნევ ბჟეჰინსკის ფართოდ ცნობილი წიგნის რუსული თარგმანი, სადაც ინგლისურ ტექსტში გამოყენებული ტერმინი „Central Asia“ (Brzezinski, 1997, pp. 46, 47, 93, 95, 113, 121, 129, 130, 131, 145, 150) რუსულ ტექსტში, როგორც წესი, თარგმნილია როგორც არა „ცენტრალური აზია“, არამედ როგორც „შუა აზია“ (Бжежинский, 2005a, cc. 61, 62, 116, 117, 137, 146, 155, 156, 157, 158, 175, 180); ასევე „The three Caucasian countries“ და „The three states of the Caucasus“ (Brzezinski, 1997, pp. 122, 125) რუსულ ენაზე თარგმნილია, შესაბამისად, როგორც „ამიერკავკასიის სამი ქვეყანა“ და „ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო“ (Бжежинский, 2005a, cc. 148, 152).

ცენტრალური ევრაზიის გეოპოლიტიკური (მაგალითად, გეგე-შიძე, 1997; გრიგალაშვილი, 2007; ჩიტაძე, 2008) და გეოეკონომიკური (მაგალითად, კვინიკაძე, 2008) პრობლემების კვლევა ეფუძნება მოცემული რეგიონის გეოგრაფიულ და ისტორიულ მახასიათებლებს. კრიტიკულად ხდება ყველაზე პოპულარული თეორიების – „ევრაზიიზმის“, „ჰართლენდის“ და „რიმლენდის“ ანალიზი. პირველი, როგორც ცნობილია, ოდითგანვე რუსული გეოპოლიტიკური სკოლის მთავარი მიმდინარეობაა, დანარჩენი ორი კი ცნობილი მეცნიერი გეოპოლიტიკოსების – ინგლისელი ჰელფორდ მაკინდერის და ამერიკელი ნიკოლას სპაიკმენის მიერაა შემუშავებული. ამ თეორიებმა თანამედროვე პირობებში, თითქოსდა, „ახალი ცხოვრება შეიძინა“. ეს სავესებით გასაგებია იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო იმპერიულ ხასიათს იძენს რუსეთის მოქმედება როგორც მისი უშუალო მეზობლების – ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების (მაგალითად, ომი საქართველოს წინააღმდეგ ან „გაზთან დაკავშირებული დაპირისპირება“ უკრაინასთან), ისე მთელი დასავლეთის მიმართ (მაგალითად, ДУННОВ, 2008). რუსეთის იმპერიული ამბიციების ერთგვარ საპირწონედ აქტუალურობა შეიძინა „ჰართლენდის“ თეორიამ. ამავე დროს თვალსაწიერის მიღმა რჩება იმ ქვეყნების ინტერესები, რომელთა მიმართაც მუშავდება და ნაწილობრივ ხორციელდება კიდევ რუსეთის იმპერიის ან თუნდაც რუსეთის გავლენის გაფართოების სხვადასხვა სქემა.

ერთ-ერთი საკითხი, რომელსაც შედარებით ნაკლებად ეხება ბევრი მკვლევარი, გახლავთ ის საკითხი, თუ რა უნდათ თავად ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებს. უნდათ თუ არა იყვნენ სუვერენული, დემოკრატიული სახელმწიფოები საბაზრო ეკონომიკით, თუ ურჩევნიათ იმყოფებოდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, რომელიც დაინტერესებულია, ამა თუ იმ ქვეყანაში ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს თავისი გავლენა?

იმის ცოდნა, თუ რა მიზნებს ისახავენ მოცემულ რეგიონებში მეზობელი თუ შედარებით დაშორებული სახელმწიფოები, საარსებო მნიშვნელობისაა რეგიონის ქვეყნებისათვის, ვინაიდან ამ

შემთხვევაში მათთვის უფრო ადვილია ორიენტირება იმ თვალსაზრისით, თუ როგორი ურთიერთობა დაამყარონ თავიანთ საგარეო პარტნიორებთან. იმავდროულად დანარჩენი მსოფლიოსთვისაც არ არის სულერთი, თუ რა პრიორიტეტები აქვთ ცენტრალური ევრაზიის ქვეყნებს.

წინამდებარე გამოკვლევაში ავტორებმა წარმოვადგინეთ ჩვენული შეფასებები და შეხედულებები ცენტრალური ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მდგომარეობის, როგორც მთელი რეგიონის, ისე რეგიონის ცალკეული ქვეყნების განვითარების შესაძლო ვექტორების შესახებ. მრავალი ცნობილი თეორიული კონსტრუქციის ხელახლა გააზრების საფუძველზე მკითხველს ვთავაზობთ ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის რეგიონალიზაციაში თანამედროვე ტენდენციების ამსახველ ახალ ცნებით აპარატს. ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ამ კვლევაში აღძრული მრავალი საკითხი შეიძლება სადავო იყოს, მივესალმებით საქმიან და შინაარსიან დისკუსიას მოცემულ თემაზე.

ტექსტის ავტორები: შესავალი, თავი 1-ის § 2, თავი 3 და დასკვნა – ელდარ ისმაილოვი; შესავალი, თავი 1-ის §1, თავი 2 და დასკვნა – ვლადიმერ პაპავა.

თავი 1

ევრაზია და ცენტრალური ევრაზია: ანალიზის ამოსავალი ნანამძღვრები

§1.1. ევრაზიისა და ცენტრალური ევრაზიის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური კონტურები

როგორც ცნობილია, ევრაზია, როგორც კონტინენტი, ორი ნაწილისგან შედგება – ევროპისა და აზიისაგან. ბუნებრივია, რომ ევრაზიის მოცემული გეოგრაფიული განმარტება პრაქტიკულად უცვლელად შეგვიძლია გამოვიყენოთ (და გამოიყენება) გეოპოლიტიკაშიც, რის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითსაც წარმოადგენს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, ზბიგნევ ბჟეზინსკის გამოკვლევები (მაგალითად, Бжезинский, 2005a, 2005b)¹.

გარდა ამისა, ამჟამად არანაკლებ გავრცელებულია ევრაზიაზე რამდენადმე განსხვავებული გეოპოლიტიკური შეხედულებაც. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული და ტერიტორიული იდენტურობის პრობლემა განსაკუთრებით მწვავედ დადგა რუსეთის წინაშე (Lapidus, 2007), რომელიც ბოლო ორასი წლის მანძილზე პირველად აღმოჩნდა მნიშვნელოვნად შევინრობებულ საზღვრებში, რამაც განსაკუთრებული ძალით მისცა სტიმული, ყოველ შემთხვევაში პოსტსაბჭოთა სივრცეში, მისი განსაკუთრებული როლის შესახებ კონცეფციის ძებნას (O’Loughlin and Talbot, 2005). დაკარგა რა იმპერია, რუსეთს ჯერაც ვერ უპოვია თავისი როლი (Ash, 2009). შემთხვევითი როდია, რომ ისეთი ტიპის კითხვები, როგორიცაა „მაინც რა არის რუსეთი?“ და „სად არის რუსეთი?“, დღესაც არ კარგავს

¹ ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის გეოეკონომიკური გამოკვლევის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაშრომი (Linn and Tiomkin, 2005).

აქტუალობას (მაგალითად, Brzezinski, 2007b, pp. 56, 64; Service, 2003, pp. 13-44). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეგრეთ წოდებული „სამშობლოს შესახებ მითების“ (Tolz, 1998), ნარატიული მასალების (Aktürk, 2006, p. 23) ჩამოყალიბებასა და განვითარებას ხელი შეუწყო შეხედულებებმა რუსეთის ფედერაციის საზღვრების გადახედვის შესახებ, რომლებიც ბევრად უფრო ფართოდ არის გავრცელებული რუსეთის ინტელექტუალებს, პოლიტიკოსებსა და საზოგადოებრიობას შორის, ვიდრე ამას დასავლეთის სამეცნიერო წრეებში ვარაუდობენ (Tolz, 1998, p. 294). რუსეთის ელიტას და, გარკვეულწილად, საზოგადოებას საბოლოო ანგარიშით ალელვებს საკითხი რუსეთის არსებული საზღვრების შესახებ იმის გამო, რომ ზოგიერთი ტერიტორია, სადაც რუსულენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სხვა სახელმწიფოთა შემადგენლობაში აღმოჩნდა (Tolz, 2001, p. 271), და რომ ეს შეიძლება რუსეთის მხრიდან ამ სახელმწიფოთა მიმართ ამა თუ იმ სახით აგრესიული პოლიტიკის განხორციელების საფუძველი გახდეს (მაგალითად, Allison, 2008, p. 1167). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ჩატარებული გამოკითხვების თანახმად, სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს საბჭოთა კავშირის აღდგენის იდეა (Петухов, 2006, с. 107), და ეს სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ რუსეთის საზოგადოებაში გავრცელებულ პოსტიმპერიულ ნოსტალგიას (Gaidar, 2007, pp. ix-xiv). ამასთან, 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია (მაგალითად, ასმუხი, 2010; Cornell and Starr, eds., 2009; King, 2008a) იძლევა საბაბს მივიჩნიოთ, რომ რუსეთის ეროვნული იდენტურობა შეუთავსებელია მისი მოსაზღვრე ქვეყნების თავისუფლებასთან (Fukuyama, 2008)¹. უფრო მეტიც, ამ აგრესიამ მთელი მსოფლიოსათვის აშკარა გახადა, რომ რუსეთი

¹ თუ ესა თუ ის ქვეყანა რუსეთის ინტერესების სფეროში შედის, რუსეთი მთელი ძალეებით მზადაა არ დაუშვას თავისი გავლენის სფეროდან ამ ქვეყნის გასვლა, მიუხედავად იმისა, თუ რა ნარმოადგენს თავად ამ ქვეყნის ინტერესს, რა ორიენტაციისაა იგი – პრორუსული თუ პროდასავლური (Petersen, 2008). აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ რუსეთს ურჩევნია თავის საზღვრებთან ჰყავდეს სუსტი სახელმწიფოები, რომლებიც ადვილად დაემორჩილებიან რუსეთის გავლენას (მაგალითად, Cornell, McDermott, O'Malley, Socor and Starr, 2004, p. 18).

არასოდეს შეურიგდება საბჭოთა იმპერიის დაკარგვის შესახებ აზრს (MacShane, 2008), რაც ხსნის კიდევ რუსეთის ერთგულებას ძალისმიერი პოლიტიკისადმი (Himmelreich, 2008) მეზობლებზე ჰეგემონიის აღდგენის მიზნით (Asmus and Holbrooke, 2008); სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთმა ცხადყო მზადყოფნა პოსტ-საბჭოთა ევრაზიაში თავისი ინტერესები ძალის გამოყენებით დაიცვას (Antonenko, 2008, p. 32). ამასთან, რუსეთის ამგვარი მოქმედება სავსებით შეესაბამება იმპერიის ჩამოყალიბების საყოველთაოდ ცნობილ სქემებს (Baer, 2008; Toft, 2008). კრემლის მიმართ საკმაოდ ლოიალურად განწყობილი ექსპერტებიც კი არ გამოორიცხვენენ რუსეთის იმპერიის აღდგენის შესაძლებლობებს, ოღონდ არა მისი კლასიკური ფორმით და ტერიტორიების მიტაცების გზით, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ენერგეტიკულ პოლიტიკაზე დაფუძნებული ეგრეთ წოდებული ნეოიმპერიალისტური მექანიზმების გამოყენების გზით (Künzl, 2008, p. 79).

ამასთან, აუცილებელია ისტორიის იმ გაკვეთილის გათვალისწინებაც, რომლის თანახმადაც კავკასიის, ხაზართა სტეპის და ცენტრალური აზიის დაპყრობა რუსეთის სამეფო ელიტამ აღიქვა არა მხოლოდ როგორც იმპერიისათვის სახელის განთქმა, არამედ, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, როგორც რუსეთის ევროპულობასთან იდენტურობა (Crews, 2006, p. 12).

იმპერიული წყობა, იმპერიული სხეული და იმპერიული ცნობიერება რუსეთის იმპერიული სინდრომის სტრუქტურის სამი შემადგენელია (Паин, 20086). ამ შემადგენელთა შორის იმპერიული სხეული, ანუ ქვეყნის ტერიტორია ყველაზე ინერციულია. ამასთან, ტერიტორია, როგორც ბუნებრივი, შრომითი, ფინანსური და სხვა რესურსების შემცველი, თავად წარმოადგენს იმ ძირითად რესურსს, რომლის გაფართოება, ანდა თუნდაც შენარჩუნება, იმპერიული სახელმწიფოს მთავარ ამოცანას წარმოადგენს (Паин, 20086).

რუსეთის იმპერიული ამბიციების თეორიულ საფუძვლად წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნეს ეგრეთ წოდებული „ევრაზიიზმის“ იდეები, რომლებმაც „ახალი სიცოცხლე“ პოსტ-

საბჭოთა პერიოდში შეიძინა (Tchantouridze, 2004). ეს იდეები, მნიშვნელოვანწილად გეოგრაფიაზე დაფუძნებული (Bassin, 1991, p. 14), გულისხმობს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ახლებურ გეოპოლიტიკურ გააზრებას (მაგალითად, Lewis and Wigen, 1997, p. 222).

ის პრობლემა, რომ „ძველი მსოფლიოს“¹ ტერიტორიის ფარგლებში არის სამი და არა ორი კონტინენტი, XIX საუკუნის დამლევს რუსმა პროფესორმა ვ. ი. პომანსკიმ დააყენა (მაგალითად, Нартов и Нартов, 2007, с. 129). მოგვიანებით ამ კონტინენტის „ნათლია“ ცნობილი რუსი გეოპოლიტიკოსი პეტრე სავიციკი გახდა, უწოდა რა ამ მესამე კონტინენტს „ევრაზია“, რაც თავისი საზღვრებით ემთხვევა რუსეთს, უფრო ზუსტად კი რუსეთის იმპერიას (Савицкий, 1997)². ის ხაზს უსვამდა, რომ „ევრაზია“ განსხვავდება ევრაზიის ზემოაღნიშნული გეოგრაფიული განმარტებისგან, რომელიც ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტმა ჩამოაყალიბა (Савицкий, 2002, с. 300)³. ასე იწყებოდა რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი – ევრაზიისტული მიმდინარეობის ჩამოყალიბება, რომლის მიზანიცაა გეოგრაფიულ ევრაზიაში რუსეთის განსაკუთრებული ისტორიული და კულტურული როლის დამკვიდრება⁴.

¹ 1492 წელს ამერიკის აღმოჩენამდე „ძველ მსოფლიოდ“ დედამიწის ის კონტინენტი მოიხსენიებოდა, რომელიც მოიცავდა ევრაზიასა და აფრიკას.

² პეტრე სავიციკის გამოთქმის თანახმად, „Россия-Евразия есть центр Старого Света“ (Савицкий, 2002, с. 298).

³ ტერმინ „ევრაზიის“ ავტორობის შესახებ არსებობს სხვა ვერსიაც, რომლის თანახმადაც იგი ეკუთვნის ვენელ გეოლოგს ედუარდ სუესს (Eduard Suess), რომელმაც XX საუკუნის დამლევს ევრაზია უწოდა ევროპასა და აზიას ერთად აღებული (ib., Bassin, 1991, p. 10).

⁴ ევრაზიის კონტინენტისადმი რუსეთის პრეტენზიები იმდენად ძლიერია (მაგალითად, Эйвазов, 2009), რომ იმ შემთხვევებშიც კი, როცა არ არის ევრაზიის დამონების აუცილებლობა, მთელ რიგ სოლიდურ პუბლიკაციებშიც კი ავტორები ვერ სცილდებიან უკვე ჩამოყალიბებული კლიშეს ფარგლებს. მაგალითად, როცა განიხილება ეკონომიკური რეფორმების პრობლემები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, ან როცა საერთოდ არ ეხება საქმე ევრაზიის პრობლემებს არც გეოგრაფიული, არც გეოპოლიტიკური კონტექსტით, შესაბამისი მონოგრაფიის სათაურში სრულიად უსაფუძვლოდ გამოიყენება ტერმინი „ევრაზია“ (Stroev, Bliakhman and Krotov, 1999). იგივე შეიძლება ითქვას ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ზოგიერთი ქართველი ექსპერტის ნაშრომის მიმართაც (მაგალითად, Areshidze, 2007).

ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა, ეთნოგრაფმა და გეოგრაფმა ლევ გუმილიოვმა გამოიკვლია ევრაზიის გეოპოლიტიკური კონტინენტის გეოგრაფიული საზღვრები (Laruelle, 2008b, pp. 50-82) და დაასკვნა, რომ იგი შედგება სამი რეგიონისგან: მაღალი აზიისგან (მონღოლეთი, ჯუნგარია, ტუვა, ბაიკალისპირეთი), სამხრეთი რაიონისგან (ცენტრალური აზია) და დასავლეთის რაიონისგან (აღმოსავლეთ ევროპა) (Гумилёв, 2007, с. 199).

გეოგრაფიულად, როგორც ცნობილია, „ძველი მსოფლიო“ შედგება ევროპისგან, აზიისგან (ანუ ევრაზიის კონტინენტისგან) და აფრიკისგან, მაშინ, როცა რუსული გეოპოლიტიკური სკოლის მიერ „ევრაზიის“ ტერმინის მოცემული განმარტება არსებითად ავიწროებს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ტერიტორიულ საზღვრებს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ამ ეგრეთ წოდებულ „მახეში“ უნებლიეთ ებმებიან ის მეცნიერი ექსპერტებიც, რომლებიც თავიანთ გეოპოლიტიკურ გამოკვლევებში, როგორც წესი, მთლიანად მოიცავენ მთელ აღნიშნულ გეოგრაფიულ კონტინენტს. მაგალითად, ზემოხსენებულ წიგნში, რომელიც ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკურ პრობლემებს ეხება, ზბიგნევ ბუეზინსკი ცენტრალური აზიის, კავკასიისა და მოსაზღვრე რეგიონების გამაერთიანებელ რეგიონს, მისი კონფლიქტური ხასიათის გამო, „ევრაზიის ბალკანეთს“ უწოდებს (Бжезинский, 2005a, с. 149). საქმე გვაქვს აშკარა წინააღმდეგობასთან: თუ „ევრაზიის“ განსაზღვრებაში ვიგულისხმებთ ევრაზიის გეოგრაფიულ კონტინენტს (როგორც ეს უნდა გამომდინარეობდეს განსახილველი წიგნის მთელი კონტექსტიდან), მაშინ მცდარი იქნება ის აზრი, თითქოს ბალკანეთი ამ კონტინენტის მიღმაა, ვინაიდან გეოგრაფიულად „ევრაზიული ბალკანეთი“ შეიძლება მხოლოდ თავად ბალკანეთი იყოს. ასეთი წინააღმდეგობა მოიხსნება, თუ „ევრაზიის“ განსაზღვრებაში ვიგულისხმებთ „ევრაზიის“ ტერმინს რუსული გეოპოლიტიკური სკოლის გაგებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზბიგნევ ბუეზინსკი, როგორც ჩანს, უნებლიეთ ევრაზიიზმის რუსული გეოპოლიტიკური სკოლის გავლენის „ტყვეობაში“ მოექცა.

გამარტივების მიზნით, ზოგჯერ ევრაზიის საზღვრებს შეგნებულად ავინრობენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ფარგლებით (მაგალითად, Simons, 2008, p. 2). ევრაზისტების¹ თანახმად, რუსეთი ეს განსაკუთრებული კონტინენცია (მაგალითად, Дугин, 2002a)² და ევრაზიის გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ განმარტებებს შორის მოცემული ტერმინოლოგიური „კონფლიქტის“ გადასაჭრელად გეოპოლიტიკურ კონტექსტში გამოიყენება ისეთი სიტყვათშეთანხმებანიც, როგორცაა „ევრაზია-რუსეთი“ (მაგალითად, Нартов и Нартов, 2007, сс. 133-135, 137), „რუსეთი-ევრაზია“ (Дугин, 1997, сс. 83-84) ან „ევრაზიული რუსეთი“ (Панарин, 2006, сс. 312-364, 539-543)³. ამ პრობლემამ განსაკუთრებული აქტუალურობა კვლავ შეიძინა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დროს გეოგრაფები ტერმინს „ევრაზია“ მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით ხმარობდნენ (Hauner, 1994, p. 222). უნდა აღინიშნოს, რომ დასრულებული არ არის დისკუსია იმის თაობაზე, თუ როგორ გამოინახოს კომპრომისი ევრაზიის და იმ ტერიტორიის სწორ გეოგრაფიულ განსაზღვრებებს შორის, რომელზეც რუსეთის კონტროლი ვრცელდება (Hauner, 1994, p. 221).

თუ ევრაზიის რუსული გეოპოლიტიკური სკოლის განმარტებას, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის იმპერიული ამბიციების დასაბუთებისათვის იყენებენ, ბუნებრივად დგება საკითხი „ცენტრალური ევრაზიის“ ტერმინის შესახებ: რამდენად ემთხვევა ამ ტერმინის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური განმარტებანი და რა პრობლემები წამოიჭრება ამ დროს?

¹ აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ ევრაზიზმის მიმდევრები თავად უწოდებენ საკუთარ თავს „ევრაზიელებს“, რაც, ჩვენი აზრით, ერთგვარ უზუსტობას შეიცავს, რადგან ევრაზიელები ის ადამიანები არიან, რომლებიც სახლობენ ევრაზიაში, მაშინ როდესაც უფრო კორექტული იქნება ევრაზიზმის მიმდევრებსა და მომხრეებს „ევრაზისტები“ ვუწოდოთ. მოცემულ გამოკვლევაში სწორედ ამ კონტექსტით გამოიყენება ტერმინი „ევრაზისტები“.

² იხ. აგრეთვე <http://www.evrazia.org/modules.php?name=News&file=article&sid=102>.

³ ნაცვლად ამ ხელოვნური ტერმინებისა, „ევრაზია-რუსეთი“, „რუსეთი-ევრაზია“ ან „ევრაზიული რუსეთი“, ბევრად უფრო გამართლებულია ტერმინი „ოსტსაბჭოთა ევრაზია“ (Торбачков, 2008), რომელიც აშკარად კორექტულად ასახავს სინამდვილეს როგორც გეოგრაფიული, ისე გეოპოლიტიკური თვალსაზრისით.

გეოგრაფიულად „ცენტრალურ ევრაზიაში“, როგორც ნესი, იგულისხმება ტერიტორია დასავლეთში ბოსფორის სრუტიდან აღმოსავლეთში ჩინეთის სინძიან-უიგურის პროვინციამდე, და ჩრდილოეთში ყაზახეთის სტეპებიდან სამხრეთში ინდოეთის ოკეანემდე (მაგალითად, Weisbrode, 2001, p. 11). ადვილი შესამჩნევია, რომ გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია ფაქტობრივად მთლიანად მოიცავს ცენტრალურ აზიას, მაშინ როდესაც ცენტრალური ევროპა¹ მასში არ შედის. ეს იმით აიხსნება, რომ აზია ზომით იმდენად აღემატება ევროპას, რომ ცენტრალური ევროპა ერთგვარად სცდება ცენტრალურ ევრაზიად ნოდებული ევრაზიის ერთიანი კონტინენტის პირობითი ცენტრის ფარგლებს. იმავდროულად, თუ აზიისა და ევროპის ფიზიკურ ზომებს ყურადღებას არ მივაქცევთ და ლოგიკურად ვიმსჯელებთ იმის გათვალისწინებით, რომ გეოგრაფიული ევრაზია როგორც კონტინენტი ორი ნაწილისგან შედგება – ევროპისა და აზიისგან, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს ცენტრალურ ევროპასაც და ცენტრალურ აზიასაც, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ კავკასიასაც (Исмаилов, 2007, 2008; Папава, 2007, с. 8, 2008, с. 37). ჩვენი აზრით, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცენტრალური ევრაზიის გეოგრაფიულ განმარტებაზე გავლენას ახდენს მისი გეოპოლიტიკური განმარტება, რომლითაც, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც, ტერმინ „რუსეთში“ ბევრი ევრაზიის გულისხმობს (Hauner, 1994, p. 217)².

საბჭოთა აზროვნების გავლენად მიიჩნევა აგრეთვე ცენტრალური ევრაზიის შემოფარგვლა მხოლოდ შემდეგი ქვეყნებით – აზერბაიჯანი, თურქმენეთი, საქართველო, სომხეთი, ტაჯიკეთი,

¹ აკად. თამაზ გამყრელიძის დასაბუთებული მოსაზრების თანახმად, გეოგრაფიულად აღმოსავლეთ ევროპა ეს რუსეთის ევროპული ნაწილია, ხოლო ის, რაც მე-20 საუკუნის ცივი ომის ეპოქიდან მოყოლებული, აღმოსავლეთ ევროპის სახელითაა ცნობილი (რომელშიც სხვადასხვა კომბინაციით შედიან ბალტიის ქვეყნები, ბელარუსი, ბულგარეთი, მოლდოვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი, უკრაინა, უნგრეთი, ჩეხეთი) სინამდვილეში ცენტრალურ ევროპას განეკუთვნება (გამყრელიძე, 1999, 2001).

² უფრო ზუსტი განსაზღვრების შემცველ ნაშრომებში დღევანდელი რუსეთი ევრაზიის ჩრდილოეთ ნაწილად არის კვალიფიცირებული (მაგალითად, Моисеев, 2000).

უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი¹, რადგან ამ შემთხვევაში ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ რჩება ტერიტორიები (კერძოდ, ავღანეთი, ჩრდილოეთ ირანი, ჩრდილოეთ კავკასია, ჩრდილო-დასავლეთ ჩინეთი, ქაშმირი და ტიბეტის პლატო), რომლებიც მასთან ისტორიული, ეთნიკური და კულტურული ფესვებითაა დაკავშირებული (Weisbrode, 2001, pp. 11-12). სამწუხაროდ, ცენტრალურ ევრაზიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ პუბლიკაციაში ამ რეგიონში ფაქტობრივად მხოლოდ ცენტრალური აზია იგულისხმება (მაგალითად, Adams, 2008).

ამგვარად, თუ ევრაზიიზმის რუსული გეოპოლიტიკური სკოლის მიერ ევრაზიის განმარტება საგრძნობლად ავინროებს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის საზღვრებს, ცენტრალური ევრაზიის მიმართ ეს განსხვავება ნაკლებად საგრძნობია, რადგან მოცემულ შემთხვევაში გეოგრაფია სრულად ექვემდებარება გეოპოლიტიკას, თანაც მის რუსულ სკოლას. ამის დამადასტურებელი მაგალითია ის, რომ თანამედროვე რუსი გეოგრაფები ჩრდილოეთ და ცენტრალურ ევრაზიად მიიჩნევენ ტერიტორიას, რომელზეც ყოფილი საბჭოთა კავშირი მდებარეობდა, ასევე ევროპის არქტიკის დასავლეთ ნაწილსა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ რაიონს (Котляков, ред., 2006, с. 13).

სიფრთხილით ვეკიდებით რა რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტულ მიმდინარეობას, საჭიროდ მივიჩნევთ გავერკვეთ ამის მიზეზებში.

§1.2. ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაცია

რეგიონთმცოდნეობისა და რეგიონალური თანამშრომლობის პრობლემათა აქტუალიზაციის კონტექსტით თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ პროცესების შესწავლას, რომლებიც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს გასული საუკუნის დამლევს საბჭოთა კავშირის მიერ ჩამოყალიბებული ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომი-

¹ ცენტრალური ევრაზიის ასეთი წარმოდგენა ახლა ყველაზე გავრცელებულია (იხ., მაგალითად, Amineh and Houweling, 2005, pp. 2-3; Fairbanks, Nelson, Starr and Weisbrode, 2001, p. vii; Meyer, 2004, p. 206).

კური სივრცის – ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის – დაშლის შედეგად წარმოქმნილ შემდეგ რეგიონებში:

1. ცენტრალური ევროპის (აღმოსავლეთ ევროპის):

- ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები: პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია¹, უნგრეთი, რუმინეთი, ალბანეთი, გდრ², იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა³;
- პოსტსაბჭოთა ქვეყნები: ბელორუსია, მოლდავეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა, ესტონეთი;

2. ცენტრალური კავკასიის⁴:

- პოსტსაბჭოთა ქვეყნები: აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი;

3. ცენტრალური აზიის:

- ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები: ავღანეთი, მონღოლეთი;
- პოსტსაბჭოთა ქვეყნები: თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი.

ამასთან, სსრ კავშირისა და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს „მინიცირებელი ბირთვი“ პოსტსაბჭოთა რუსეთი იყო⁵.

ჩვენი აზრით, ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სივრცის იმ სამი რეგიონისადმი ინტერესი, რომლებიც გამოეყვნენ „მინიცირებელ ბირთვს“ – რუსეთს, განპირობებულია სპეციფიკური მდგომარეობით, რომელიც მათ უკავიათ მსოფლიო-

¹ 1993 წელს ჩეხოსლოვაკია ორ სახელმწიფოდ – ჩეხეთად და სლოვაკეთად დაიშალა.

² 1990 წელს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ) გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას (გფრ) შეუერთდა.

³ 1990-იანი წლების დასაწყისში იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა სერბეთად, ხორვატიად, სლოვენიად, ბოსნიად და ჰერცეგოვინად, მაკედონიად და მონტენეგროდ დაიშალა.

⁴ უფრო დანვრილებით ცენტრალური კავკასიის შესახებ იხ. ქვემოთ.

⁵ ჩამოთვლილ სახელმწიფოებთან ერთად ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოში შედიოდნენ მსოფლიოს სხვა რეგიონების სახელმწიფოები: ვიეტნამი, კუბა, აგრეთვე დამკვირვებლებად – ანგოლა, ავღანეთი, იემენის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ლაოსი, მოზამბიკი და ეთიოპია.

პოლიტიკურ სივრცეში, განსაკუთრებით თუ მათ განვიხილავთ როგორც გლობალიზებადი მსოფლიოს ერთიან, დამოუკიდებელ, განცალკევებულ გეოპოლიტიკურ ობიექტად.

საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის დაშლის შემდეგ დაიწყო ბიპოლარული სამყაროსათვის ჩვეული გეოპოლიტიკური ცნებითი აპარატის შეცვლა. მსოფლიო-პოლიტიკური რუკა აღარ იყოფა სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებად და, შესაბამისად, ეს ცნებები, ისევე როგორც მათგან წარმოებული ტერმინები – „განვითარების არაკაპიტალისტური გზა“, „მიუმხრობლობის მოძრაობა“ და სხვ., შეიცვალა თანამედროვე რეალებების უფრო ადეკვატურად ამსახველი კატეგორიებით. ამავე დროს, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მომხდარი ცვლილებების მიუხედავად, სამეცნიერო, სასწავლო და საცნობარო ლიტერატურაში კვლავაც შენარჩუნებულია არსებითად განსხვავებული მოსაზრებები *ევრაზიის მატერიკის* ამა თუ იმ რეგიონისადმი ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სივრცის ქვეყნების მიკუთვნებისა და მათი შესაბამისი დასახელებების მიმართ.

ამუხმად სამეცნიერო ლიტერატურაში და პოლიტიკურ ლექსიკაში პარალელურად გამოიყენება როგორც ძველი (მეფის-დროინდელი და საბჭოთა, ევროპული, აზიური), ასევე ახალი დეფინიციები, რომლებიც ჯერ საყოველთაოდ არ არის მიღებული. მაგალითად, *ბალტიისპირეთის* რესპუბლიკებს ასევე ეწოდება ბალტიის ქვეყნები და ისინი მიეკუთვნება ჩრდილოეთ ან ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონს, *შუა აზიის* რესპუბლიკებს – ცენტრალური აზიის ქვეყნები (Алексеева и Иванова, 2003) და ისინი მიეკუთვნება ცენტრალურ აზიას ან ჩრდილო-დასავლეთ აზიას, *ამიერკავკასიის* რესპუბლიკებს – სამხრეთ კავკასიის ან ცენტრალური კავკასიის (Ismailov and Papava, 2006, 2008a, 2008b; Исмаилов, 2002; Исмаилов и Кенгерли, 2002a, 2002b; Исмаилов и Папава, 2006, 2007) ქვეყნები, და ისინი მიეკუთვნება აღმოსავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპას, ანდა ცენტრალურ აზიას ან ჩრდილო-დასავლეთ აზიას¹.

¹ დაწვრილებით ჩრდილო-დასავლეთ აზიის შესახებ იხ. (Ramezanzadeh, 1996).

სახელმწიფოების ამა თუ იმ რეგიონისათვის მიკუთვნება, როგორც წესი, არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის მიხედვით ხდებოდა. კერძოდ, ევრაზიის სივრცის ძირითად გეოპოლიტიკურ ფაქტორებს შორის ძალთა ბალანსში ცვლილებები ამა თუ იმ ქვეყნების გავლენის ერთი სფეროდან მეორეში „გადასვლას“ იწვევდა, რაც, შესაბამისად, რეგიონალური დაყოფის ახალ საზღვრებს განაპირობებდა. რეგიონების საზღვრების ამგვარი შეცვლა მოხდა ევრაზიის როგორც ევროპულ, ისე აზიურ სეგმენტში. მართალია, რეგიონების სივრცით პარამეტრებს გარკვეულწილად პირობითი ხასიათი აქვს, მაგრამ არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის შესაბამისად მათი განსაზღვრება საშუალებას გვაძლევს, ევრაზიის მატერიკზე შიგა და რეგიონთაშორისი კავშირებისა და ურთიერთობის განვითარებაში ახალი ტენდენციები გამოვავლინოთ.

დღეს, როგორც 1990-იანი წლების გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის შედეგი, აუცილებელი გახდა ახლებურად გავიაზროთ ევროპისა და აზიის პოლიტიკური სივრცის რეგიონალური სტრუქტურა, რომელიც უფრო სრულად ასახავს ჩამოყალიბებულ შიგაკონტინენტურ პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს არსებული გლობალური კონიუნქტურის შესაბამისად.

ჩვენი აზრით, თანამედროვე პირობებში ევროპის პოლიტიკური სივრცე მისი სამი ძირითადი რეგიონის ერთიანობით უნდა განვიხილოთ:

- დასავლეთ ევროპა – ევროკავშირისა და ნატოს მონაწილე ქვეყნები (ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, დანია, ირლანდია, საბერძნეთი, პორტუგალია, ესპანეთი, ავსტრია, ფინეთი, შვედეთი, ისლანდია, ნორვეგია, უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ჩეხეთი, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი) და მათში მონაწილეობის პრეტენზიის მქონე ქვეყნები (ხორვატია, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი, ჩერნოგორია, აგრეთვე ნეიტრალური შვეიცარია).

- ცენტრალური ევროპა – უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი;
- აღმოსავლეთ ევროპა – რუსეთის ფედერაციის ევროპული ნაწილი.

დასავლეთ ევროპის შემადგენლობაში ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სახელმწიფოებისა და პოსტსაბჭოთა (ბალტიისპირეთის) რესპუბლიკების შეყვანამ გარკვეული დისკუსია შეიძლება გამოიწვიოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პარამეტრების თვალსაზრისით ამის მართებულობის თაობაზე, რადგან ერთიან სოციალისტურ სისტემაში (ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო/სსრკ) აღნიშნული ქვეყნების საკმაოდ ხანგრძლივმა ყოფნამ გარკვეული გავლენა მოახდინა მათი მიმდინარე განვითარების დონესა და თავისებურებებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, თუმცა ისინი 2004 წელს ევროკავშირში შევიდნენ, „ძველი“ წევრების დონესთან შედარებით ბევრად დაბალი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის „ახალი წევრები“ სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით მეტად შეესაბამებიან, ვთქვათ, უკრაინას, ვიდრე საფრანგეთსა და ნიდერლანდს, დასაშვები იქნებოდა მათი დაჯგუფება ცენტრალური ევროპის რეგიონალურ დაყოფაში, და ამ მიკრორეგიონისათვის დიდი ცენტრალური ევროპის (უნგრეთი, ლატვია, ლიტვა, მალტა, პოლონეთი, სლოვაკია, სლოვენია, ჩეხეთი, ესტონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, ხორვატია, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, სერბეთი, მონტენეგრო, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი) დარქმევა.

ევრაზიის მეორე ქვეყნის ნაწილის – აზიის პოლიტიკური სივრცის რეგიონალურ სტრუქტურირებას გარკვეული სირთულეები ახლავს იმის გამო, რომ მისი მნიშვნელოვანი სივრცობრივ-პოლიტიკური მასშტაბები, აგრეთვე სხვადასხვა ფასეულობათა სისტემების, პოლიტიკური რეჟიმების, გეოპოლიტიკური ორიენტაციების მქონე და მთლიანობაში განვითარების დონით არსებითად განსხვავებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებული პოლიტიკური

და ეკონომიკური ურთიერთობები არ იძლევა მათ რეგიონალურ სეგმენტებად მკაფიოდ დაჯგუფების შესაძლებლობას. შესაბამისად, ევროპისაგან განსხვავებით, აზიის რეგიონების პოლიტიკური საზღვრების გამოკვეთას მეტი პირობითობა ახასიათებს. ჩვენი აზრით, არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით, მიზანშეწონილი იქნება მოცემული კონტინენტი განვიხილოთ როგორც ხუთი რეგიონალური სეგმენტის ერთობლიობა:

- *დასავლეთ აზია* – თურქეთი, საუდის არაბეთი და არაბეთის ნახევარკუნძულის სხვა ქვეყნები, ერაყი, სირია, იორდანია, ისრაელი, პალესტინა, ლიბანი, ირანი;

- *აღმოსავლეთ აზია* – ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა, იაპონია, მონღოლეთი, ინდოჩინეთისა და მალაის არქიპელაგის სახელმწიფოები;

- *ჩრდილოეთ აზია* – რუსეთის ფედერაციის აზიური ნაწილი;

- *სამხრეთ აზია* – ინდოეთი, პაკისტანი, ავღანეთი, ბანგლადეში, ნეპალი, ბუტანი, შრი-ლანკა, მალდივი;

- *ცენტრალური აზია* – ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი, უზბეკეთი.

ისევე როგორც ევროპის შემთხვევაში, აზიის კონტინენტის ცენტრალური რეგიონალური სეგმენტი შეგვიძლია უფრო „ფართო ფორმატივით“ განვიხილოთ – როგორც დიდი ცენტრალური აზია (Starr, 2005a, 2005b)¹ – მასში აღმოსავლეთ აზიიდან მონღოლეთის და სამხრეთ აზიიდან ავღანეთის ჩართვით.

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების სივრცე შეიძლება განვიხილოთ როგორც აზიის (გეოგრაფიაზე დაყრდნობით), ისე ევროპის (პოლიტიკური და ინსტიტუციური თვალსაზრისით ევროპის „სფეროში“ ჩართულობაზე დაყრდნობით) ფარგლებში. ჩვენი აზრით, მოცემული რეგიონი ეს გეოპოლიტიკური ასპექტით ევრაზიის „განსაკუთრებული ზონაა“, ევრაზიის ორი ქვეყნის ნაწილის გადაკვეთის არეალია.

¹ მთელ რიგ ავტორებს ამ რეგიონში მონღოლეთიც შეჰყავთ.

იმის გამო, რომ „ყოფილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სივრცის“ ცნებამ დრო მოჰამა და, როგორც აღვნიშნეთ, მისი ძირითადი სეგმენტები – ევროპული, კავკასიური და აზიური – უკვე აღინიშნება როგორც „ცენტრალური“, შესაბამისად მათი ერთობლივი განხილვისათვის მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ინტეგრალური ცნება – „ცენტრალური ევრაზია“.

ნებისმიერ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, რომ რუსული (მნიშვნელობა არა აქვს მეფისდროინდელი თუ საბჭოთა) ან ევროპული და აზიური (XX საუკუნის „ცივი ომის“ პერიოდის) ტერმინოლოგიის დაბრუნება უკვე ერთმნიშვნელოვნად შეუძლებელია, ვინაიდან მსოფლიო კარდინალურად შეიცვალა, რამაც განაპირობა მისი კონცეპტუალური მიდგომებისა და მათი კატეგორიულ-ცნებითი აპარატის მოდიფიკაცია.

სწორედ ამიტომ, საჭიროდ მივიჩნევთ, სიცხადე შევიტანოთ იმ საკითხში, რომელიც ეხება დეფინიციებს აღნიშნულ სივრცესთან მიმართებაში, რადგან თანამედროვე გეოპოლიტიკურ მეცნიერებაში ცნებების მკაფიო სისტემატიზაციაზე უშუალოდაა დამოკიდებული ევრაზიის მატერიკის განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა წვდომისა და ასახვის სიღრმე და, საბოლოო ანგარიშით, მისი ინტეგრაციის ეფექტიანობა.

თავი 2

ევრაზიიზმი და „ცენტრალური კავკასიის“ კონცეფცია

§2.1. რუსული გეოპოლიტიკური სკოლის

ევრაზიისტული მიმდინარეობის თანამედროვე მდგომარეობა

ისტორიულად ევრაზიიზმი, როგორც გეოპოლიტიკური თეორია გასული საუკუნის 20-იან წლებში ჩამოყალიბდა, მაგრამ რუსეთში მას საკმაოდ ღრმა ისტორიული ფესვები აქვს (მაგალითად, Гловели, 2000; Панарин, 2006, сс. 34-64).

თავისი ხასიათით რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობა ხელს უწყობს რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული იმპერიული ამბიციების გამართლებას (მაგალითად, Longworth, 2005) – იბატონოს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ცენტრში. ევრაზიისტებისთვის რუსეთი უნდა იყოს ან „ევრაზიული სახელმწიფო“ (Гумилёв, 2002, с. 482, 2007, с. 30), „დიდი სახელმწიფო“ ანუ „იმპერია“, ან არანაირი (Дугин, 2002д, с. 784), რადგან მათთვის რუსეთი იმპერიის გარეშე წარმოუდგენელია (Дугин, 2004в, сс. 342-368). ამგვარად, არ არის გასაკვირი, რომ ევრაზიისტები, მიუხედავად იმისა, რომ უარყოფითად ეკიდებიან მარქსისტულ დოგმებს, ათეიზმსა და მატერიალიზმს, მიესალმებოდნენ საბჭოთა წყობის დამყარებას, რადგან მან არსებითად გაზარდა რუსეთის ძლიერება და ტერიტორია (მაგალითად, Дугин, 2004б; Уткин, 2000б), და სახედავად საბჭოთა კავშირის¹ ევრაზიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ევოლუციურ გზებს (Арутюнов, 2000; Дугин, 2002з, с. 629). ასეთივე სულისკვეთებით მიესალმებოდნენ ევრაზიისტები ჩეჩნეთში პუტინის სასტიკ მოქმედებას, რასაც „საგანგებო გეოპოლიტიკური ზომები“

¹ მოცემულ კონტექსტში საბჭოთა კავშირი კვალიფიცირებულია როგორც საბჭოთა ევრაზიული იმპერია (Hauner, 1994).

ენოდა (Дугин, 20026, сс. 590-591, 593). ალექსანდრე დუგინმა, საერთაშორისო ევრაზიისტული მოძრაობის მთავარმა იდეოლოგმა და ლიდერმა (Laguette, 2008b, pp. 107-144) აგრესიული მოქმედებისადმი ევრაზიისტების ერთგულება ამკარად გამოავლინა საქართველოს მიმართაც, როცა რუსეთელ სამხედროებს მოუწოდა, დაესაჯათ საქართველო, დაეპყროთ მისი დედაქალაქი თბილისი, იმ სურვილის გამო, რომ ალადგინოს საკუთარი ტერიტორიული მთლიანობა (Дугин, 2008a, 2008b; Хурбатов, 2008).

უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი ინგლისელი მეცნიერი გეოპოლიტიკოსის, ჰელფორდ მაკინდერის (Mackinder, 1904, 1919; Маккиндер, 1995) „ჰართლენდის“ გეოპოლიტიკური თეორიის თანახმად, სახელმწიფო, რომელიც გააკონტროლებს „ღერძულ რეგიონს“ („Pivot Area“), ანუ „ჰართლენდს“ („Heart-Land“), რუსეთის უდიდეს ნაწილს და ცენტრალურ აზიას რომ მოიცავს, არა მარტო გეოგრაფიულ ევრაზიაში, არამედ მთელ მსოფლიოშიც იბატონებს (მაგალითად, Мегоран и Шарапова, 2005, с. 8). ეს თეორია, რომელსაც პრეტენზია ჰქონდა XX საუკუნის დამდეგს დიდი ბრიტანეთის საგარეო პოლიტიკის საფუძველი ყოფილიყო „ჰართლენდის“ შიგნით მყოფი ქვეყნების მიმართ (Мегоран и Шарапова, 2005, с. 12), არა თუ არ კარგავს აქტუალურობას დღესაც დასავლეთში შემუშავებული ზოგიერთი თანამედროვე გეოპოლიტიკური თეორიის (მაგალითად, Борисова, 2005; Виелмини, 2005; Шарапова, 2005) კონტექსტით, არამედ სულ უფრო და უფრო პოპულარულიც ხდება (Чантуридзе, 2008, сс. 12-13). არ არის გასაკვირი, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მისწრაფებას, გაზარდონ თავიანთი გავლენა „ჰართლენდში“, უპირისპირდება რუსეთის (რომელიც არა მხოლოდ მდებარეობს, არამედ ყველაზე დიდი სახელმწიფოცაა „ჰართლენდში“) ზემოთ აღნიშნული იმპერიული ამბიციები, მოიპოვოს მსოფლიო ცენტრის ფუნქციები (მაგალითად, Уткин, 20006). ეს კი მთლიანად შეესაბამება მაკინდერის თეორიას „ჰართლენდის“ მაკონტროლე-

¹ სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ვლადიმერ პუტინის თავისი არსით ტრივიალურ განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთი ევრაზიული ქვეყანაა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნეოევრაზიისტებისთვის (Максакков, 2001).

ბელი სახელმწიფოს როლის შესახებ, რადგან თანამედროვე ევრაზიისტიების აზრით „ღერძული რეგიონი“ გეოგრაფიულად რუსეთთან არის გაიგივებული (Дугин, 1997, с. 44).

მაკინდერის „ჰართლენდის“ თეორიის და რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობის მსგავსება იმაში მდგომარეობს, რომ ორივე ხელს უწყობს იმპერიული ამბიციების გამართლებას, ხოლო განსხვავება ის არის, რომ პირველი დიდი ბრიტანეთის (მაგალითად, Semmel, 1958) და, თანამედროვე კონტექსტით, დასავლეთის იმპერიულ ამბიციებს ემსახურება, ხოლო მეორე რუსეთისას. ამასობაში უყურადღებოდ რჩება იმ ქვეყნების ინტერესები, რომლებზეც ვრცელდება სწორედ ეს ამბიციები. ეს კი, ჩვენი აზრით, ორივე გეოპოლიტიკური კონსტრუქციის – როგორც „ჰართლენდის“ თეორიის, ისე ევრაზიიზმის ცალმხრივობას, და როგორც შედეგი, შეზღუდულობას მონიშნავს. ეს გეოპოლიტიკური კონსტრუქციები მთლიანად შეესაბამება ეგრეთ წოდებულ „იმპერიულ გეოპოლიტიკას“ და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ახლა დღის წესრიგში დგება ეგრეთ წოდებული „დემოკრატიული გეოპოლიტიკის“ შემუშავების საკითხი (Papaia, 2010b; Толипов, 2007б, с. 22).

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ევრაზიიზმის წმინდა რუსული გაგება რამდენადმე განსხვავდება მისი თურქულ-მაჰმადიანური გაგებისგან (Laruelle, 2008b, pp. 145-170; Ларюэль, 2000); ამასთან, არის განსხვავება ევრაზიიზმის რუსეთის თურქულ-მაჰმადიანურ გაგებასა და იმას შორის, თუ როგორ ესმით ევრაზიიზმი ყაზახეთში (Laruelle, 2008b, pp. 171-187; Ларюэль, 2000). კერძოდ, რუსეთის თურქულ-მაჰმადიანური ხალხებისათვის ისინი არიან ერთადერთი, ვინც ნამდვილად განასახიერებს ევრაზიას, რუსეთი კი ნამდვილ ევრაზიულ სახელმწიფოდ იქცევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღიარებს და სათანადოდ შეაფასებს მაჰმადიანურ სამყაროს საკუთარ თავში; სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთისგან ელიან განაცხადოს, რომ ნაწილობრივ თურქულ და მაჰმადიანურ სახელმწიფოს წარმოადგენს. ამავე დროს, თურქულ-მაჰმადიანური ევრაზიიზმი, არ წარმოადგენს რა სეპარატისტულ

მოდერნებს, ცდილობს თურქ მაჰმადიანებს ადგილი დაუმკვიდროს ევრაზიაში, რომელიც ტერიტორიულად რუსეთის სახელმწიფოს უთავსდება (Ларюаჲ, 2000).

რუსეთისგან განსხვავებით, სადაც ევრაზიიზმის ყველაზე თავგამოდებული მომხრეები ხელისუფლებაში არ იმყოფებიან, ყაზახეთში ევრაზიიზმი სახელმწიფო იდეოლოგიას წარმოადგენს, რომელსაც თავად პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ქადაგებს¹. ევრაზიიზმისადმი მისი მიდგომა პრაგმატულია და რუსეთში ევრაზიიზმის საპირისპიროდ, ხაზს უსვამს ქვეყნის ევროპულ შემადგენელს, ამასთან შედარებით ნაკლებ ადგილს უთმობს ისლამს და აღმოსავლეთს, რითაც განპირობებულია კიდევ ეროვნული მრავალფეროვნების პოლიტიკა (Laruelle, 2008b, pp. 171-187; Ларюаჲ, 2000). როგორც ჩანს, ნაზარბაევს ევრაზიიზმისკენ უბიძგა, უწინარეს ყოვლისა, დემოგრაფიულმა სიტუაციამ ყაზახეთში, რომლის ჩრდილოეთშიც უმრავლესობას ეთნიკური რუსები წარმოადგენენ, რაც სახელმწიფოს ლიდერისგან განონასწორებულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას მოითხოვდა (Бжезинский, 2005a, с. 135). ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ნურსულთან ნაზარბაევის საგარეო პოლიტიკაში შეინიშნება არა მხოლოდ „პროევრაზიისტული“, არამედ არც მთლად „პროევრაზიისტული“ ნაბიჯები, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდა იმით, თუ როგორ მიუდგა ყაზახეთი რუსეთთან კოოპერირების გაღრმავებისადმი მხარდაჭერას, აგრეთვე ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა შორის შეთანხმებული სამხედრო თანამშრომლობის გაუმჯობესებას, რომ აღარაფერი ვთქვათ აზერბაიჯანისადმი მხარდაჭერაზე ნავთობის ტრანსპორტირებისათვის თურქეთის (და არა რუსეთის და/ან ირანის) შერჩევაში, და სანაპირო სახელმწიფოთა შორის კონტინენტური შეღვის და კასპიის ზღვის ბუნებრივი სიმდიდრეების საიდუმლო გაყოფის თავიდან აცილებაზე (Бжезинский, 2005a, сс. 175-176).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა რუსეთში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევრაზიიზმის მომხრენი ხელისუფლებაში არ

¹ ევრაზიისტულ მოძრაობაში ნურსულთან ნაზარბაევის როლის შესახებ იხ.: (Дугин, 2004a).

არიან, მაგრამ ელცინის პერიოდისგან განსხვავებით თანამედროვე ევრაზიისტები თავიდანვე უფრო მისაღები გახდნენ პუტინის ოფიციალური პოლიტიკის (Ingram, 2001, p. 1032), და, როგორც შედეგი, ევრაზიიზმი რუსეთის პოლიტიკურმა სპექტრმა სწრაფად აიყვანა გაბატონებული (mainstream) იდეოლოგიის დონეზე (Berman, 2001)¹. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს აზრი, თითქოს ვლადიმერ პუტინი მხოლოდ იფარგლებოდა ევრაზიისტების ფსევდოფილოსოფიური იდეოლოგიის გამოყენებით², თანამედროვე ევრაზიისტების პოლიტიკური რეკომენდაციებით მისი მთავრობა რეალურად არ ხელმძღვანელობდა (Schmidt, 2005). ასეთი მოსაზრების მართლზომიერებას ერთგვარად ეჭვის ქვეშ აყენებს ბოლოდროინდელი ამბები, როცა რუსეთი საერთაშორისო ასპარეზზე სულ უფრო მეტ აგრესიულობას ავლენს (იხ., მაგალითად, Aron, 2007; Kennedy, 2007; McFaul, 2007; Winik, 2007), რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოს წინააღმდეგ ომის შესახებ (მაგალითად, Chang, 2008; Cornell, Popjanevski and Nilsson, 2008; Латынина, 2008; Фельгенгауэр, 2008), რომელშიც მთავარ დამნაშავედ ვლადიმერ პუტინთან ერთად პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევიც უნდა ვაღიაროთ (მაგალითად, Traynor, 2008); ასეთი აგრესიული მოქმედება სავსებით შეესაბამება თანამედროვე ევრაზიისტების ექსპანსიონისტურ შეხედულებებს³. ამიტომ ბევრად უფრო სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ, თუმცა მიესაღებოდა ევრაზიისტების იდეებს, პუტინს მაინც ვერ ჩავთვლით ლიდერად, რომელიც მხოლოდ მათი (ევრაზიისტების) მოსაზრებებით ხელმძღვანელობს (Шлапентох, 2005), რადგან მიჩნეულია, რომ თანამედროვე რუსეთის პოლიტიკაში ევრაზიიზმი არ წარმოადგენს ერთადერთ, მონოლითურ პარადიგმას (Kerr, 1995). ამავე დროს რუსეთის სამხედრო აგრე-

¹ იხ. ასევე (Berman, 2002).

² ლამის კლასიკური გახდა საბჭოთა კავშირის დაშლის დახასიათება, რომელიც პრეზიდენტმა პუტინმა მისცა ამას 2005 წელს, როცა ეს „გეოპოლიტიკური კატასტროფად“ შეაფასა (იხ., მაგალითად, Friedman, George, 2008; Тренин, 2006, с. 155).

³ თანამედროვე რუსეთის საგარეო პოლიტიკის ამგვარი გაგების სანინალმდეგოდ ზოგიერთი მიაჩნტი (უკეთეს შემთხვევაში) დასავლელი ექსპერტი რუსეთის მხრიდან ექსპანსიონისტურ, ნეოიმპერიალისტურ საფრთხეს ამ ქვეყნის შესახებ ერთ-ერთ მითად მიჩნევს (Foglesong and Hahn, 2002, pp. 11-12).

სია და საქართველოს ოკუპაცია არცთუ უმართებულოდ იძლევა საფუძველს მივიჩნიოთ, რომ ხელისუფლებაში პუტინის მოსვლამ დასაბამი მისცა რუსეთში ნეოიმპერიულ ეპოქას (Asmus, 2008), თავად ეს აგრესია კი სხვა არა არის რა, თუ არა ნაბიჯი საბჭოთა კავშირის აღდგენისაკენ (O'Sullivan, 2008), ყოველ შემთხვევაში, რალაც ახალი ფორმით (Goble, 2008c); თუმცა ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ პუტინის მიზანი საბჭოთა კავშირის აღდგენა კი არ არის, არამედ პოსტსაბჭოთა სივრცეზე რუსეთის გავლენის აღდგენა (Friedman, George, 2008). ნებისმიერ შემთხვევაში, საქართველოსთან ომი მთლიანად შეესაბამება თანამედროვე რუსეთის ინტერესებს (Cornell, 2008a), თუმცა არცერთმა ქვეყანამ, ნიკარაგუას, ვენესუელას, ნაურუს, ვანუატუსა და ტუვალუს გარდა, მხარი არ დაუჭირა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას (Паин, 2008a, с. 39). ამრიგად, განუხორციელებელი დარჩა მოსკოვის მისწრაფება, რუსეთისათვის „დამოუკიდებელი პოლუსის“ სტატუსი მიენიჭებინა მრავალპოლარულ სამყაროში, რათა ამით უფრო გაზრდილიყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის მისი მიმზიდველობა (Penkova, 2008).

ჯერ კიდევ გორბაჩოვის, შემდეგ კი ელცინის ეპოქაში შეიქმნა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ცივი ომის ეპოქა დასრულდა¹ და ახალი რუსეთი მტკიცედ დაადგა ცივილიზებულ მსოფლიოსთან თანამშრომლობის, დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას. მაგრამ აგრესიამ, რომელსაც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ მიმართა 2008 წლის აგვისტოში, ცხადყო, რომ ცივი ომის დასრულება ეს იმდენად რეალობა კი არ არის, რამდენადაც დასავლეთის მიერ რეალობად მიჩნეული იმავე დასავლეთის სურვილი, სხვაგვარად რომ ვთქვათ ილუზია². გასული წლის 80-იანი წლების მეორე ნახევარსა და

¹ ცივი ომის დასრულების ანალიზის საკითხს არაერთი მონოგრაფია თუ სტატია ეძღვნება. ქართულენოვან პუბლიკაციებში განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზურაბ აბაშიძის გამოკვლევა, რომლის თანახმადაც ცივი ომის დასასრული ბერლინის კედლის დაწვრთვით უნდა დათარიღდეს (აბაშიძე, 2009, გვ. 12).

² სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ, თუმცა საყოველთაო შეფასებებით ცივი ომი დასრულებული იყო, იმასაც აღიარებდნენ, რომ ცივი ომის ეპოქიდან უამრავი პრობლემა იყო დარჩენილი გადაუწყვეტელი (Donaldson and Noguee, 2005, p. 119).

90-იანი წლების პირველ ნახევარში მომაკვდავი საბჭოთა კავშირი და მისი სამართალმემკვიდრე – ხელახლა შექმნილი რუსეთის სახელმწიფო იმდენად დასუსტებულნი იყვნენ პოლიტიკურად და ეკონომიკურად, რომ დასავლეთისგან ეკონომიკური დახმარების მიღების სურვილმა მოსკოვი აიძულა, დასავლეთისკენ, დასავლური ფასეულობებისკენ შებრუნებულიყო. ამავ დროს, რუსეთში ძლიერდებოდა დაკარგული იმპერიის მიმართ ნოსტალგია, ვითარდებოდა რევანშიზმით შეპყრობილი დამარცხებული ხალხის კომპლექსი, მსგავსად იმისა, როგორიც გერმანიაში ჩამოყალიბდა პირველი მსოფლიო ომის დროს, რამაც, საბოლოო ანგარიშით, მოიყვანა კიდეც ხელისუფლებაში ფაშისტები.

იქნება თუ არა ევროპაში ბირთვული დაპირისპირება? (Whitney, 2008). ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა კალინინგრადის ოლქში „ისკანდერ-M“ ტიპის სარაკეტო კომპლექსების განლაგების გეგმის შესახებ გამოაცხადა (Барабанов, 2008), იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა უარს არ იტყვის ევროპაში სარაკეტო ფარის განთავსებაზე (Isachenkov, 2008). შემთხვევითი არ არის, რომ საკითხის ასე დაყენება დასავლეთისა და საბჭოთა კავშირის ცივი ომის დროინდელ დაპირისპირებას გვაგონებს. ამიტომ ბევრი სვამს კითხვას იმის თაობაზე, დგას თუ არა მთელი მსოფლიო ახალი ცივი ომის ზღვარზე და თუ დგას, როგორ უნდა ავიცილოთ იგი (მაგალითად, Fukuyama, 2008; Райс, 2008). სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს საკითხი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომამდეც იდგა (მაგალითად, Brzezinski, 2007a; Cohen, 2006; Friedman, Thomas, 2008; Johnson, 2008; Kotkin, 2008; Lucas, 2008; MacKinnon, 2007).

პრაქტიკულად არავინ სვამს კითხვას იმის შესახებ, რომ XX საუკუნის ცივი ომი შეიძლება არც იყო დასრულებული¹, რომ იგი უბრალოდ „გაიყინა“, და, რომ ამჟამად მხოლოდ მისი „დნობა“ ხდება.

¹ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს ასეთი კითხვა დაისვა, თუმცა პასუხი დადებითი იყო (Simons, 1990).

იმის დასტურად, რომ დასავლეთი ხშირად თვალს ხუჭავდა რუსეთის არადემოკრატიულ მოქმედებაზე, შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტიც, რომ პრეზიდენტმა პუტინმა შეძლო დასავლელი პარტნიორები დაერწმუნებინა, თითქოს, ჩეჩენი ხალხის გენოციდი, რომელიც კრემლმა მოაწყო, თურმე ანტიტერორისტული ოპერაცია ყოფილა. ამასთან, კრემლმა ეს იმ პირობებში მოახერხა, როცა ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანიზაციები უკიდურესად მწვავედ აკრიტიკებდნენ მას ჩეჩენი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულისათვის.

რუსეთის საზოგადოებაში არსებული უკვე ნახსენები რევანშიზმის ფონზე ჩეჩენეთში განხორციელებულმა უსასტიკესმა სამხედრო ოპერაციებმა არნახულად გაზარდა კრემლის ავტორიტეტი ქვეყნის შიგნით. ეს პერიოდი დაემთხვა მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების მკვეთრ ზრდას, რამაც რუსეთის ეკონომიკური გაძლიერება განაპირობა. იმის წყალობით კი, რომ ევროპაში მოხმარებული გაზის 40 პროცენტი იქ სწორედ რუსეთიდან იგზავნება, მოსკოვის ხელთ აღმოჩნდა ქმედითი იარაღი, რომლის დახმარებითაც მას შეეძლო დასავლეთი იძულებული გაეხადა, ანგარიში გაენია მისთვის. გაუწიეს კიდეც ანგარიში, როცა სპეციალურად რუსეთისთვის შეცვალეს „დიდი შვიდიანის“ ფორმატი „დიდი რვიანის“ ფორმატით, რის შედეგადაც კრემლმა კიდევე უფრო მეტად ირწმუნა თავისი შესაძლებლობანი, რომ რუსეთი იქცა ძალად, რომელსაც მსოფლიომ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოს.

რუსეთი მართლაც სერიოზულ ძალად იქცა, თუმცა არა იმდენად, რომ, ვთქვათ, აშშ-ს მისთვის დაეჯერებინა და არ დაეწყო ანტიტერორისტული ოპერაცია ერაყში, ანდა ჩაშლილიყო კოსოვოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება. შედეგად კრემლში გაჩნდა სურვილი, უფრო ცხადად ეჩვენებინა მსოფლიოსათვის საკუთარი ძლიერება და შესაძლებლობანი. მართლაც, თუ აშშ სამხედრო ოპერაციას აწყობს მისგან ძალიან დაშორებულ ერაყში, რუსეთს, აქვს რა ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერის ამბიციია, რატომ არ შეუძლია რალაც მსგავსი გააკეთოს თავის

მეზობელ სახელმწიფოში – საქართველოში? და თუ დასავლეთის არაერთი სახელმწიფო აღიარებს კოსოვოს დამოუკიდებლობას, რუსეთს რატომ არ შეუძლია აღიაროს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, რითაც მთელ მსოფლიოს უჩვენებს, რომ მართლაც გახდა ძალა, რომელსაც ვერ უგულვებლყოფენ.

აქ იბადება კითხვა, რატომ იქცა რუსეთის სამიზნედ საქართველო? ამაზე პასუხის გაცემა არც ისე რთულია. ჯერ ერთი, არა მარტო საქართველო, არამედ ორივე სეპარატისტული რეგიონი – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი – უშუალოდ ესაზღვრებიან რუსეთს. მეორე, ამ ორივე რეგიონს სათავეში უდგანან კრემლის მარიონეტული მთავრობები, სეპარატიზმი კი ამ რეგიონებში თავიდანვე ინსპირირებული იყო და პოლიტიკურადაც და ეკონომიკურადაც მას განუხრელად მხარს უჭერდა კრემლი, რაც ამ უკანასკნელს მნიშვნელოვან საყრდენს უქმნიდა საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ სამხედრო აგრესიაში. მესამე, ვარდების რევოლუცია და ამ რევოლუციით ხელისუფლებაში მოსული მიხეილ სააკაშვილის მთავრობა კრემლმა ვაშინგტონის პროექტად მიიჩნია, ხოლო საქართველოს ნატოსკენ სწრაფვა რუსეთის ეროვნული ღირსების შეურაცხყოფად აღიქვა. და მეოთხე, რუსეთს სურდა (და დღესაც სურს), აკონტროლებდეს საქართველოზე გამავალ მილსადენებს.

დასავლეთი დიდხანს არ იყო მზად ეღიარებინა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში თბილისის პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, მოსკოვი იყო, და საქართველოს მთავრობას სთხოვდა, საერთო ენა გამოენახა კრემლთან მაშინაც კი, როცა მოსკოვმა სეპარატისტულ რეგიონებში დაიწყო რუსეთის პასპორტების დარიგება, ან როცა რუსეთში დაიწყო ეთნიკური ქართველების მასობრივი დევნა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთმა სამხედრო აგრესია და საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია განახორციელა, მთელი მსოფლიოსათვის ცხადი გახდა, რომ აქ არა უბრალოდ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის აშკარა გამოვლინებასთან, არამედ რუსეთისა და დასავლეთის ფასეულობებს შორის კონფლიქტთან გვაქვს საქმე.

საქართველოში სამხედრო წარმატებებით გამოწვეულ თავბრუ-დამხვევ ეიფორიაში კრემლმა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობა, არავითარი ანგარიში არ გაუნია არც იმას, რომ ამ სეპარატისტული რეგიონების მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეები არიან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რუსეთი აღიარებს ორ ისეთ ახალ სახელმწიფოს, რომელთა მცხოვრებლებსაც აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კი არა, არამედ, კრემლის მხარდაჭერით, რუსეთის მოქალაქეობა აქვთ. კრემლში ძალიან ხშირად უყვართ პარალელების გავლება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს და კოსოვოს შორის. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს, რომ კოსოვოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარებამდე მისი მცხოვრებლებისათვის თავისი მოქალაქეობა არ შეუთავაზებია არც აშშ-ს, არც რომელიმე სხვა სახელმწიფოს.

კრემლს თავიდანვე ადვილად შეეძლო მიმხვდარიყო, რომ ცივილიზებული მსოფლიო არ მოინონებდა რუსეთის ამგვარ მოქმედებას და არ აღიარებდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობას. თუნდაც დაეუშვათ, რომ რუსეთის გადანყვეტილებას მხარს დაუჭერს აშკარად დასაველეთის საწინააღმდეგოდ განწყობილი რამდენიმე სახელმწიფო, ეს მაინც ვერ შეცვლის ამინდს მსოფლიო მასშტაბით. მაშინ ისმის კითხვა, თუ რას ისახავს მიზნად მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება?

რალაც დროის გასვლის შემდეგ კრემლი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მარიონეტულ მთავრობებს აიძულებს რუსეთთან შეერთების საკითხზე გამართონ რეფერენდუმები, რომელთა შედეგების განჭვრეტა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს. შემდეგ ყველაფერს ასეთ ახსნას მოუძებნიან: თუ გაერო, ევროკავშირი, მსოფლიოს სახელმწიფოთა უმრავლესობა არ აღიარებენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, იქ მცხოვრებ ადამიანებს აღარ დარჩებათ სხვა არჩევანი, თუ არა ის, რომ შეუერთდნენ რუსეთს, მით უმეტეს, რომ ეს ადამიანები უკვე ისედაც რუსეთის მოქალაქეები არიან. არადა, რუსეთი გარდა იმისა, რომ საერთაშორისო სამართლის სუბიექტია, გაე-

როს უშიშროების საბჭოს წევრიცაა, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაიცვას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის ინტერესები, რომლებიც უკვე რუსეთის ახალ ტერიტორიაზე იცხოვრობენ. ამგვარად კრემლი აიხდენს სანუკვარ ოცნებას კავკასიონის ქედიდან სამხრეთისაკენ რუსეთის საზღვრების გაფართოების თაობაზე. ამასთან, დასავლეთს ბრალად დასდებს იმას, რომ, არ მოისურვებს რა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარება, ამით აიძულებს რუსეთი თავის შემადგენლობაში შეეყვანა საქართველოს ორი ისტორიული რეგიონი (Папava, 20086).

საქართველოს მიმართ რუსეთის სამხედრო აგრესია, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რუსეთის მიერ პრეზიდენტების, მედედევისა და სარკოზის ხელმოწერილი შეთანხმების უხეში დარღვევა, მოსკოვის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის ცალმხრივი აღიარება „დიდი შვიდეულის“ სახელმწიფოებთან კონსულტაციის გარეშე, ბუნებრივია, მთელ მსოფლიოს ცივი ომის ეპოქას ახსენებს (მაგალითად, Asmus and Holbrooke, 2008; Powell, 2008).

ომის გათვალისწინებით, რომ ცივი ომის მხარეები დღესაც იმავე ქვეყნებითაა წარმოდგენილი, როგორც გასულ საუკუნეში, ხოლო კონფლიქტის მიზეზი, მისი მამოძრავებელი მოტივები და კრემლის მოქმედების სტილი ასევე არ შეცვლილა (ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2008 წელს კრემლმა გადანყვიტა საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი შეეცვალა ისეთივე მეთოდებით, როგორითაც ის 1956 წელს უნგრეთში, ხოლო 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში მოქმედებდა), შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს არა ახალ ცივ ომთან, არამედ ძველი ცივი ომის განახლებასთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქმე გვაქვს იმ ცივი ომის განახლებასთან, რომელიც დასავლეთში მცდარად მიიჩნეეს დამთავრებულად: ის მხოლოდ დროებით „გაიყინა“. ახლა კი გალღვა (Jackson, 2008; Papava, 2009c) და მისი ფრონტის ხაზი დღეს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოზე გადის (Saakashvili, 2008).

რუსეთის გაზის პოლიტიკური ფასი, განსაკუთრებით ზამთარში, იმდენად დიდია (მაგალითად, Daly, 2008; Elder, 2009; Elkind and Chow, 2009; Runner, 2009), რომ აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნისგან განსხვავებით, რომლებსაც რუსეთის შესაძლო აგრესია უშუალოდ ემუქრება, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, როგორც ჩანს, კვლავ ამჯობინებენ თვალი დახუჭონ იმ რეალობაზე, რომელიც რუსეთში ყალიბდება დასავლეთის, დასავლური ფასეულობების მიმართ. სამწუხაროდ, ისტორია შეიძლება განმეორდეს, და რუსეთის მიმართ დასავლეთის ლოიალურობა (მაგალითად, Bush, 2008; Kuchins, 2008a, 2008b) კვლავ გამართლებული იქნება დასავლეთის მიერ თავის მოტყუებით, რომ რუსეთი ეს არ არის საბჭოთა კავშირი, და თითქოს, რუსეთისათვის უცხო არ არის დემოკრატიული გარდაქმნები და დასავლური ფასეულობები. არსებითად კი ეს ნიშნავს ცივი ომის „გაყინვას“ და საქართველოს მსხვერპლად შეწირავენ ვირტუალურ სიმშვიდეს ევროპასა და მთელ მსოფლიოში. ასეთ შემთხვევაში დასავლეთის მიერ საქართველოს დიპლომატიური და ფინანსური მხარდაჭერა (Papava, 2008c) შეიძლება გავიგოთ ისე, რომ დასავლეთი შინაგანად თანაუგრძნობს კავკასიის ამ პატარა ქვეყანას, და ამ მხარდაჭერით ცდილობს მის წინაშე ვალი მოიხადოს.

საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის ძირითადი გამოწვევაა ეფექტიანი ინსტრუმენტების შემუშავება ცივი ომის რეალური და არა ვირტუალური დასრულებისათვის, როგორც ეს იყო გვიან 1980-იან წლებსა და ადრეულ 1990-იან წლებში. სწორედ ამიტომაც დასავლეთისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი მექანიზმების შემუშავება რუსეთთან თანამშრომლობისათვის (Åslund and Kuchins, 2009a; Kuchins, 2008a, 2008b; Sestanovich, 2008).

არსებობს კიდევ უფრო „მკაცრი“ მოსაზრება რუსეთის საგარეო პოლიტიკის ხასიათის შესახებ, რომლის თანახმადაც თანამედროვე ევრაზიიზმის იდეები გაჩნდა გეოპოლიტიკური აზრის სამი პოლიტიკურად გავლენიანი სკოლის – ახალი მემარჯვენეების (New Right), ევრაზიისტი კომუნისტების (Eurasian Communists) და დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მომხრეთა (Democratic Statists) ბაზაზე, და რომ ამ უკანასკნელ სკოლას 1993

წლიდან მოყოლებული, უპირატესი მნიშვნელობა აქვს ოფიციალურ საგარეო პოლიტიკაში (Smith, 1999). ასეა თუ ისე, თავად პუტინს ლამის პრეზიდენტობის დაწყებისთანავე თანამედროვე ევრაზიისტიების „სრული მხარდაჭერა“ ჰქონდა (Yasmann, 2001).

ფეოქნებოდა რა პირველი ევრაზიისტიების მემკვიდრეობას და განაახლა რა იგი, XX საუკუნის 80-იანი წლების დამლევადან „ნეოევრაზიზმი“ თანდათან სრულიად რუსეთის პოლიტიკურ საზოგადოებრივ მოძრაობად „ევრაზია“, ოდნავ მოგვიანებით კი პარტიად „ევრაზია“ (Дугин, ред., 2004, сс. 3-100) და საერთაშორისო ევრაზიისტულ მოძრაობად (Dugin, 2005) გადაიქცა. უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამად უამრავი პუბლიკაცია დაგროვდა ევრაზიზმის თემაზე (იხ., მაგალითად, Антошенко и Кожанова, ред., 2000), და ევრაზიზმის იდეები ლამის მთავარი დისკურსი ხდება პოსტსაბჭოთა სივრცეში (Ларюэль, 2000), რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ეს იდეები პოპულარობას ევრაზია-რუსეთის ფარგლებს გარეთაც იძენს (იხ., მაგალითად, Парвулеско, 2006).

არსებობს ნეოევრაზიზმის რამდენიმე კლასიფიკაცია. ერთ-ერთის თანახმად, ნეოევრაზიზმი იყოფა სამ ძირითად მიმდინარეობად (Ларюэль, 2000):

- პირველი მათგანი კვალიფიცირდება როგორც უკიდურესად მემარჯვენე მიმდინარეობა, რომელსაც გამოხატული ექსპანსიონიზმი ახასიათებს;
- მეორე ყურადღებას ამახვილებს უფრო კულტურასა და ფოლკლორზე, სლავურ-თურქულ კავშირზე;
- მესამე იცავს „იმპერიის“ ცნებას, ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ იმპერია არის „სახელმწიფოებრიობის“ განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ერის კულტს გამორიცხავს და პოლიტიკური თვალსაზრისით ხელს უწყობს მრავალფეროვნებას ევრაზიაში.

მეორე კლასიფიკაციის თანახმად, ნეოევრაზიზმი ასევე სამი მიმდინარეობისაგან შედგება (იხ., მაგალითად, Нартов и Нартов, 2007, сс. 148-149):

- იმპერიული კონტინენტური მასშტაბის ეროვნული იდეოკრატია;

- კონტინენტური რუსულ-ირანული კავშირი;
- და ეკონომიკური ევრაზიიზმი.

პირველი მიმდინარეობის წარმომადგენლები უპირისპირდებიან ლიბერალურ დასავლურობას, ატლანტიზმს და ამოცანად ისახავენ შექმნან ევრაზიისტული სოციალიზმის იმპერია.

მეორე მიმდინარეობა ეფუძნება რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორობას ირანთან და ერაყთან, რომლებიც მოკავშირეებად გამოდიან ატლანტიზმისა და მონდიალიზმის წინააღმდეგ, სკეპტიკურად ეკიდებიან ევროპეიზმს, და იმავდროულად ბევრი საერთო აქვთ ისლამურ „სოციალიზმთან“, ევროპულ ნაციონალ-ბოლშევიზმთან და ა. შ.

მესამე მიმდინარეობა კი კონცენტრირებულია ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის იმ იდეის გარშემო, რომ აღდგეს საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ეკონომიკური ურთიერთანამშრომლობა (Нартов и Нартов, 2007, с. 149).

რაში მდგომარეობს რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობა? ეს სახელმწიფოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოწყობის შესახებ წარმოდგენების პრინციპულად განსხვავებული სისტემაა, თუ უბრალოდ ნებისმიერ ფასად იმპერიის აშენების თეორიული საფუძველია?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ცხოვრების, ეკონომიკის მოწყობის ევრაზიისტული მოდელი, რომ არაფერი ვთქვათ ეგრეთ წოდებულ ევრაზიისტულ ფასეულობებზე, არსებითად განსხვავდება საყოველთაოდ აღიარებული მოდელებისა და ფასეულობებისგან¹. უფრო მეტიც, ევრაზიისტებისთვის ერთიან ცივილიზაციაში რუსეთ-ევრაზიის შესვლის შესახებ საკითხი სულაც არ იყო უსაფუძვლო (იხ., მაგალითად, Уткин, 2006).

ევრაზიისტული სახელმწიფოს თეორია ემყარება სამართლებრივი სახელმწიფოსგან პრინციპულად განსხვავებულ კონსტრუქციებს. ხალხების, სახელმწიფოს და საზოგადოების, რო-

¹ ევრაზიისტების მტკიცებით, სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ცხოვრების და ეკონომიკის მოწყობა უნდა ემყარებოდეს რუსეთის საზოგადოების ტადრეულობასა და თემურობას, რაც, ემილ პაინის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მხოლოდ და მხოლოდ მითია (Паин, 2008в, с. 18).

გორც ერთიანი ბუნებრივი წარმონაქმნების ფილოსოფიური გააზრებიდან გამომდინარე, ევრაზიიზმი განავითარებს „სავალდებულო სახელმწიფოს“, როგორც „სამართლებრივი სახელმწიფოს“ ალტერნატივის თეორიას. ძირითადად ვალდებულებით ანაცვლებენ რა სამართალს, ეს უკანასკნელნი, საუკეთესო შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნენ მხოლოდ იმ იურიდიული საკითხების მიმართ დაქვემდებარების თვალსაზრისით, რომლებიც უფრო მოსახერხებელია სამართლის პოზიციებიდან განიხილებოდა (Дугин, 2002e, сс. 525-528).

გასაკვირი არ არის, რომ ევრაზიისტების თვალსაზრისით „სამოქალაქო საზოგადოება“ ხელს უწყობს სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებას და აბრკოლებს რუსეთის (ანუ ევრაზიის) ხალხთა რეალურ ერთიანობას. უარყოფენ რა „სამოქალაქო საზოგადოებას“, ევრაზიისტები მის ნაცვლად გვთავაზობენ „ევრაზიისტულ ცენტრალიზმს“, როგორც სტრატეგიული ინტეგრაციის შეხამებას რუსეთ-ევრაზიის ავტონომიების მრავალფეროვნებასთან (Дугин, 2002г, сс. 604-605).

რთული შესამჩნევი არ არის, რომ ადამიანს, საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის ევრაზიისტული ხედვა გამომდინარეობს იმ ძლიერი სახელმწიფოს აუცილებლობიდან, რომელიც საჯარო მოხელეთა ფართო ქსელსა და პატრიარქალური ინსტიტუტების შენარჩუნებას ემყარება (Орлов, 2001).

სახელმწიფო მონყობაში ევრაზიისტები განსაკუთრებულ ადგილს უთმობენ ფედერალიზმის პრობლემას (Дугин, 2004в, сс. 208-215). მათი რწმენით, ავტონომია ეს არის თვითმმართველობა და იგი სახელმწიფოებრიობის ნებისმიერ ატრიბუტს უნდა გამორიცხავდეს. ამასთან, ავტონომიის ზომები შეიძლება რამდენიმე ოჯახიდან მთელ ხალხებამდე მერყეობდეს, რის საფუძველზეც მსხვილ ავტონომიებში უფრო მცირე ავტონომიები შეიძლება შედიოდეს. ტიპის მიხედვით ავტონომიები შეიძლება იყოს ეროვნული, ეთნიკური, თეოკრატიული, რელიგიური, კულტურულ-ისტორიული, სოციალურ-სამრეწველო, ეკონომიკური, ენობრივი და თემური. დაუსახლებელი და ნაკლებად დასახლებული ტერიტორიები, თუ იქ არანაირი თემი არ სახლობს, შეიძლება ფედერალურ მიწებად გამოცხადდეს. ავ-

ტონომიებს ენიჭებათ მხოლოდ სასამართლოების, სამართალდამცავი ორგანოების, მართვისა და კონტროლის ფუნქციები. ევრაზიის სივრცის შიგნით არ უნდა არსებობდეს საზღვრის ცნება, რადგან მისი ადგილი უნდა დაიკავოს ცნებამ „მიჯნა“, რომელსაც არ უნდა ჰქონდეს იურიდიული ძალა და არ უნდა იყოს ფიქსირებული. რუსეთ-ევრაზიის ეკონომიკური განვითარების არაერთგვაროვნების გათვალისწინებით ევრაზიის ტიპი ვარაუდობენ შეიქმნას „განვითარების პოლუსები“, ანუ ეკონომიკური ცენტრები, რომლებსაც მიენიჭებათ ექსტერიტორიული, საერთო-ევრაზიული სტატუსი და ექნებათ დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმი (Дугин, 2004в, с. 296).

ევრაზიის ტიპი მიიჩნევენ, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ქვეყნებმა, აგრეთვე სერბეთმა, მონღოლეთმა და სხვებმა ინტეგრირება უნდა მოახდინონ, ნურსულთან ნაზარბაევის ტერმინოლოგიიდან გამომდინარე, „ევრაზიის კავშირში“ (Дугин, 2004а, с. 86) (ანუ „სახელმწიფო-კონტინენტში“ – ევრაზიის სახელმწიფოში), რომელსაც ექნება საერთო ეკონომიკა, საერთო-სატრანსპორტო არტერიები, საერთო-კოლექტიური უსაფრთხოების სისტემა და საერთო-წარმომადგენლობითი ორგანოების სისტემა (Дугин, 2004в, сс. 280-284). რუსეთის საზღვრების გაფართოება მის შემადგენლობაში უკრაინისა და ბელარუსის შეყვანით, კვალიფიცირდება როგორც „ზომიერ“ (Moderate), ანუ „სლავურ“ (Slavic) ევრაზიიზმად, ხოლო რუსეთის საზღვრების ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებამდე გაზრდა – „უკიდურესად“ (Extreme), ანუ „საბჭოთა“ (Soviet) ევრაზიიზმად (O’Loughlin and Talbot, 2005, pp. 37-44). არსებობს კიდევ, რბილად რომ ვთქვათ, ღიმილის მომგვრელი, დროში განერილი ეგრეთ წოდებული ევრაზიული რუსეთის სამოკავშირეო სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროექტი, რომელსაც 2006 წლიდან 2014 წლამდე უნდა მოეცვა არა მხოლოდ დსთ-ის ქვეყნები, არამედ ალბანეთი, მაკედონია, მონღოლეთი, სერბეთი, ჩერნოგორია, აგრეთვე ასოცირებული წევრების განსაკუთრებული უფლებებით – ბულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, ისრაელი, ლიბანი, პოლონეთი, სირია, სლოვაკეთი, სლოვენია, ბალტიის ქვეყნები, რუმინეთი,

თურქეთი, ხორვატია, ჩეხეთი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, სამხრეთ კორეა (Панарин, 2006, сс. 539-543).

ევრაზიისტიებისთვის ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ევრაზიული სახელმწიფოს, ევრაზიული ცივილიზაციის, ევრაზიული კულტურის იდეას (Дугин, 2002з, с. 627). ამიტომ ევრაზიისტიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ევრეთ ნოდებული „ჰეტეროდოქსული ეკონომისტების“ მოძღვრებებს, რომლებიც ეკონომიკას განიხილავენ როგორც კულტურიდან ნაწარმოებს, და რომლებისთვისაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკის ხასიათის განმსაზღვრელ ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ისტორიული, კულტურულ-ცივილიზაციური, სივრცობრივი და ეროვნული. „ჰეტეროდოქსული ტრადიციების“ (ამ „ტრადიციების“ ავტორთა რიცხვს ევრაზიისტიები მიაკუთვნებენ ისეთ გამოჩენილ ეკონომისტებს, როგორებიც არიან სისმონდი, ლისტი, კეინზი, შუმპეტერი, შმოლერი, პერუ, გეზელი და სხვ.) ყველა ეკონომიკური თეორია, გაერთიანებული ევრეთ ნოდებულ „ეკონომიკის მესამე გზის“ (Дугин, 2002з, с. 627) ბლოკში, უპირისპირდება ეკონომიკურ ორთოდოქსიას – სოციალისტურსა და ლიბერალურ-კაპიტალისტურს. ევრაზიისტიებისთვის ბაზარი და კერძო საკუთრება განეკუთვნება პრაგმატულად დასაშვებ და პრაგმატულად სასარგებლო სფეროს, რის საფუძველზეც ისინი აღიარებენ არა „საბაზრო საზოგადოებას“, არამედ „ბაზრის მქონე საზოგადოებას“, სადაც საბაზრო პრინციპი არ უნდა ემუქრებოდეს იდეოკრატიის, ანუ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში იდეალური საწყისის დომინირების საფუძველს (Дугин, 2002з, с. 629). ნათქვამიდან გამომდინარე, ევრაზიისტიული ეკონომიკის ამოცანაა ევრაზიის სახელმწიფოში მცხოვრები კონკრეტული ხალხების კულტურულ-ისტორიული გზის ამსახველი ყველა ეკონომიკური სისტემის შენარჩუნება და განვითარება (Дугин, 2004в, с. 286).

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ევრაზიისტიული მრავალწყობიანობა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგ საფუძველზე (Дугин, 2004в, с. 288):

- სახელმწიფო კონტროლი სტრატეგიულ დარგებში (ანუ ევრაზიაში სახელმწიფო საკუთრებაში უნდა იყოს მიწა, მდინარეები, ტბები, ზღვები, სასარგებლო წიაღისეული და მათი მომპოვებ-

ლი და პირველადი გადამუშავების სანარმოები, შეიარაღებული ძალები, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, საერთო-ევრაზიული ვალუტის ემისიის განმახორციელებელი ფინანსური ინსტიტუტი, საპენსიო ფონდები, სატრანსპორტო მაგისტრალები, ენერგეტიკა;

- თავისუფალი ბაზარი წერილ და საშუალო წარმოებაში, ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში;

- და კოლექტიური მეურნეობრიობის მრავალფეროვანი ფორმები (ანუ კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები და ა. შ., რომლებიც დაშვებულია მრეწველობაში, მშენებლობაში, საბანკო-საკრედიტო და საბირჟო სფეროებში, სამედიცინო მომსახურებაში, განათლებაში, კულტურაში და ა. შ.).

„საკუთრების პრინციპს“ ევრაზიისტები ამჯობინებენ „ფლობის პრინციპს“, როცა მესაკუთრემ უნდა იხელმძღვანელოს სოციალური პასუხისმგებლობით და ორიენტირება მოახდინოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიზნებზე (Дугин, 2004в, с. 289), ანუ მესაკუთრე თავისი საკუთრების გამოყენებისათვის პასუხისმგებელი უნდა იყოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე (Дугин, 2004в, с. 288). ამასთან, სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ეროვნულ მენარმეობას, განახორციელოს პატერნალისტური პოლიტიკა, თანაც გამოიყენოს სატარიფო და არასატარიფო პროტექციონიზმის მექანიზმები (Дугин, 2004в, с. 290). ევრაზიულ სახელმწიფოდ რუსეთის ფედერაციის გაფართოების პროცესს წინ უნდა უძღოდეს დსთ-ის ქვეყნებზე აღნიშნული პატერნალისტური პოლიტიკის გავრცელება, მათი „საბაჟო კავშირში“ ჩართვისა და დსთ-ის საზღვრებში „ერთიანი ეკონომიკური ზონის“ ჩამოყალიბების გზით (Дугин, 2004в, сс. 290-291).

რუსეთ-ევრაზიის ეკონომიკა, ზემოთ განხილულ პრინციპებზე დაფუძნებული, აყალიბებს დამოუკიდებელ ეგრეთ წოდებულ „მეოთხე ზონას“, რომელიც არა მხოლოდ არსით განსხვავდება დანარჩენი გიგანტური ეკონომიკური ზონებისგან – ამერიკული, ევროპული და წყნარი ოკეანის ზონებისგან, არამედ უპირისპირდება კიდევ მათ (Дугин, 2002ж). დანარჩენებისგან „მეოთხე ზონის“ პრინციპული განსხვავება ასახვას პოულობს ამა თუ იმ

პოსტსაბჭოთა სახელმწიფოს მიერ ევროპული თუ ევრაზიისტული გზის არჩევის პრობლემაშიც (იხ., მაგალითად, Жалило, 2003).

ევრაზიისტების ძირითადი შეხედულებების განხილვისას უნებლიეთ დგება საკითხი იმის შესახებ, თუ რა უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ის ზემოთ განხილული პრინციპები, რომელთა საფუძველზეც უნდა აშენდეს ევრაზიული სახელმწიფო, თუ რუსეთის იმპერიის აღდგენა ნებისმიერ ფასად. საკითხის ამგვარად დასმა პროვოცირებულია, უნინარეს ყოვლისა, იმით, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუმცა ევრაზიისტები უარყოფითად ეკიდებიან მარქსიზმს, მაინც მიესალმნენ საბჭოთა ნყობილების დამყარებას, რამაც რუსეთის ტერიტორია გაზარდა. ასევე უარყოფითად არიან რა განწყობილნი ლიბერალურ-კაპიტალისტური ორთოდოქსიისადმი (რაც ასევე აღვნიშნეთ ზემოთ), ევრაზიისტების თანამედროვე ლიდერებმა რამდენადმე ფრთხილად აღიქვეს ანატოლი ჩუბაისის იდეა ეგრეთ წოდებული „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის შესახებ¹ (Чубайс, 2003) (რომლის

¹ ჩუბაისის „ლიბერალური იმპერიის“ იდეა განსაკუთრებით პოპულარული იყო 1998-2005 წლებში (Simons, 2008, pp. 70-81). უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ „ლიბერალური იმპერიის“ იდეა არ არის რუსული წარმომავლობის (იხ., მაგალითად, Крупнов, 2005), და რომ იგი პირველად ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში წამოაყენეს დიდ ბრიტანეთში (იხ., მაგალითად, Matthew, 1973), რომელიც შემდეგ XX საუკუნის დამლევს განვითარდა (მაგალითად, Reiff, 1999) და მკვეთრად ამერიკული „ელფერი“ შეიძინა (მაგალითად, Farrell, 2005). როგორც ჩანს, უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ „ლიბერალური იმპერიის“ რუსული ვერსიის ჩამოყალიბების დაჩქარებას განსაკუთრებული ზიძგი მისცა აშშ-ის სამხედრო მოქმედებამ ავღანეთსა და ერაყში (Torbakov, 2003), როგორც ამერიკული „დემოკრატიული იმპერიის“ ჩამოყალიბების შესაძლებლობამ (Kurtz, 2003). ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ამჟამად საკმაოდ გავრცელებულია თანამედროვე ამერიკული იმპერიის სხვადასხვა ვარიანტების კრიტიკული ანალიზი (მაგალითად, Amsden, 2007).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის პოლიტიკაში ერთმანეთთანაა კავშირში „ენერგეტიკული დამოკიდებულება“ („Energy Dependence“) და „პოლიტიკური დამოუკიდებლობა“ („Political Independence“), როცა ერთის გაძლიერებით მეორე სუსტდება (Smith, 2004, pp. 5-8). შემთხვევითი როდია, რომ რუსეთისთვის, „ლიბერალური იმპერიის“ ჩამოყალიბებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მიზანმიმართულ წინსვლას „ენერგეტიკული იმპერიის“ შექმნისკენ (Hill, 2004), რომელიც მნიშვნელოვანწილად ეფუძნება პუტინისეულ მითს რუსეთის „ენერგეტიკულ ზესახლმწიფოდ“ ჩამოყალიბების შესახებ (Shevtsova, 2007, pp. 133, 194). მოსკოვის ენერგეტიკული პოლიტიკა ხელს უწყობს „ახალი ეკონომიკური იმპერიალიზმის“ („New Economic Imperialism“) ჩამოყალიბებას, რომელიც ვრცელდება არა მარტო გარე სამყაროზე, არამედ თავად რუსეთზეც და მის ეკონომიკაზეც (Goldman, 2008a, 2008b, pp. 172-176). მოცემულ კონტექსტშია განსახილავი რუსეთის ენერგეტიკული სტრატეგია ევროპის მიმართაც (Bugajski, 2008, pp. 73-80).

თანხმდაც, რუსეთს ეკონომიკური ექსპანსიის გზით (მაგალითად, Crane, Peterson and Olikier, 2005)¹ შეუძლია და კიდევ უნდა აღადგინოს ეკონომიკური გავლენა (იხ., მაგალითად, Kissinger, 2002, p. 76) მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეზე), თუმცა ბოლოს მაინც მიესალმნენ ამ იდეას (Yasmann, 2004) და იმავდროულად რუსეთის იმპერიის აღდგენის ეს პროექტი „ლიბერალ-ევრაზიზმად“ მონათლეს (Дугин, 2004a, сс. 99-103).

საყურადღებოა, რომ რუსეთ-ევრაზიის იმპერიის მოწყობის მოყვანილი შეხედულებები სათავეს იღებს პირველი ევრაზიისტიების ნაშრომებში და განავითარეს მათმა თანამედროვე მიმდევრებმა, რომლებიც თავს ნეოევრაზიისტებს უწოდებენ. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ნეოევრაზიზმს მეტი აგრესიულობა ახასიათებს², ვიდრე XX საუკუნის 20-იანი წლების ევრაზიზმს, თუმცა ორივეს „ანათესავებს“ იმის რწმენა, რომ რუსეთი დიდი სახელმწიფოა და, საერთაშორისო ურთიერთობებში რუსეთის ადგილს გეოპოლიტიკაში აქვს გადგმული ფესვები (Rangsimaporn, 2006, p. 380).

საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ნეოევრაზიზმის თანამედროვე კრიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს მოძღვრება:

1. განიცდის საბჭოთა სტილის მარქსიზმ-ლენინიზმის ძლიერ ზეგავლენას (Tchantouridze, 2004);

2. არის მარქსიზმისა და ნაციონალიზმის ნარევი (Shlapentokh, 1997);

¹ მის „არქიტექტორთა“ ჩანაფიქრით „ლიბერალური იმპერია“ უნდა შეიქმნას არა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ძალადობრივი შეიარაღებული ოკუპაციის გზით, არამედ მათ ტერიტორიაზე მდებარე ძირითადი ეკონომიკური ობიექტების დაუფლების საშუალებით (აქტივების შექმნისა და განვითარების გზით). ამ მიმართულებით რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული რეალური ნაბიჯები (მაგალითად, პაპავა და თაფლაძე, 2009, ხადური 2008, Панава и Старр, 2006) ყოველთვის არ შეესაბამებოდა ლიბერალიზმის საყოველთაოდ აღიარებულ ფასეულობებს (მაგალითად, Панава, 2007a), რაც არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ პუტინის რუსეთის რეჟიმის საკმაოდ არადემოკრატიულ და არალიბერალურ ხასიათს (მაგალითად, Åslund 2005, Trenin, 2005).

² ნეოევრაზიისტიების აგრესიული ხასიათის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ მათი ლიდერის, ალექსანდრე დუგინის დამოკიდებულება საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ომისადმი, საქართველოს ოკუპაციისადმი (მაგალითად, Дугин, 2008a).

3. ერთ რიგშია ბოლშევიზმთან და ფაშიზმთან (Ingram, 2001), აგრეთვე სლავოფილიზმთან, პანსლავიზმთან, ანტისემიტიზმთან და სტალინიზმთან (Umland, 1998, p. 92);

4. ახდენს რუსული კულტურისა და ისტორიის ფალსიფიცირებას (Орешкин, 2001).

დღეისათვის ევრაზიიზმი ულტრამემარცხენე და ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსების გამაერთიანებელი თანამედროვე რუსული „წითელ-მიხაკისფერი“ კოალიციის გეოპოლიტიკურ თეორიულ საფუძვლად იქცა (Clover, 1999, p. 9).

ევრაზიის სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეის რეალიზაციის გზაზე ყაზახეთის პრეზიდენტის, ნურსულთან ნაზარბაევის მიერ ინიცირებული იქნა დსთ-ში საბაჟო კავშირის შექმნა (Дугин, 2004a, c. 86), რომელშიც შევიდნენ რუსეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი. ევრაზიისტული ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახდა საბაჟო კავშირში შემავალი ქვეყნების მიერ ევრაზიის ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციის, ახალი პოლიტიკური გაერთიანების ფაქტობრივი ბირთვის შექმნა. ეკონომიკური გაერთიანების სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციას 2006 წლის იანვარში უზბეკეთიც შეუერთდა. ევრაზიისტული ინტეგრაციის გაღრმავებისკენ მნიშვნელოვანი წინსვლა იყო 2003 წელს რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის და ბელარუსის მიერ „ერთიანი ეკონომიკური სივრცის“ ორგანიზაციის შესახებ ხელშეკრულების დადება. საინტერესოა, რომ პირველი წლების გამოცდილება ცხადყოფს ინტეგრირებულ სახელმწიფოთა შორის მთელი რიგი წინააღმდეგობების არსებობას, რომლებიც გამონეულა, უწინარეს ყოვლისა, ხშირ შემთხვევაში მათი ინტერესების შეუთავსებლობით (იხ., მაგალითად, Ултанбаев, 2003, сс. 158-161, 2006, сс. 47-49).

არსებობს ევრაზიული ეკონომიკური კავშირისა (Eurasian Economic Union) და ევრაზიული ენერგეტიკული თანამეგობრობის (Eurasian Energy Community) შექმნის პროექტებიც. ისინი მოიცავს ცენტრალურ აზიას, კავკასიასა და აღმოსავლეთ ევროპას, და მიზნად ისახავს, რუსეთი გადააქციოს ევრაზიის ენერგეტიკულ,

სატრანსპორტო და, საბოლოო ანგარიშით, ეკონომიკურ შაბად (Hahn, 2002).

ევრაზიული სახელმწიფოს შექმნის პერსპექტივების თაობაზე ევრაზიისტიების ოპტიმიზმის საპირწონედ რუსეთისათვის ყველაზე სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს არა გაფართოება, არამედ თავისი ერთიანობის შენარჩუნება¹, რაც ვლინდება ციმბირის შენარჩუნების პრობლემაში, რომელიც გამონვეულია რუსეთში დემოგრაფიული ვარდნითა და ჩინეთში საპირისპირო ტენდენციებით (Бжезинский, 2005б, сс. 139-140).

ალიარებს რა რუსეთის მიზანს, აღადგინოს იმპერია, ამერიკის შეერთებული შტატები თავის ძირითად ამოცანებად მიიჩნევს, ხელი შეუწყოს რეგიონში გეოპოლიტიკური პლურალიზმის ტენდენციების გაძლიერებას, საზოგადოების მოდერნიზაციის გაღრმავებას, საბაზრო ეკონომიკის საფუძველზე პოლიტიკური სისტემის დეცენტრალიზაციას, რის შედეგადაც რუსეთი შეძლებს გახდეს კონფედერაცია, რომელშიც შევიდოდა რუსეთის ევროპული ნაწილი, ციმბირის რესპუბლიკა და შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკა (Бжезинский, 2005а, сс. 239-240). ასეთი რეკომენდაცია ძირეულად მიუღებელია არა მარტო ევრაზიისტიებისათვის, არამედ თავად სრულიად რუსეთის ნაციონალური იდეისათვის, შექმნას იმპერიული სახელმწიფო, რომელიც მოიცავს ყოფილ საბჭოთა სივრცეს, და არა მხოლოდ. ზბიგნევ ბუეზინსკის მოცემულ ვერსიაზე მხოლოდ „მორალური რევანში“ შეგვიძლია ვუნოდოთ ცნობილი რუსი ევრაზიისტის, იგორ პანარინის სცენარს იმის თაობაზე, რომ შეერთებული შტატები ექვს ნაწილად დაიშლება, ხოლო ალასკა რუსეთს დაუბრუნდება (Osborn, 2008).

ევრაზიისტიების თანამედროვე ინტერპრეტაციებში ნეოევრაზიისტიების გარდა უნდა გამოვყოთ ეგრეთ ნოდებული „პრაგმატული ევრაზიიზმი“ და „ცივილიზაციათაშორისი ევრაზიიზმი“

¹ იხ., მაგალითად, Тихонравов Ю.В. Хрестоматия от геополитики к хронополитике, საიტზე http://vasilievaa.narod.ru/gu/stat_rab/book/Geopolitika/Hrestomatia5.aspx.htm, ნიგნში: Тихонравов Ю.В. *Начала геополитики*, საიტზე http://vasilievaa.narod.ru/gu/stat_rab/book/Geopolitika/Geopolitika.htm.

(Rangsimaporn, 2006); პირველ მათგანს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იყენებს რუსეთის ინტერესების ლეგიტიმაციისათვის ერთდროულად დასავლეთშიც და აზიაშიც ამ ორ ვექტორს შორის განონასწორებელი საერთაშორისო პოლიტიკის განხორციელების დასაბუთების მიზნით; ხოლო მეორე ფოკუსირდება რუსეთის, როგორც ევროპისა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის გამაერთიანებელი ხიდის უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობის პრაგმატულ გამოყენებაზე, რაც ხაზს უსვამს კონტინენტებს შორის რუსეთის „ცივილიზაციათაშორის“ ფუნქციას. ალენიშნავთ, რომ, ჩვენი აზრით, „ცივილიზაციათაშორისი ევრაზიიზმი“ ალბათ არ იმსახურებს ევრაზიისტობის ინტერპრეტაციის დამოუკიდებელ ვარიანტად განხილვას, და არა მარტო იმიტომ, რომ ის ფართოდ გავრცელებული არ არის (Rangsimaporn, 2006, p. 372), არამედ იმიტომაც, რომ ფაქტობრივად გამოიყენება „პრაგმატული ევრაზიისტობის“ დასაბუთებისათვის (Rangsimaporn, 2006, p. 383), ხოლო მისი ავტორი მიხეილ ტიტარენკო (Титаренко, 1998) კი ნეოევრაზიისტობის მომხრეა (Rangsimaporn, 2006, p. 383).

თანამედროვე რუსულ გეოპოლიტიკურ აზროვნებაში ევრაზიიზმის უფრო დეტალური კლასიფიკაციის თანახმად შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ხუთი ჯგუფი: „ექსპანსიონისტები“ (Expansionists), „ცივილიზაციონისტები“ (Civilizationists), „სტაბილიზაციონისტები“ (Stabilizers), „გეოეკონომისტები“ (Geoeconomists) და „დასავლელები“ (Западники, Westerners) (Tsygankov, 2003):

- „ექსპანსიონისტები“ ატლანტიზმსა და თავისუფალ ვაჭრობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან აიგივებენ და ეს რუსეთისათვის ძირითად საფრთხედ მიაჩნიათ, ამიტომ მას (რუსეთს) მიიჩნევენ კულტურულად ანტიდასავლურ სახელმწიფოდ, იმპერიად, რომელიც, ამასთან, ტერიტორიულად მუდმივად ფართოვდება;

- „ცივილიზაციონისტები“ ითვლებიან თანამედროვე პროკომუნისტურ პოლიტიკოსებად და იდეოლოგებად, რომლებიც ასევე რუსეთის სახით ხედავენ მხოლოდ და მხოლოდ იმპერიას, ოღონდ ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებში;

- „სტაბილიზაციონისტები“ ტრადიციული ტერიტორიული იმპერიის ნაცვლად რუსეთს ანიჭებენ პოსტკომუნისტურ ევრაზიაზე არაფორმალური კონტროლის როლს, რადგან მიაჩნიათ, რომ რუსეთის, როგორც დიდი სახელმწიფოს (Великая держава, Great Power) გარეშე შეუძლებელია ამ რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნება;

- „გეოეკონომისტებს“, უნარჩუნებენ რა რუსეთს ევრაზიული იდენტურობის იმიჯს, მიაჩნიათ, რომ რუსეთს ევრაზიის რეგიონზე კულტურული კი არა, ეკონომიკური გავლენა უნდა ჰქონდეს, და ევრაზიის „ცენტრში“ თავისი ყოფნის უპირატესობის გამოყენებით უნდა განახორციელოს ტრანსნაციონალური ეკონომიკური პროექტები, რისთვისაც უნდა მიიზიდოს ინვესტიციები როგორც დასავლეთიდან, ისე აზიის სახელმწიფოებიდან;

- რუსული „ვესტერნიზმის“ (Russian Westernism) სკოლის წარმომადგენლებისათვის რუსეთი არსებითად ევროპული ქვეყანაა, რომელმაც თავი უნდა გააიგივოს უმთავრესად დასავლეთთან, ხოლო მისი როლი ევრაზიაში უნდა შემოიფარგლოს ლიბერალური დემოკრატიის სტანდარტების დამკვიდრებით.

ჩვენი აზრით, რუსული „ვესტერნიზმის“ სკოლის წარმომადგენლების ევრაზიისტებთან მიკუთვნება სწორი არ იქნება, რადგან ისინი რუსეთის ისეთ სტრატეგიას უჭერენ მხარს, რომელიც მას თანდათან ჩამოაცილებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს (Tsygankov, 2003). თანაც ამ სკოლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლის, დიმიტრი ტრენინის ფართოდ ცნობილ წიგნს, რომელიც მიზანმიმართულად ავითარებს თანამედროვე რუსული „ვესტერნიზმის“ იდეებს, სიმბოლურად „ევრაზიის დასასრული“ ეწოდება (Trenin, 2002). რუსეთის, როგორც „ახალი დასავლეთის“ ჩამოყალიბების კონცეფცია ეფუძნება ორ ფაქტორს – ქვეყნის გახსნა გარე სამყაროსათვის და რუსული კაპიტალიზმის განვითარება, – რომლებიც ნელა, მაგრამ კარდინალურად გარდაქმნის რუსეთის საზოგადოებას, რის შედეგადაც რუსეთი შეიძლება გახდეს დასავლური ქვეყანა, თუმცა არა ევროპული (Тренин, 2006). ამკარაა, რომ ეს ორი ფაქტორი ჯერ კიდევ არ

არის რუსეთის შესაძლო „ვესტერნიზაციის“ განმსაზღვრელი, რაც ყველაზე მწვავედ გამოვლინდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიით. შემთხვევითი როდია, რომ დასავლელი ექსპერტები სინანულით აღნიშნავენ დასავლეთის შესაძლო შეცდომას, როცა თავის დროზე დაიჯერეს, თითქოს ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაწყებულ რუსეთის „ვესტერნიზაციის“ პროცესს მეტ-ნაკლებად ძლიერი ფესვები ჰქონდა (მაგალითად, Hirsh, 2008). ჩვენი ღრმა რწმენით, ელცინის რუსეთის „ვესტერნიზაციის“ პროცესის დაწყება, უწინარეს ყოვლისა, განაპირობა იმდროინდელი რუსეთის სახელმწიფოს პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა სისუსტემ, რის გამოც მას დასავლეთის პოლიტიკური და ფინანსური დახმარება სჭირდებოდა, ხოლო პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოძლიერებულ პუტინის რუსეთს აღარ სჭირდება თავი მოგვაჩვენოს, თითქოს დასავლურ ფასეულობათა ერთგულია (მაგალითად, Asmus, 2008). და საერთოდ, რუსეთის რა „ვესტერნიზაციაზე“ შეიძლება ლაპარაკი, როცა დასავლეთისათვის ჭკუის სასწავლებლად საქართველოში რუსეთის შეჭრის ძირითადი გაკვეთილებია მისი პროდასავლური ორიენტაციის უგულუბელყოფა, რუსეთზე ევროპის ენერგოდამოკიდებულების შემცირების შესაძლებლობათა გამორიცხვა და მსოფლიო წესრიგის უპატივცემულობა (Petersen, 2008). ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოსკოვისათვის ევრაზიიზმს ორი ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიული მიზანი აქვს ევროპასთან მიმართებაში: ევროპის გადაქცევა რუსეთის გავლენის სფეროდ და ამერიკის შეერთებულ შტატებთან ევროპის კავშირების განწყვეტის გზით ევროატლანტიზმის შესუსტება (Bugajski, 2008, c. 1).

უინტერესო არ იქნება იმის ხაზგასმა, რომ ზემოაღნიშნული „ექსპანსიონისტები“ „ცივილიზაციონისტებს“ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, თანამედროვე რუსეთელ კომუნისტებსა და მათ ლიდერს¹) მემარცხენე ევრაზიისტების კვალიფიკაციას აძლევენ (Дугин, 2002в, с. 586), ხოლო ლიბერალური იმპერიის შექმნის გზით, როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოფილ საბჭოთა რესპუბ-

¹ იხ., მაგალითად (Зюганов, 1994, 1996, 1997).

ლიკებზე კრემლის გავლენის აღდგენის მომხრეებს – ლიბერალ ევრაზისტების. როგორც ჩანს, ტრადიციული დასავლეთევროპული გაგებით „მემარცხენეების“ და „მემარჯვენეების“ ცნებებით ძნელია ადეკვატურად წარმოაჩინო თანამედროვე რუსული პოლიტიკური სპექტრი (Matern, 2007, p. 31). და ეს მთლიანად შეესაბამება „ექსპანსიონისტების“ ერთ-ერთი ლიდერის გულახდილ აღიარებას, რომლის თანახმადაც „ევრაზიიზმი არ ყოფილა და არ არის არც მემარჯვენე, არც მემარცხენე, არც ლიბერალური, არც სოციალისტური. ევრაზიისტები მზად არიან მხარი დაუჭირონ ნებისმიერი იდეოლოგიური ბანაკის წარმომადგენლებს, რომლებიც იცავენ სახელმწიფოებრიობის ელემენტებს, სხვა ევრაზიისტულ ფასეულობებს“ (Дугин, 2001).

დასასრულ, ევრაზიისტობის „სენის“ შესახებ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ საეჭვოა რუსეთმა შეძლოს პოსტსაბჭოთა სივრცეში დომინირება, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ სხვა „მოთამაშეებს“, ამ სივრცეში რომ გამოჩნდნენ, მნიშვნელოვნად დიდი ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო რესურსები აქვთ (თუმცა იმპერიის შესაქმნელად რესურსები არ არის მთავარი), არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ რუსეთის ელიტა, ტრადიციულად ეროვნული ეგოიზმით შეპყრობილი (Milov, 2008, p. 18), ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ვერაფერს შესთავაზებს „გარდა პომპეზური განცხადებებისა თავისი სიდიადის, თავისი ისტორიული როლის, რუსული ეთნოსის მესიანისტური ისტორიული დანიშნულების შესახებ და ა. შ.“ (Пионтковский, 2005).

§2.2. ცენტრალური კავკასია:

ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი

კავკასია ეს არის ტერიტორია შავ, კასპიისა და აზოვის ზღვებს შორის, ანუ ტერიტორია ევროპისა და აზიის საზღვარზე. ასევე მიჩნეულია, რომ ეს ტერიტორია მდებარეობს ევროპას,

ახლო აღმოსავლეთს (the Middle East), ცენტრალურ აზიასა (Inner Asia) და რუსეთის სფეროს (the Russian sphere) შორის (Lewis and Wigen, 1997, p. 203).

„კავკასიის“ ცნების თანამედროვე გეოპოლიტიკური გაგება ჩამოყალიბდა რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ (Breyfogle, 2005; Jersild, 2002). კერძოდ, კავკასიაში მისი მოსვლის შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედის მდებარეობის გათვალისწინებით ჩნდება ტერმინები „ამიერკავკასია“ („Закавказье“) (მაგალითად, გამყრელიძე, 2008, King, 2008b, p. xiii; Гамкрелиძე, 1998), ანუ კავკასიონის ქედს გადაღმა და „ჩრდილოეთ კავკასია“, ანუ ტერიტორია კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით. მიუხედავად იმისა, რომ თეირანისათვის, მოსკოვისგან განსხვავებით, განსახილველი რეგიონი კავკასიონის გადაღმა კი არა, გადმოღმაა, სპარსულ ენაზეც ამ რეგიონს „კავკასიონის გაღმა“ ეწოდება (*maveran-e kafkas*) (მაგალითად, გაჩეჩილაძე, 2008, გვ. 18). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ რეგიონის იდენტიფიკაციის საერთაშორისო პრაქტიკაზე, უწინარეს ყოვლისა, სწორედ რუსულმა ტრადიციამ მოახდინა გავლენა.

ტერიტორიულად ჩრდილოეთ კავკასია მთლიანად შედის თანამედროვე რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში და იგი იყოფა ორ – მთისწინა და მთიან ნაწილებად. პირველის შემადგენლობაში შედის რუსეთის ფედერაციის სუბიექტები: კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეები, ასტრახანისა და როსტოვის ოლქები და ყალმუხეთის რესპუბლიკა, ხოლო მეორის შემადგენლობაში – ადიღეს, დაღესტნის, ინგუშეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩრდილოეთ ოსეთის-ალანიის და ჩეჩნეთის რესპუბლიკები.

აღსანიშნავია, რომ კავკასიის სამხრეთი საზღვრების განმარტება, როგორც წესი, ეფუძნებოდა იმას, თუ სად გადიოდა კავკასიის რეგიონში რუსეთის იმპერიის სამხრეთი სახელმწიფო საზღვრები (ისმაილოვი და პაპავა, 2007, გვ. 34-35; Ismailov and Papava, 2006, p. 10, 2008a, 2008b, pp. 8-9; Исмаилов и Папав, 2006, сс. 17-18, 2007, сс. 17-18). კავკასიის სამხრეთი საზღვრების

ყველაზე თვალსაჩინო შეცვლა XIX საუკუნის დამლევს გამოვლინდა ყარსის მაგალითზე. კერძოდ, იგი კავკასიის შემადგენელ ნაწილად ჩაითვალა მხოლოდ მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ იგი ომის შედეგად წაართვა ოსმანთა იმპერიას; რუსეთის მიერ ყარსის, არდაგანისა და ბაიაზეთის დაკარგვამ კი განაპირობა ის, რომ ამ რეგიონებს გარკვეულწილად აღარ მიიჩნევდნენ კავკასიის რეგიონებად, რადგან რუსეთის პოლიტიკურ და ისტორიულ დოკუმენტებში ისინი კავკასიის რეგიონებად აღარ მოიხსენიება. იმავდროულად, ამ რეგიონებმა, რომლებმაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, 1918 წელს შექმნეს სახელმწიფო – „სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის (ყარსის) დემოკრატიული რესპუბლიკა“ (Гаджиев, 1992, 2004; Тагиева, 2005), რომლის სახელწოდებაშიც მკაფიოდ ვლინდება მისი კავკასიისადმი კუთვნილება.

რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის სამხრეთი საზღვრების განსაზღვრის ტრადიცია საბჭოთა პერიოდშიც შენარჩუნდა, როცა „Закавказье“-ს შემადგენლობაში შედიოდა სამი მოკავშირე რესპუბლიკა – აზერბაიჯანი, საქართველო და სომხეთი.

XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა კავშირის დაშლისა და აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მიერ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრაქტიკულად ყველგან, თავად რუსეთის გარდა (მაგალითად, Возжеников, ред., 2006, сс. 158-160; Гаджиев, 2003; Михайлов, ред., 2007, сс. 205-213), ტერმინი „Закавказье“ შეიცვალა უფრო კორექტული „სამხრეთ კავკასიის“ ტერმინით. საქართველოში პირველად ამ ტერმინების ჩანაცვლების დასაბუთებული წინადადება აკად. თამაზ გაყრელიძემ (გამყრელიძე, 2008; Гамкრелидзе, 1998) წამოაყენა, რაც საქართველოს მთავრობის (და არა მარტო) მიერ გაზიარებულ იქნა და გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ოფიციალურ დოკუმენტებში ტერმინი „ამიერკავკასიის“ ნაცვლად ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ გამოიყენება.

ისიც აღსანიშნავია, რომ იშვიათად თუ უფიქრდება ვინმე იმას, რომ ტერმინი „სამხრეთ კავკასია“ ისევე, როგორც ტერმინი „Закавказье“ აშკარად გამოხატავს რუსეთის გეოპოლიტიკურ

შეხედულებას ამ რეგიონზე (ისმაილოვი, და პაპავა, 2007, გვ. 36; Ismailov and Papava, 2006, p. 11, 2008a, 2008b p. 9; Исмаилов и Папавა, 2006, с. 18, 2007, с. 19): ცნებებით „ჩრდილოეთ კავკასია“ და „სამხრეთ კავკასია“ გარკვეულწილად ფიქსირდება კავკასიაში რუსეთის ახლანდელი და ყოფილი საზღვრები.

„კავკასიის“ შესახებ ისმაილოვისეული კონცეფციის თანახმად (Исмаилов, 2002; Исмаилов и Кенгерли, 2002a, 2003), ეს ცნება აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, ასევე რუსეთის ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონების გარდა, მოიცავს აგრეთვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქებს (ვილაიეთები – აგრი, არდაგანი, ართვინი, ვანი, იგდირი და ყარსი) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოლქებს (ოსტანები – აღმოსავლეთ აზერბაიჯანი, არდებილი, გილიანი, ზანჯანი, ყაზვინი, ჰამადანი და დასავლეთ აზერბაიჯანი). რეგიონის ამგვარად გააზრებას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ თურქეთისა და ირანის ამ ოლქებში ისტორიულად კავკასიელი ხალხები ცხოვრობენ, რომლებიც რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე მრავალი საუკუნის განმავლობაში იმავე ეთნოკულტურულ და სოციალურ-ეკონომიკურ არეალში იმყოფებოდნენ, რომელშიც კავკასიის დანარჩენი ხალხები. აქედან გამომდინარე, სავსებით მართებულია თურქეთისა და ირანის ეს ოლქები ამ ქვეყნების ისეთივე „კავკასიურ“ ოლქებად მივიჩნიოთ, როგორცაა ჩრდილოეთ კავკასიად ნოდებული რუსეთის კავკასიის რეგიონი.

თურქეთისა და ირანის ზემოაღნიშნული გეოგრაფიული ოლქები, ისევე როგორც სომხეთი, რომელიც უდავოდ კავკასიურ სახელმწიფოდ ითვლება, პრაქტიკულად თანაბრად არიან დაშორებულნი დიდ კავკასიონს და ნაწილობრივ მცირე კავკასიონის ტერიტორიაზე მდებარეობენ.

შესაბამისად, კავკასიის რეგიონი შედგება არა ორი (ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასია), როგორც ეს რუსული გეოპოლიტიკური აზროვნების კარნახით არის გავრცელებული საერთაშორისო პრაქტიკაში და სამეცნიერო ლიტერატურაში, არამედ სამი ნაწილისგან: ცენტრალური კავკასია – აზერბაიჯანი, საქა-

რთველო და სომხეთი; ჩრდილოეთ კავკასია, რომელიც რუსეთის ფედერაციის კავკასიის მოსაზღვრე ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნებისგან შედგება; და სამხრეთ კავკასია, რომელიც მოიცავს აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთებსა (სამხრეთ-დასავლეთ კავკასია) და ირანის ჩრდილო-დასავლეთ ოსტანებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია).

საყურადღებოა, რომ კავკასიის ისმიალოვისეულ კონცეფციის კრიტიკოსები უმთავრესად ხელმძღვანელობენ ნმინდა გეოგრაფიული მოსაზრებებით, რომ ტერმინით „ცენტრალური კავკასია“ აღინიშნება კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ცენტრალური ნაწილი (Русецкий и Дорохина, 2009, сс. 69-70; Топчишвили, 2011, с. 13), და რომ ირანის აზერბაიჯანი სრულად არ არის მოქცეული გეოგრაფიულ კავკასიაში (Топчишвили, 2011, сс. 12-13)¹. ამ ტიპის კრიტიკის სუსტი მხარეა ის, რომ ყურადღების მიღმა დატოვებული ის არსებითი გარემოება, რომ კავკასიის ისმიალოვისეული კონცეფცია არა გეოგრაფიული, არამედ გეოპოლიტიკური კონცეფციაა, ხოლო გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური ტერმინები ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

კავკასიის ისმიალოვისეული კონცეფცია, ეფუძნება რა რეგიონის ისტორიულ თავისებურებებს, სრულფასოვნად ასახავს არსებულ გეოპოლიტიკურ რეალობას (მეტრეველი, 2007).

კავკასია სხვადასხვა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების ურთიერთმოქმედების ასპარეზია (მაგალითად, Gachechiladze, 2002; Yalowitz and Cornell, 2004; Метревели, 2001), ხოლო ცენტრალური კავკასია საკუთარ თავში მთელი რეგიონის პრობლემების სრული სპექტრის ერთგვარ „აკუმულირებას“ ახდენს (მაგალითად, Nuriyev, 2007).

ცენტრალური კავკასიის ყოველი ცალკე ქვეყნის თანამედროვე მდგომარეობის და, განსაკუთრებით, მათი ურთიერთობის² გათ-

¹ იმავდროულად თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ოლქებისა და ირანის ჩრდილო-დასავლეთი ზოგიერთი პროვინციის შეყვანა კავკასიის რეგიონში სამართლიანად არის მიჩნეული (Топчишвили, 2011, с. 12).

² უნდა ვაღიაროთ, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს შორისაც კი, მიუხედავად იმისა, რომ მათი რეგიონალური ინტერესები ბევრ საკითხში ემთხვევა, სამწუხაროდ, ყოველთვის როდი არსებობს ურთიერთგაგება, რაც განსაკუთრებით მწვავედ ვლინდება კონფლიქტურ რეგიონებთან მიმართებაში (მაგალითად, Welt, 1999).

ვალისნინებით, კავკასიაში ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივების საკითხს (ისმაილოვი და პაპავა, 2007, გვ. 30-34; Ismailov and Papava, 2006, pp. 7-9, 2008a, 2008b, pp. 6-8; Исмаилов, 2002; Исмаилов и Кенгерли, 2002a; Исмаилов и Папавა, 2006, сс. 13-17, 2007, сс. 13-17), გარკვეულწილად, პირობითი ხასიათი აქვს. თუ იმ შეხედულებას გავიზიარებთ, რომ კავკასიაში (ან თუნდაც მის რომელიმე ნაწილში) ინტეგრაციული პროცესები ეს მხოლოდ ოცნებაა, ვინაიდან კავკასიის ისტორიაში პოლიტიკური და კულტურული მთლიანობა არასოდეს ყოფილა (Чиковани, 2005), ეს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ დეტერმინირებამდე მიგვიყვანს, რისი უსაფუძვლობაც არაერთგზის თავად ისტორიამ დაამტკიცა (მაგალითად, Metreveli, 1998; Лордкипანიძე, 1998). ყველაზე უკიდურესი პოზიციაც კი, რომელიც გულისხმობს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე კავკასიის ხალხების სრულ დაქსაქსულობას, ამჟამად სულაც არ გამორიცხავს რეგიონის ქვეყნებისა და ხალხების დაახლოების და, შესაძლოა, ზოგიერთი სიღრმისეული ინტერესების თანხვედრის პრინციპულ შესაძლებლობას, რაც სულაც არ არის გასაკვირი გლობალიზაციის პროცესში მყოფი თანამედროვე მსოფლიოს პირობებში. ამასთან, ცენტრალურ კავკასიაზე საუბრისას, უნინარეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მის ტერიტორიაზე მდებარეობს სამი კონფლიქტური (მაგალითად, Antonenko, 2005; Bertsch, Craft, Jones and Beck, eds., 2000; Birch, 1996; Cheterian, 2008; Chorbajian, Donabedian and Mutafian, 1994; Coppieters, 2001; Cornell, 2001b, 2002; Dragadze, 1999; Lynch, 2004a; Panico and Rone, 1994; Waal, 2003; Zverev, 1996; Хаиндрава, 2002), უფრო ზუსტად კი მეზობელი სახელმწიფოების მიერ ოკუპირებული რეგიონი – აფხაზეთი, მთიანი ყარაბაღი და სამხრეთ ოსეთი, რის გამოც მთელ ცენტრალურ კავკასიაში არ არის საკმარისი პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა. სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის შეჭრისა და რუსეთის მიერ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რასაც მსოფლიო საზოგადოებრიობამ მხარი არ დაუჭირა.

ცენტრალურ კავკასიაში არასტაბილურობის პრობლემა იმითაცაა განპირობებული, რომ უშუალოდ კონფლიქტური ტერიტორიები არა მხოლოდ ტერორიზმის საყრდენად და ნარკოტრაფიკისა და ნარკოვაჭრობის სფეროში კრიმინალების თავშესაფრად, არამედ „ბინძური ფულის“ გათეთრების, მძევალთა გატაცებისა და ადამიანებით ვაჭრობის ზონადაც არის გადაქცეული (Языкoвa, 2005, сс. 57-58). ამგვარად, ცენტრალური კავკასიის (და, საერთოდ, მთელი კავკასიის) ერთიანობის მიღწევის იდეა უნდა მივიჩნიოთ იმ იდეალად, რომელსაც უნდა ესწრაფოდნენ ამ რეგიონში მცხოვრები ხალხები (Гаджиев, 2003, с. 92).

ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობებს (რონდელი, 2003, 2006) ბევრად განსაზღვრავს ისტორიული ფესვები, რომლებიც მნიშვნელოვნ ზემოქმედებას ახდენს ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა ჩამოყალიბებაზე (მაგალითად, Adalian, 1995; Alieva, 1995; Hovannisian, 1994; Hunter, 2000; Jones, 2003; Nodia, 1998): აზერბაიჯანი და, კიდევ უფრო მეტად, საქართველო საერთაშორისო ურთიერთობებში ორიენტირებულნი არიან დასავლეთისკენ, ხოლო სომხეთი – რუსეთისკენ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მას შემდეგ, რაც 2006 წლის აპრილიდან გაძვირდა გაზი, რომელსაც რუსეთი სომხეთს აწვდის, აგრეთვე ჩაიკეტა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე ზემო ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტი (რომლითაც ხორციელდებოდა რუსეთთან სომხეთის ერთადერთი ავტოსაგზაო მიმოსვლა), ყველაზე პრორუსულად განწყობილი სომეხი პოლიტიკოსებიც კი დაექვდნენ რუსეთის პოლიტიკის სტაბილურობაში მისი ყველაზე ერთგული პარტნიორების მიმართ, როგორც, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, სომხეთია (Пригорян, 2007, сс. 98-99).

ცენტრალური კავკასიის ქვეყნებიდან აშკარად გამოხატული შედარებითი უპირატესობით ხასიათდება აზერბაიჯანი, რომელიც მდიდარია ნახშირწყალბადოვანი რესურსებით (მაგალითად, Алиев, 2003). ამას ემატება ქვეყნის ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობაც, რაც ხელს უწყობს მის სატრანსპორტო ჰაბად გამოყენებას (Escudero, 2001, 2002).

ცენტრალური კავკასიის გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აზერბაიჯანის სატრანსპორტო პოტენციალის გამოყენება ბევრად არის დამოკიდებული რეგიონის სხვა ქვეყნებზე – საქართველოსა და სომხეთზე.

საქართველოსთვის ძირითადი შედარებითი უპირატესობაა მისი გეოგრაფიული მდებარეობა განახლებული დიდი აბრეშუმის გზის – ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ (Shevardnadze, 1999), რაც განსაზღვრავს კიდევ ცენტრალური კავკასიის ამ ქვეყნის ეკონომიკურ ფუნქციას (Папава, 2002). საქართველოს აქვს აგრეთვე პოტენციური შესაძლებლობანი, გახდეს რუსეთის სომხეთთან და შემდეგ ირანთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი სატრანსპორტო რგოლი. პოტენციურად მნიშვნელოვანი სატრანსპორტო ფუნქცია სომხეთსაც გააჩნია, როგორც „დასავლეთ-აღმოსავლეთის“ (თურქეთი-სომხეთი-აზერბაიჯანი), ისე „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ (რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი) მიმართულებით (მაგალითად, Мухин и Месаед, 2004).

სომხეთისათვის, ისევე როგორც საქართველოსთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე სატრანსპორტო დერეფანი „დასავლეთი-სამხრეთი“ (საქართველო-სომხეთი-ირანი), რომელიც შავ ზღვას სპარსეთის ყურესთან აკავშირებს¹.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, თუ რამდენად უწყობს ხელს ცენტრალური კავკასიის ქვეყნების საერთაშორისო ურთიერთობები მთი შედარებითი უპირატესობების გამოყენებას (მაგალითად, Asatiani, 1998; Папава, 2006).

ნჯობისა და გაზის პრობლემა თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკასა და პოლიტიკაში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მრავალწლად სწორედ ის განსაზღვრავს ცენტრალური კავკასიისადმი არაერთი სახელმწიფოს ურთიერთობის ხასიათს. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, რომ აზერბაიჯანის ნახშირწყალბადოვანმა რესურსებმა და მათი ტრანსპორტირების მარშრუტებმა,

¹ სომხეთის ოფიციალურ წრეებში ეს დერეფანი კვალიფიცირებულია როგორც „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დერეფნის ნაწილი (ARKA, 2008), თუმცა გეოგრაფიული თვალსწრისით უფრო სწორი იქნება, თუ ეს დერეფანი კვალიფიცირებული იქნება როგორც „დასავლეთ-სამხრეთის“ დერეფანი.

რომლებსაც ასეთი უზარმაზარი გეოსტრატეგიული მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, Cornell, Tsereteli and Socor, 2005), თავიდანვე განაპირობა თავისი დადებითი და უარყოფითი ეფექტები როგორც ამ ქვეყნისათვის, ისე მთელი რეგიონისათვის (მაგალითად, O'Hara, 2004). დადებითი ეფექტი, ძირითადად, უკავშირდება დასავლეთის ქვეყნებს, რომლებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნავთობისა და გაზის რაც შეიძლება მეტი ალტერნატიული წყაროს არსებობას, და ამიტომ ისინი თავიდანვე დიდად იყვნენ დაინტერესებულნი აზერბაიჯანის ენერგორესურსების ათვისებითა და მათი ტრანსპორტირების ალტერნატიული მილსადენების შექმნით. ამან კი, თავის მხრივ, უზრუნველყო მნიშვნელოვანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოდინება როგორც აზერბაიჯანში, ისე კავკასიის სხვა ქვეყნებში (საქართველოსა და თურქეთში), სადაც ნავთობსადენები გადის. რაც შეეხება უარყოფით ეფექტებს, ისინი, უწინარეს ყოვლისა, ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და ტრანსპორტირების საქმეში რეგიონალური კონკურენტებისგან – რუსეთისა და ირანისგან მომდინარეობდა, რომლებიც მათ ხელთ არსებული მთელი შესაძლებლობებით თავიდანვე ცდილობდნენ თავიანთი გავლენისათვის დაექვემდებარებინათ აზერბაიჯანის ნახშირწყალადოვანი რესურსების ექსპლუატაცია და, განსაკუთრებით, ტრანსპორტირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კასპიის ენერგეტიკული რესურსები არა მარტო სასარგებლო ცენტრალური კავკასიისათვის, არამედ საფრთხის შემქმნელიცაა ამ რეგიონის ქვეყნებისათვის, რაც განპირობებულია რუსეთის შიშით, რომ გაიზრდება დასავლეთის გავლენა რეგიონზე, ეს კი, თითქოსდა, პრობლემას უქმნის მის ეროვნულ უასფრთხოებას და ეწინააღმდეგება მის ინტერესებს (Rondeli, 2002).

აღსანიშნავია, რომ ლოგიკის თანახმად დასავლეთის მიმართულებით აზერბაიჯანის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების მილსადენებთან კავკასიის სამი კონფლიქტური ზონის – აფხაზეთის, მთიანი ყარაბაღის და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული სიახლოვის გამო ისინი არც უნდა აშენებულყო, მაგრამ ფაქტია, რომ მაინც აშენდა: იმდენად დიდია დასავლეთის დაინტერესება,

რუსეთის გვერდის ავლით მიიღოს ენერგეტიკული რესურსები, რომ კონფლიქტური ზონებიდან მომდინარე საფრთხეებმაც კი ვერ შეუშალა ამას ხელი (Sokov, 2008, p. 47).

ფაქტობრივად, რუსეთის მხარე არათუ არ იყო დაინტერესებული საქართველოში სატრანსპორტო დერეფნის განვითარებით და, კერძოდ, მის ტერიტორიაზე გამავალი მილსადენების მშენებლობით, არამედ ამ პროექტების რეალიზაციას ყველა შესაძლო მექანიზმით აბრკოლებდა (Rondeli, 2002; Tsereteli, 2008). საქართველოს გავლით კასპიის ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების მიმართ რუსეთის პოზიციის ასეთი შეფასების მართლზომიერება დადასტურდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დროს 2008 წლის აგვისტოში, როცა რუსეთის ავიაცია საქართველოს ტერიტორიაზე გამავალ მილსადენებსაც ბომბავდა (მაგალითად, Jackson, 2008), თუმცა ისინი შორსაა სამხრეთ ოსეთიდან, რომლის დაცვაც გახდა თითქოს ამ აგრესიის დანებების მიზეზი. რუსეთის აგრესიამ და საქართველოს ნაწილობრივმა ოკუპაციამ ეჭვქვეშ დააყენა არა მხოლოდ სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოება, რომლითაც მილსადენები გადის საქართველოს ტერიტორიაზე¹ (Jones, 2008; Mouawad, 2008; Roberts, 2008), არამედ აზერბაიჯანის ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის ზრდასაც შეუწყო ხელი (Cornell, 2008b, p. 312; Ismailzade, 2008). საბედნიეროდ, საქართველოს გავლით ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირებისადმი ნდობის აღდგენას, რუსეთის აგრესიის შემდეგ, დიდი დრო არ დასჭირვებია (Socor, 2008). ამასთან, იმან, რომ მოსკოვმა ვერ შეძლო ამ მილსადენებზე კონტროლის დამყარების მიზნისთვის სამხედრო გზით მიეღწია (Cohen and Szaszi, 2009), ანუ მთლიანად მოეხდინა ყოფილი საბჭოთა კავშირიდან დასავლეთის მიმართულებით ენერგეტიკული რესურსების ტრანსპორტირების გზების მონოპოლიზება, კიდევ უფრო მეტი სტიმული მისცა ამერიკელებსაც და ევროპელებსაც, გაეძლიერებინათ თავიანთი ძალისხმევა,

¹ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის აგრესიის ერთ-ერთი მიზანი იყო საქართველოში გამავალი მილსადენების უსაფრთხოების მიმართ ეჭვის გაძლიერება (Hassner, 2008, p. 250).

რათა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის რუსეთის ალტერნატიული გზების განვითარების შესაძლებლობები მოეძებნათ (Krastev, 2008). ამასთან, ანკარისათვის, ბრიუსელისა და ვაშინგტონისათვის განსაკუთრებით აქტუალურია აზერბაიჯანისა და საქართველოს ტერიტორიებზე არსებული მილსადენის სისტემის უსაფრთხოების გაზრდა (Chicky, 2009, p. 12). არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყაზახეთი, რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის მიუხედავად, მნიშვნელოვანწილად არის დაინტერესებული აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო დერეფნის უსაფრთხოებით (Kassenova, 2009). ასეა თუ ისე, შეერთებული შტატების მორიგი ადმინისტრაციისათვის კავკასიის ენერგეტიკული დერეფნის პრობლემა ასევე ერთ-ერთი მთავარი გახდა (Cornell, 2009). ამავე დროს, მილსადენის ქსელის დივერსიფიკაციით დაინტერესებულმა ბევრმა სახელმწიფომაც გაააქტიურა ძალისხმევა ამ მიმართულებით (Goble, 2009).

აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ეკონომიკური პარტნიორობის გაღრმავების, აგრეთვე ამ პროცესში თურქეთის ჩართვის გზაზე შემდგომი ნაბიჯი შეიძლება გახდეს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო სისტემის მშენებლობა და ამოქმედება (მაგალითად, Lussac, 2008; Ziyadov, 2005).

მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს აზერბაიჯანისა და საქართველოს ერთობლივი ძალისხმევა (მაგალითად, ჯავახიშვილი, 2008), განსაკუთრებით სუამის ფორმატის გამოყენებით, რომელიც აერთიანებს მრავალი თვალსაზრისით მსგავსი, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ინტერესების მქონე ქვეყნებს: საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას (მაგალითად, Музаффарли, 2008; Чечелашвили, 2008). ამჟამად სუამის მომავალი (Goble, 2008a), რომელშიც აზერბაიჯანი და საქართველო „კავკასიური ტანდემის“ როლს ასრულებენ (Papava, 2009b; Папавა, 2008a), ბევრად არის დამოკიდებული მის მხარდასაჭერად დასავლეთის მოქმედების გააქტიურებაზე (Japaridze, 2008).

თურქეთთან ურთიერთობაში აზერბაიჯანისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მასთან ეთნიკურ, კულტურულ და ლინგვისტურ სიახლოვეს, რაც მრავალ საერთაშორისო საკითხში პოზიციების ერთიანობას განაპირობებს. ეს, როგორც მოსალოდნელიც იყო, გამოვლინდა ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების მარშრუტის განსაზღვრისას.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანის თურქეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზა სომხეთზე გადის, ეკონომიკური თვალსაზრისით ამ პოტენციურად საუკეთესო სატრანსპორტო მარშრუტის შერჩევას ხელი შეუშალა ამ ორ ქვეყანას შორის არსებულმა ურთიერთობამ:

ჯერ ერთი, მთიანი ყარაბაღის გამო სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტმა და სომხეთის შეიარაღებული ძალების მიერ ამ კონფლიქტური რეგიონის გარეთ აზერბაიჯანული ტერიტორიების მიტაცებამ, რომ აღარაფერი ვთქვათ აზერბაიჯანის სარკინიგზო კავშირის დარღვევაზე მის ავტონომიასთან – ნახჭევანთან, ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა აზერბაიჯანის უარყოფითი პოზიცია სომხეთის ტერიტორიის სატრანსპორტო დერეფნად გამოყენების მიმართ.

მეორე, თურქეთმა, თავის მხრივ, აზერბაიჯანის მხარდასაჭერად ასევე მოახდინა სომხეთთან სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთსაც თავისი პრეტენზიები აქვს თურქეთისადმი XX საუკუნის დამდეგს „სომხების გენოციდის“ აღიარების გამო. თანაც, სომხების მიერ აზერბაიჯანელების ხშირი იდენტიფიკაცია თურქებთან იმის მიზეზია, რომ სომხები აზერბაიჯანელებსაც ამ „გენოციდის“ მონანილეებად აღიქვამენ (Hunter, 2000).

სომხეთთან დაკავშირებული ეს შემთხვევა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ მის მიერ აზერბაიჯანის თურქეთთან დამაკავშირებელი უმოკლესი გზის შეფარდებითი უპირატესობის გამოყენებას ხელი შეუშალა ამ ქვეყნებთან ჩამოყალიბებულმა კონ-

ფლიქტურმა ურთიერთობამ (მაგალითად, Aras and Foster, 1999, p. 236; Harutyunyan, 2004).

2008 წლის ზაფხულში საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის დაწყების შემდეგ თურქეთმა განაახლა თავისი ძალისხმევა „კავკასიაში სტაბილურობის პაქტის“ ჩამოყალიბებისა და რეალიზაციისათვის („The Caucasus Stability Pact“) (Oxford Analytica, 2008), რომელიც ცნობილია აგრეთვე „კავკასიის ალიანსის“ („The Caucasus Alliance“), „კავკასიაში სტაბილურობის ფორუმის“ („The Caucasus Stability Forum“) ან „კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის“ („The Caucasus Stability and Cooperation Platform“) სახელწოდებით; ეს იდეა ჯერ კიდევ 2000 წელს ჩამოყალიბდა, თუმცა მაშინ სათანადო მოწონება ვერ დაიმსახურა (Kanbolat, 2008). ამ პაქტის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი გულისხმობს რუსეთის ჩაბმას კავკასიაში სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესებში, რაც საქართველოს წინააღმდეგ მისი სამხედრო აგრესიის, მერე კი მოსკოვის მიერ ცალმხრივი წესით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, რომ აღარაფერი ვთქვათ რუსეთთან მათი შესაძლო ინტეგრაციის კრემლისეულ გეგმებზე (Allison, 2008, pp. 1160-1161; Папава, 2008წ), ძნელია პროდუქტიულად შეაფასო. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ თურქეთსა და რუსეთს რეგიონში განსხვავებული მიზნები აქვთ – ანკარა დაინტერესებულია რეგიონში თავისი როლის გაძლიერებით, მაშინ, როცა მოსკოვი ესწრაფვის, რაც შეიძლება მეტი უკუგებით გამოიყენოს საქართველოზე ზემოქმედების განხორციელების სულ ახალ-ახალი ბერკეტები (Goble, 2008წ). თუ იმით ვიხელმძღვანელებთ, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთისათვის საქართველოში არასტაბილურობა უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, ვიდრე მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა (Çelikpala, 2008), ამ ფაქტორმა, განსაკუთრებით მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, შეიძლება გარკვეული როლი შეასრულოს კავკასიაში თურქეთისა და რუსეთის პოზიციების დაახლოების მიზნით შეხების

ნერტილების გამონახვის თვალსაზრისით. ამასთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან დაკავშირებით თურქეთსა და რუსეთს შორის უთანხმოება (თანაც თუ გავითვალისწინებთ საქართველოსა და თურქეთის გავლით კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირების პროექტებს) იმდენად არსებითია, რომ დიდ იმედს არ სახავს იმ პერსპექტივის მიმართ, რომ უახლოეს მომავალში რუსეთ-თურქეთის მჭიდრო თანამშრომლობა კავკასიაში ურთიერთმისაღები გახდება, რომ არაფერი ვთქვათ როგორც სხვა ქვეყნების, ისე მსოფლიო სახელმწიფოების ინტერესებზე. აქედან გამომდინარე, „კავკასიაში სტაბილურობისა და თანამშრომლობის პლატფორმის“ რეალიზაციისათვის თურქეთის ინიციატივა ამჟამად მეტად უტოპიურად გამოიყურება (Мамаев, 2008).

თავად თურქეთისა და რუსეთის თანამშრომლობის იდეა კავკასიაში სტაბილურობის დამყარებისა და შენარჩუნების პროცესებში სომხეთს აძლევს შანსს, დასძლიოს იზოლირება სატრანსპორტო დერეფნების რეგიონალურ პროექტებში, თუმცა, ამასთან, დგება შესაძლო „საფასურის“ საკითხი, რომლის გადახდაც ამისათვის სომხეთს მოუწევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ასეთ „საფასურად“ მიჩნეულია ერევნის მიერ მთიან ყარაბაღში არსებული რეჟიმის მხარდაჭერაზე, თურქეთის მიმართ სომხების გენოციდის ბრალდებაზე, აგრეთვე თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმა, საეჭვოა იმის ვარაუდი, რომ სომხეთს ჰქონდეს პრინციპული შესაძლებლობები უახლოეს ხანში მოახდინოს ინტეგრირება რეგიონალურ სატრანსპორტო პროექტებში (Ter-Sahakyan, 2008). მოცემული კონტექსტით განსაკუთრებით ხაზგასასმელია, რომ მოსკოვი არათუ დაინტერესებულია რეგიონალური სატრანსპორტო პროექტებისგან სომხეთის იზოლირებით (Минасян, 2008, с. 9), არამედ ყოველნაირადაც უწყობს ხელს სომხეთის „კალინინგრადიზაციას“ (Минасян, 2008, с. 15), ანუ ხორციელდება ეგრეთ წოდებული „აღყაში მოქცეული სახელმწიფოს“ კონცეფცია (Минасян, 2008, с. 20). სომხეთში მოსკოვისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ეკონომიკური საფუძვლების შექმნის მცდელობა, როგორც წესი, ვირტუალურ ხასიათს ინარ-

ჩუნებს (მაგალითად, Григорян, 2008), რადგან სომხეთის ეკონომიკა პრაქტიკულად მთლიანად რუსეთის „ლიბერალური იმპერიის“ მიერ არის შთანთქმული (Минасян, 2008, сс. 9-10).

სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ოფიციალური, მათ შორის ეკონომიკური ურთიერთობის უქონლობა სულაც არ გამორიცხავს არალეგალური სავაჭრო კავშირ-ურთიერთობის არსებობას (თუმცა შედარებით მცირე მოცულობით), რომელიც საქართველოს გავლით ტრანზიტით ხორციელდება: მიუხედავად აზერბაიჯანის მხარის თხოვნისა, არ დაეშვათ აზერბაიჯანიდან სომხეთში საქართველოს გავლით საქონლის გადაზიდვა, საქართველოს მხარე იმ საბაბით, რომ საქართველოცა და სომხეთიც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრები არიან, ამ მოთხოვნებს ყოველთვის როდი ასრულებს, რაც ერთგვარ სიძნელეებს ქმნის აზერბაიჯან-საქართველოს ურთიერთობაში (Alkhazashvili, 2006).

არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში რუსეთმა თავიდანვე არა მხოლოდ მხარი დაუჭირა სომხეთს, არამედ სამხედრო დახმარებასაც უწევდა (მაგალითად, Уткин, 2000a, с. 110). აქვე ხაზი უნდა გავუსვათ, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპარატისტული რეჟიმების პირდაპირი და აშკარა მხარდაჭერისას, უშუალოდ სამხედრო აგრესიაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რუსეთი საქართველოსაც დაუპირისპირდა. ამ კონტექსტით გასაკვირი არ არის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მოსკოვის ძირგამომთხრელი საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ზემოქმედება საქართველოსა და აზერბაიჯანზე ამ ქვეყნებში სიტუაციის დესტაბილიზაციის მიზნით (Brzezinski, 2007b, p. 62).

შედეგად სომხეთისა და რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი გაფორმდა როგორც ამ ქვეყნების სტრატეგიული პარტნიორობა. უინტერესო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი სომეხი ექსპერტის თანახმად, რუსეთის სამხედრო აგრესიამ საქართველოში კიდევ უფრო განამტკიცა სომხეთისათვის რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობის მნიშვნელობა (იხ., მაგალითად, Даниелян, 2008). აღიარა რა, რომ ცენტრალურ კავკასიაში რუ-

სეთი ავანგარდულ თავდაცვით ფუნქციას ასრულებს, ამით სომხეთმა კავკასიაში რუსეთის ფორპოსტის სტატუსი შეიძინა, რაც არცთუ სახარბიელოა სუვერენული სახელმწიფოსათვის (მაგალითად, Cameron and Domański, 2005; Liloyan, 2004). უნდა აღინიშნოს, რომ ორმხრივ ურთიერთობაში რუსეთის სასარგებლოდ ამკარა გადახრა სომხეთს პარტნიორიდან თანდათან რუსეთის ვასალად აქცევს (Минасян, 2008, сс. 4, 6); და ეს არც არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მოსკოვი თავისი საზღვრების გარშემო ან ვასალებს ხედავს, ან მტრებს (Krastev, 2008).

აზერბაიჯანიდან დასავლეთისაკენ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სომხური მარშრუტის გამორიცხვამ ხელი შეუწყო საქართველოს მიმართულების გამოყენების მიზანშეწონილობის ზრდას (მაგალითად, Croissant, 1999), რაც ფაქტობრივად განხორციელდა კიდევ.

გეოპოლიტიკურად საქართველოს საკვანძო მდგომარეობა უკავია ცენტრალურ კავკასიაში, განსაკუთრებით სომხეთისა და აზერბაიჯანის კონფლიქტის გათვალისწინებით: საქართველოს უწევს რეგიონის „დამაკავშირებელი რგოლის“ ანუ კავკასიაში რეგიონალური ჰაბის ფუნქციის შესრულება¹ (პაპავა, 2008; Terterov, ed., 2001, pp. 3-8). ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ პრაქტიკულად სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე გააკეთა თავისი სტრატეგიული პროდასავლური არჩევანი (მაგალითად, Rondeli, 2001).

დასავლეთისაკენ კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების და ამ მიზნით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის (რუსეთისა და ირანის ტერიტორიების გვერდის ავლით) მშენებლობის იდეის ჩასახვისთანავე, აზერბაიჯანი, საქართველო და თურქეთი ფაქტობრივად წარმოადგენდნენ ერთ „გუნდს“, რომელსაც მნიშვნელოვნად უჭერდა მხარს ამერიკის შეერთებული შტატები (Kalicki, 2001, p. 122; Mahnovski, 2003, pp. 116-117). ეს სავსებით შეესაბამებოდა რეგიონში შეერთებული შტატების ძირითად მიზნებს: ირანის იზოლაციას; რეგიონში რუ-

¹ უნდა აღინიშნოს, რომ კავკასია მთლიანად განიხილება როგორც დასავლეთისა და აღმოსავლეთის „დამაკავშირებელი კვანძი“ (Ahmadian, 1998, p.24).

სეთის მონოპოლიური პოზიციის აღდგენის პრევენციას; რეგიონში თურქეთის გავლენის გაზრდისადმი მხარდაჭერას; რეგიონში ინვესტირების თვალსაზრისით ამერიკული კომპანიების მხარდაჭერას (მაგალითად, Müller, 2000, p. 189).

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არა მარტო გაიზარდა ევროკავშირის ყურადღება შავი ზღვის და კასპიის რეგიონების ქვეყნებისადმი (მაგალითად, Grabbe, 2004; Grgic and Petersen, 2008a, 2008b; Lynch, 2004b; Комиссия Европейских Сообществ, 2008), არამედ თანდათან რეგიონებში ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ინტერესების დაახლოებაც მიმდინარეობს (Cornell and Starr, 2006). კავკასიაში ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევის გაერთიანების პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის შემდეგ (Triantaphyllou and Tsantoulis, 2008). უნდა აღინიშნოს, რომ ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის (TRACECA) და ევროპაში ნავთობისა და გაზის სახელმწიფოთაშორისი ტრანსპორტირების (INOGATE) პროექტები უმეტესწილად შეესაბამება ცენტრალური კავკასიის განვითარებაზე ევროპის შეხედულებას (მაგალითად, Rondeli, 2004, p. 52). უფრო მეტიც, შავი ზღვის რეგიონის მილსადენების სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნეს როგორც ევროკავშირის „ევროპის გაფართოების“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი, და ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვთ საქართველოსა და აზერბაიჯანს, რომლებიც ევროპისა და ტრანსატლანტიკური სტრუქტურების პრეტენდენტები არიან (Baran, 2004, p. 120).

შემთხვევითი არ არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კასპიის პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში რუსეთის მონოპოლიური პოზიციის აღდგენის პრევენციას, აღიქმება როგორც თავად რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკა. ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური პოზიციის თანახმად კი კასპიის ენერგეტიკული რესურსები რუსეთთან პოტენციური კოოპერაციის ასპარეზია (მაგალითად, Larrabee, 2004; Mann, 2003, pp. 152-153). როგორც ენერგეტიკული რესურსების

ექსპორტიორი ქვეყნებისათვის, ისე იმპორტიორი ქვეყნებისთვისაც, აგრეთვე სატრანზიტო ქვეყნებისთვის მაქსიმალური დადებითი ეფექტის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მილსადენების ქსელის პარმონიზაციის გზით, როცა ამ რესურსების ტრანსპორტირების გზების ურთიერთშევესებისა და ურთიერდაზღვევის პრინციპები ამ გზების ალტერნატიულობის პრინციპებს პრევალირებს (Papava, 2010a; Papava and Tokmazishvili, 2008). ამავე დროს, ხელმძღვანელობს რა, ასე ვთქვათ, „ენერგეტიკული ეგონიზმი“, რაც მსოფლიოზე ტრადიციული რუსული ნაციონალისტური შეხედულების შემადგენელი ნაწილია (Milov, 2008, p. 18), რუსეთი ყოველნაირად ცდილობს, გაბატონებული მდგომარეობა ეკავოს კასპიის აუზში (მაგალითად, Благов, 2008).

რეგიონის ქვეყნებს შორის კოოპერაციისა და პარტნიორობის პრინციპების რეალიზაციამ შეიძლება უზრუნველყოს მათი ინტერესების დაცვა; სამწუხაროდ, რეგიონში ამ პრინციპების გაგება და გაზიარება ყველაზე რთულია რუსეთის მხარისთვის (მაგალითად, Papava, 1998; Papava and Gogatadze, 1998; Zubarevich and Fedorov, 1999). თავად რუსი ექსპერტების აღიარებით, ევროპა-კავკასიაზიის სატრანსპორტო დერეფნის ჩამოყალიბების წინააღმდეგ საკითხში რუსეთის სტრატეგიული პარტნიორები არიან ირანი და სომხეთი (მაგალითად, Загашвили, 2000, c. 188). რეგიონში და, კონკრეტულად, კასპიის ენერგეტიკული რესურსების (და არა მხოლოდ) მიმართ რუსეთისა და ირანის მთელი რიგი ინტერესების დამთხვევას (მაგალითად, Cornell, 2001a, pp. 85-88; Freedman, 1997) ხაზს უსვამენ როგორც რუსი (მაგალითად, Гаджиев, 2003, c. 432, 434-439; Малышева, 2000), ისე ირანელი (მაგალითად, Maleki, 2003/2004) ექსპერტები. უფრო მეტიც, თავად რუსი ექსპერტების აღიარებით, რუსეთი „ენერგეტიკულ ომს“ აწარმოებს ზოგიერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოსა და აზერბაიჯანის წინააღმდეგ (Дружиловский, 2006, c. 80).

ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის პოლიტიკაზე (მაგალითად, Язькова, 2009) საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით მთელი კავკასიის „ევრაზისტული სტილით“ მოწყობის შესახებ თანამედროვე

ევრაზიისტების ხედვას (Алиев, 2005). კერძოდ, ეგრეთ წოდებული „კავკასიაში ახალი გეოპოლიტიკური წესრიგის“ თანახმად უარყოფილი უნდა იქნეს „სახელმწიფო-ერის“ ტიპის წარმონაქმნი, რისი მიღწევაც შეიძლება „კავკასიის ფედერაციის“ შექმნის გზით, რომელიც გააერთიანებს როგორც რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიას, ისე აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს (Дугин, 1997, сс. 351-352). ამასთან, აფხაზეთი პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს რუსეთს, სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთი კი უნდა გაერთიანდეს (Дугин, 1997, с. 351), ხოლო მთიან ყარაბაღთან მოსკოვმა უშუალო კავშირი უნდა დაამყაროს, რათა მიანიჭოს მას ეგრეთ წოდებული „მთელი კავკასიის გეოპოლიტიკური სისტემის წონასწორობის წერტილის“ სტატუსი (Дугин, 1997, с. 353). რაც შეეხება რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორებს, კავკასიის „ევრაზიისტული სტილით“ მოწყობის ამ მოდელის განხორციელებაში ასეთებად მიიჩნევა სომხეთი, „კავკასიაში რუსეთის ტრადიციული და საიმედო მოკავშირე“, და ირანი (Дугин, 1997, с. 352).

ადვილი შესამჩნევია, რომ ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა, სამწუხაროდ, არ იგება იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელია საქმე იქონიოს ცენტრალური კავკასიის ერთიან, მთლიან და სტაბილურ ქვეყნებთან (Гаджиев, 2003, с. 295); სახეზეა კონფლიქტური რეგიონებისადმი და სტრატეგიული პარტნიორებისადმი ევრაზიიზმის ზემოთ განხილული პრინციპების რეალიზაცია.

სამართლიანობა მოითხოვს, ხაზი გავუსვათ, რომ კავკასიის ხალხებისადმი ევრაზიისტების მიდგომა მუდამ არა მხოლოდ დამპყრობლური, არამედ, გარკვეულწილად, დამამცირებელიც კი იყო. მაგალითად, ერთ-ერთი პირველი რუსი ევრაზიისტი ნიკოლაი ტრუბეცკოი ცენტრალური კავკასიის ხალხებიდან აზერბაიჯანელებს (რომლებსაც „აზერბაიჯანელ თათრებს“ უწოდებს) ახასიათებს როგორც ყველაზე მტკიცე რუსოფობიული განწყობის ხალხს, მაგრამ მათი საცხოვრებელი ტერიტორიის ეკონომიკური მნიშვნელობის გამო (ბაქოს ნავთობის, მებარეშუმეობის და ბამბის პლანტაციების გამო), რუსეთისგან მათ გამოყოფას დაუშვებლად

მიიჩნევს (Трунцкой, 2007, с. 565); აგრეთვე დაუშვებლად მიაჩნია საქართველოსათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის მინიჭება და ესეც ბაქოს ნავთობის გამო (Трунцкой, 2007, сс. 564-565); სომხებს კი, თუმცა რუსული ორიენტაციის ერთგულებად თელის, დამამცირებლად ახასიათებს როგორც პარაზიტ და მონა ხალხს, რომლებიც საყოველთაო ანტიპათიით სარგებლობენ (Трунцкой, 2007, с. 564); არცთუ სახარბიელო ტონალობით გამოირჩევა მისი დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთი ხალხისადმიც (Трунцкой, 2007, сс. 569-572).

სამწუხაროდ, რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიის-ტულ მიმდინარეობას ყოველთვის ახასიათებდა ცენტრალური კავკასიის მხოლოდ რუსული იმპერიული ამბიციების პრიზმით განხილვა, მაშინ როდესაც ცენტრალური კავკასიის ქვეყნების მომავალი ბევრად არის დამოკიდებული რეგიონში კონფლიქტების მოწესრიგებასა და ამ ქვეყნებისადმი კავკასიელი მეზობლების მიდგომის პრინციპულ შეცვლაზე: აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს ისინი უნდა აღიქვამდნენ არა როგორც თავიანთი გავლენის სფეროს ობიექტებად, არამედ მხოლოდ პარტნიორებად რეგიონალურ ეკონომიკურ (და არა მხოლოდ) პროექტებში.

§2.3. ცენტრალური აზია და დიდი ცენტრალური აზია: ძირითადი გეოპოლიტიკური პრობლემები და ევრაზიიზმი

ცენტრალური აზია, როგორც მსოფლიოს გეოგრაფიული რეგიონი, XIX საუკუნის შუა წლებში გამოყო ალექსანდრ ფონ ჰუმბოლდტმა. ცენტრალური აზია იუნესკოს განმარტებით მოიცავს ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას (თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს), მონღოლეთს, ავღანეთს, დასავლეთ ჩინეთს, აგრეთვე ინდოეთის ზოგიერთ რაიონს, პაკისტანს და ირანს (Asimov, 2001).

ცენტრალურ აზიასთან დაკავშირებული გეოპოლიტიკური პრობლემების კვლევა განსაკუთრებით აქტუალური გახდა საბ-

ჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როცა ამ რეგიონში ადრე საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შემავალი ხუთი ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა (იხ., მაგალითად, Banuazizi and Weiner, ed., 1994; Ferdinand, ed., 1994; Fuller, 1990; Mesbahi, ed., 1994). ამ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების თხუთმეტ წელზე მეტი ხნის ისტორიის მიუხედავად, ცოდნის სისტემა – „ცენტრალურაზიიზმი“ ჯერ კიდევ მოითხოვს არა მარტო მნიშვნელოვან დაგროვებას, არამედ, გარკვეულწილად, განახლებასაც (Толипов, 2005, с. 127). გარდა ამისა, ამ რეგიონის პოლიტიკური და ეკონომიკური ჰეტეროგენულობის მიუხედავად, იგი უკვე გახდა აშკარა გეოპოლიტიკური სუბიექტი (Cotter, 2008).

როგორც ჩანს საბჭოთა პერიოდის ნაშრომების გავლენით, ზოგიერთ გეოპოლიტიკურ კვლევაში ცენტრალური აზიის ცნება მოიცავს მხოლოდ ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას – თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთსა და ყირგიზეთს (მაგალითად, Menon, 2007, p. 3), რაც გეოგრაფიული თვალსაზრისით (და არა მხოლოდ) არამართლზომიერია, რადგან ამ რეგიონის საზღვრებს გარეთ რჩება ავღანეთი, მონღოლეთი და ამ ქვეყნების მოსაზღვრე ზემოჩამოთვლილ სახელმწიფოთა რაიონები (იხ., მაგალითად, Naby, 1994, pp. 35-36).

ზოგჯერ ცენტრალური აზიის ქვეყნების შემადგენლობაში აზერბაიჯანიც შეჰყავთ (Dowling and Wignaraja, 2006, p. 10), რაც მართებული არ უნდა იყოს, რადგან იგი სრულიად აშკარად სხვა რეგიონის – კავკასიის იმანენტური ნაწილია.

არანაკლებ საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა შემადგენლობაში რუსეთის იმ საბაბით შეყვანის იდეა, რომ 2004 წლის ოქტომბერში იგი შევიდა „ცენტრალური აზიის თანამშრომლობის“ ორგანიზაციაში (Толипов, 2007, с. 19), რომელიც ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა, ყაზახეთმა და ყირგიზეთმა ორი წლით ადრე ჩამოაყალიბეს; ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა რიცხვიდან უნდა ამოვიღოთ თურქმენეთი, რადგან იგი არ შედის ამ ორგანიზაციაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ რეგიონალურ ორგანიზაციაში

ამა თუ იმ სახელმწიფოს წევრობის სტატუსი არ გამოდგება იმის განსაზღვრის ერთადერთ კრიტერიუმად, შედის მოცემული სახელმწიფო ამ კონკრეტულ რეგიონში თუ არა.

მოცემული ნაშრომის შესავალში აღინიშნა, რომ საბჭოთა პერიოდში ამ რეგიონის მიმართ გამოიყენებოდა ტერმინი „შუა აზია“, რომელიც აერთიანებდა თურქმენეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთსა და ყირგიზეთს, ხოლო ყაზახეთი, როგორც წესი, განიხილებოდა დამოუკიდებლად, ანუ შუა აზიის ფარგლებს გარეთ (მაგალითად, Lewis, and Wigen, 1997, p. 179). თუმცა დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია ტერმინი „ცენტრალური აზია“ (მაგალითად, Дугин, 1997, сс. 353-359), რომელიც საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, ამ რეგიონის შემადგენლობაში უკვე ყაზახეთსაც მოიაზრებს. რაც შეეხება მოცემულ პრობლემაზე ეგრეთ წოდებულ „ყაზახურ შეხედულებას“, მის თანახმად, სამხრეთიდან საფრთხის გამო, მიზანშეწონილია უარის თქმა გარედან თავსმოხვეულ ტერმინზე „ცენტრალური აზია“ და დაბრუნება საბჭოთა პერიოდის ტერმინისა „ყაზახეთი და შუა აზია“ (Акимбеков, 2005), რაც, რბილად რომ ვთქვათ, სამწუხაროა, რადგან ყაზახეთისადმი ამგვარი მიდგომა ერთგვარად საბჭოთა წარსულის „გამოძახილია“.

გარდა ტერმინისა „ცენტრალური აზია“, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიყენება აგრეთვე ტერმინი „დიდი (Greater) ცენტრალური აზია“. ამ ტერმინით XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს მოინიშნა რეგიონი, რომელიც ცენტრალურის გარდა მოიცავდა ასევე სამხრეთ-დასავლეთ და სამხრეთ აზიას (Canfield, 1992, p. 875). დიდი ცენტრალური აზიის თანამედროვე, უფრო დაზუსტებული გეოპოლიტიკური განსაზღვრებით, ამ რეგიონში, გარდა ზემოხსენებული ხუთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკისა, შეყვანილია ავღანეთიც (Starr, 2005a, p. 16, 2005b, 2008)¹, აგრეთვე ჩინეთის სინძიან-უიღურის ავტონომიური რაიონი (Тянь, 2009).

„ცენტრალური აზიის“ ცნების შესახებ ზემოხსენებული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების გათვალ-

¹ „დიდი ცენტრალური აზიის“ კონცეფციაში პროფესორ ფრედერიკ სტარის პიონერული როლის შესახებ იხ., მაგალითად (Тулепбергенова, 2009, сс.91-92).

ისწინებით, უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ამ ტერმინის შინაარსის თაობაზე კონსენსუსი მიღწეული არ არის (მაგალითად, Lewis and Wigen, 1997, p. 179).

ცენტრალური აზიის ახალ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მოკლე დახასიათებისას, უნინარეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ იქ დამყარებული პოლიტიკური რეჟიმები იმიტაციური რეფორმების თითქმის ოცი წლის შემდეგაც ჯერ ისევ ავტორიტარიზმის სხვადასხვაგვარ კომბინაციებად რჩება (Джангужин, 2005, с. 54). უფრო ზუსტი კლასიფიკაციის თანახმად, ტაჯიკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი ნახევრად ავტორიტარული სახელმწიფოებია, მაშინ, როცა უზბეკეთსა და თურქმენეთში დამყარებულია ავტორიტარული, რომ არა ვთქვათ, დიქტატორული რეჟიმები (Warkotsch, 2008, p. 62).

რეგიონის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს შორის, სახელმწიფო მონყობის დემოკრატიზაციის გარდა (მაგალითად, Толипов, 2007a), შეიძლება გამოვყოთ რელიგიურ-პოლიტიკური ექსტრემიზმის საშიშროება (მაგალითად, Абишева и Шаймергенов, 2006; Назиров, 2003). რეგიონში სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ამ სახელმწიფოთა შორის სასაზღვრო რაიონები იქ, სადაც ეს საზღვრები არ არის დემარკირებული, არათუ სადავოა, არამედ სასაზღვრო კონფლიქტების ზონებადაც იქცა (მაგალითად, Зиядуллаев, 2006, с. 146). რეგიონში მწვავედ დგას ნარკობიზნესთან დაკავშირებული პრობლემაც (მაგალითად, Osmonaliev, 2005; Жмуйда и Морозова, 2002). რეგიონალურ ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პრობლემებს შორის კი პირველი ადგილი წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემას უკავია (მაგალითად, Spoor and Krutov, 2005; Примбетов, 2006, с. 137; Сидоров, 2003), რადგან რეგიონში ისინიც კი კონფლიქტების წყაროს წარმოადგენს (Сидоров, 2003).

რეგიონი უცხოელი ინვესტორების ყურადღებას იპყრობს ენერგეტიკის სფეროში, რადგან სამ სახელმწიფოში – თურქმენეთში, ყაზახეთსა და უზბეკეთში ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მარაგია (მაგალითად, Бабак, 2006; Каменев, 2003; Кенисарин, 2004),

თუმცა საპრეზიდენტო მმართველობის ავტორიტარული რეჟიმები (მაგალითად, Куртов, 2002) და კორუფციის მაღალი დონე (მაგალითად, Marat, 2006), არასრულყოფილი საგადასახადო სისტემა და განუვითარებელი საბანკო სექტორი, საკუთრების უფლების დაუცველობა და მთელი რიგი სხვა ინსტიტუციური პრობლემები, ამა თუ იმ დონეზე რომ ეხება ამ ქვეყნებს, უარყოფით გავლენას ახდენს მათში საინვესტიციო კლიმატის ფორმირებაზე (Starr, 2003).

ცენტრალური აზიის ჩამოთვლილ სამ ქვეყანაში ნავთობისა და გაზის მარაგის ფონზე, ტაჯიკეთსა და ყირგიზეთს მნიშვნელოვანი ჰიდრორესურსები აქვთ (მაგალითად, Куртов, 2004; Ниязи, 2003a; Петров, 2003, 2004), რაც რეგიონში ელექტროენერგეტიკის საერთო ბაზრის ჩამოყალიბების რეალურ შესაძლებლობებს ქმნის (მაგალითად, Курганбаева, 2004, с. 178).

მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთსა და ყაზახეთს შორის ჯერ კიდევ გრძელდება კონკურენცია რეგიონში ლიდერობისათვის (მაგალითად, Зиядуллаев, 2006, с. 147)¹, სწორედ ამ ქვეყნებმა, ხელი მოაწერეს რა 1993 წელს შეთანხმებას 1994-2000 წლების პერიოდისათვის მათ შორის ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ, დასაბამი მისცეს ცენტრალურ აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს (მაგალითად, Примбетов, 2006, с. 139). 1994 წელს ამ ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ერთიანი ეკონომიკური სივრცის შესახებ, რომელსაც მალე ტაჯიკეთი და ყირგიზეთიც შეუერთდნენ (Примбетов, 2006, с. 139). 1998 წელს ჩამოყალიბდა ამ სახელმწიფოების რეგიონალური ორგანიზაცია – ცენტრალური აზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც 2002 წელს ცენტრალური აზიის თანამშრომლობის ორგანიზაციად გარდაიქმნა (იხ., მაგალითად, Ушакова, 2003). ეს სახელმწიფოები ბელარუსთან და რუსეთთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა,

¹ ზოგიერთ ექსპერტს მიაჩნია, რომ რეგიონში ყაზახეთსა და უზბეკეთს შორის არავითარი პაექრობა არ არსებობს, რომ ეს ყალბი სტერეოტიპია, რადგან ხელი მოაწერა რა 2005 წლის ოქტომბერში რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ამით უზბეკეთმა ნებაყოფლობით დაუთმო ლიდერობა ყაზახეთს (Толипов, 2006, с.26). ამ ფაქტის მიუხედავადაც უნდა ვაღიაროთ, რომ ყაზახეთი ობიექტურად ასრულებს რეგიონალური ლიდერის როლს (Weitz, 2008).

ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრები არიან. არიან რა იმავდროულად დსთ-ის წევრებიც, უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და შეთანხმებებს არ შეუძლიათ გადალახონ ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე არსებული მრავალი დაბრკოლება, რაც, უნინარეს ყოვლისა, გამოწვეულია იმით, რომ რეგიონის ქვეყნებმა ვერ ისწავლეს ერთმანეთის მიმართ დათმობაზე წასვლა (Койчуманов, 2003, с. 166).

აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზიის ეს ოთხივე სახელმწიფო შედის ჩინეთის ინიციატივით შექმნილ შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციაში, რომლის საქმიანობა მოიცავს ცენტრალურ აზიაში მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ტერორიზმთან, სეპარატიზმთან, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის, არალეგალური მიგრაციის მონესრიგების, აგრეთვე ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, საგანმანათლებლო და კულტურული თანამშრომლობის პრობლემებს (მაგალითად, Гуанчэн, 2002; Гуан, 2003; Зиядуллаев, 2006, сс. 148-151; Шаймергенов и Тусупбаева, 2006).

ცენტრალურ აზიაში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესებიდან პრაქტიკული დისტანცირება მოახდინა (Эсенов, 2001, с. 57), თავად გამორიცხა საკუთარი თავი მსოფლიოს ერთ-ერთმა ყველაზე დახურულმა (მაგალითად, Дадабаев, 2006, с. 148) და არადემოკრატიულმა (მაგალითად, Куртов, 2006) სახელმწიფომ – თურქმენეთმა, რომელიც, იმონებს რა ქვეყნის ნეიტრალურ სტატუსს (რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური რეზოლუციით არის დაფიქსირებული 1995 წლის დეკემბერში), თავს იკავებს რაიმე მრავალმხრივ კავშირებში, ბლოკებში, ორგანიზაციებში და ა.შ. მონაწილეობისგან (Каменев, 2002, с. 93). ამავე დროს აღსანიშნავია, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში მცდარი წარმოდგენა იქმნებოდა იმის თაობაზე, თითქოს, ნეიტრალური სტატუსი ხელს უწყობდა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან თურქმენეთის თანამშრომლობის განვითარებას (Эфегил, Олжай и Кыдык, 2000).

დიდ ცენტრალურ აზიაში ავღანეთის როლი განსაკუთრებით გაიზარდა ამ ქვეყანაში ანტიტერორისტული კამპანიის დაწყების შემდეგ (Лаумулин, 2002; Олимова и Олимов, 2002), რაც გამოვლინდა როგორც ამ სახელმწიფოს, ისე მთელი დიდი ცენტრალური აზიის (მაგალითად, Starr, 2004, 2005a) მიმართ საერთაშორისო პროექტების შემუშავებასა და რეალიზაციაში.

მაკინდერის „პართლენდის“ კონცეფციის თანამედროვე ინტერპრეტაციების კონტექსტით ცენტრალური აზიის როლი და მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად ფასდება. მაგალითად, თანამედროვე რუსი ევრაზიისტების საპირწონედ, რომლებსაც, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მიაჩნიათ, რომ „ლერძული რეგიონი“ გეოგრაფიულად უიგივდება რუსეთს, ზოგიერთი ექსპერტი ცენტრალურ აზიაში სწორედ ამ უკანასკნელს „მიანერს“ „ლერძული რეგიონის“ სტატუსს, ხოლო ყირგიზეთი ამ ტერიტორიის გულად, ანუ „პართლენდად“ მიაჩნიათ; ამასთან, არ უარყოფენ, რომ მას უზბეკეთიც და ყაზახეთიც განეკუთვნებიან (მაგალითად, Матикеева, 2005, с. 29). არსებობს „პართლენდში“ ცენტრალური აზიის ადგილმდებარეობის რამდენადმე განსხვავებული ინტერპრეტაციაც, რომლის თანახმადაც შუა აზია, მისი საბჭოური გაგებით, კვლავაც „ჩამონტაჟებულია“ მის („პართლენდის“) უკიდურეს სამხრეთ კიდეში (Дака, 2005, с. 69). ზოგიერთი ექსპერტისათვის „პართლენდის“ და „რიმლენდის“ შეცვლის საბაზია ავღანეთში ანტიტერორისტული ოპერაციის განხორციელება, რის შედეგადაც გამოითქმის ვარაუდი, რომ ცენტრალური აზია შეიძლება გახდეს რეგიონი, რომელიც სტრატეგიული მნიშვნელობის გამო კი არ „დაიფარება“ „პართლენდით“ ან „რიმლენდით“ როგორც დაქვემდებარებული ობიექტი, არამედ საკუთარ თავს წარმოადგენს „პართლენდსა“ და „რიმლენდში“ (Талипов, 2003, с. 123).

ბევრად უფრო საინტერესოა (როგორც ჩანს მეცნიერული თვალსაზრისით) იმ საკითხის დაყენება, თუ რა გავლენას ახდენს ცენტრალური აზიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე ის გარემოება, რომ მათ უშუალო გასასვლელი არ აქვთ მსოფლიო ოკეანეში. მაგალითად, ჯეფრი საქსი, რომელსაც მიაჩნია, რომ

გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური აყვავება შეიძლება საყოველთაო კუთვნილება გახდეს, მაინც სკეპტიკურად აფასებს ცენტრალური აზიის სახელმწიფოების შესაძლებლობებს სხვადასხვა ტვირთის ტრანსპორტირების გზაზე არსებული გეოგრაფიული დაბრკოლებების გამო (Sachs, 1997). პრობლემის ამგვარი ხედვა მთლიანად შეესაბამება გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკურ განვითარებაზე გეოგრაფიის გავლენის თანამედროვე გაგებას (Kaplan, 2009; Krugman, 1993). იმ კვლევების შედეგების საფუძველზე, რომელთა თანახმადაც ტვირთის ხმელეთით გადაზიდვა ერთ დამატებით კილომეტრზე უდრის იმავე ტვირთის ზღვით გადაზიდვას შვიდ დამატებით კილომეტრზე, კეთდება დასკვნა, რომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური სირთულეები ექმნებათ იმ სახელმწიფოებს, რომლებიც ზღვის სანაპიროდან მოშორებით მდებარეობენ (Hausmann, 2001, p. 46). აქედან სულაც არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ცენტრალური აზია გლობალიზაციის პროცესში მყოფი მსოფლიოს ჩიხს წააგავს, რადგან რეგიონი, რომელიც დიდ აბრეშუმის გზას განასახიერებს, პრაქტიკულად ქვეყნიერების ყველა მიმართულებით მსოფლიო მარშრუტების გზაჯვარედინია (Хекимоглу, 2005, с. 91).

ამასთან აღსანიშნავია, რომ აღნიშნული გეოგრაფიული სირთულეების გამო ცენტრალური აზიის ქვეყნების განვითარების ეკონომიკური პერსპექტივები სულაც არ უნდა იყოს აღქმული შავბნელ ფერებში, რადგან რეგიონში აშშ-ის უპირველეს ინტერესს მსოფლიო თანამეგობრობისთვის ამ რეგიონის შეუფერხებელი ფინანსურ-ეკონომიკური მისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს (Бжезинский, 2005a, с. 178).

თანამედროვე რუსი ევრაზიისტების თანახმად, „შუა“ (ევრაზიისტების ტერმინოლოგიით, ხოლო საყოველთაოდ მიღებული ტერმინოლოგიით „ცენტრალური“) აზია ის გეოპოლიტიკური სივრცეა, რომელსაც „ჰართლენდი“ ინდოეთის ოკეანესთან გაჰყავს (Дугин, 1997, с. 353). „რუსულ აღმოსავლეთში“ ცენტრალური ყაზახეთის ჩართვით ევრაზიისტები, უწინარეს ყოვლისა, გეგმავენ ყაზახეთის რუსეთთან საერთო-კონტინენტურ ბლოკში

ინტეგრაციას (Дугин, 1997, с. 354). შემდეგ, მათი აზრით, უნდა შეწყდეს ატლანტიკური თურქეთის ყოველგვარი გავლენა რეგიონზე, რისთვისაც რუსეთი გამოიყენებს მთავარ მოკავშირეს, ირანს, რის შედეგადაც რეგიონი უნდა „გაიჭიმოს“ რუსებსა და სპარსელებს შორის (Дугин, 1997, сс. 354-355). ამასთან, უნდა გადაისინჯოს „საბჭოთა“ შუა აზიის ყველა ქვეყნის ტერიტორია იმგვარად, რომ ტერიტორიები თურქული არეალის მიღმა ჩაიკეტოს (Дугин, 1997, с. 355). ეგრეთ წოდებული „შუა აზიაში ახალი ევრაზიული წესრიგის“ დამყარებაში წარმატების სანინდრად მიიჩნევენ ტაჯიკეთს, რადგან ტაჯიკები ეთნიკურად ახლოს არიან ირანელებთან და ავღანელებთან, ხოლო ტაჯიკეთსა და ავღანეთს შორის საზღვარი არ უნდა აღიქმებოდეს როგორც მკაცრად განსაზღვრული (Дугин, 1997, с. 355). აქვე შევნიშნავთ, რომ ცენტრალური აზიის „გადაკეთების“ მსგავსი ევრაზიისტული მოდელი გამომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის იმპერიული ამბიციებიდან, და, როგორც წესი, არანაირად არ ითვალისწინებს მოცემული რეგიონის სახელმწიფოებისა და ხალხების ინტერესებს.

რუსეთის საზოგადოებრივ აზრში ცენტრალური აზია აღიქმება, როგორც ისლამიზმის, ტერორიზმის და მაფიის აღრევა, თუმცა ევრაზიისტული მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, რუსეთის პოლიტიკური ელიტა ამ რეგიონს რუსეთის უცილობელ მიძიმე ტვირთად მიიჩნევს (Laruelle, 2008a).

არ შეიძლება არ დაეთანხმო შეფასებას იმის თაობაზე, რომ რუსეთს სუსტი ეკონომიკური, სამხედრო თუ მორალური შესაძლებლობები აქვს საიმისოდ, რომ ცენტრალური აზია ჩააბას ევრაზიულ იმპერიაში, რასაც, როგორც წესი, რუსი ევრაზიისტები არ ითვალისწინებენ (Rumer, 2002, pp. 49-50). ფაქტობრივად განვილილ ოც წელიწადში ცენტრალური აზიის ქვეყნებმა, მოსკოვის მთელი მცდელობის მიუხედავად (მაგალითად, Lefebvre and McDermott, 2008), მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ასე თუ ისე ისწავლეს ლავირება საკუთარი

ინტერესების რეალიზაციისათვის ერთმანეთთან მეტოქეობაში ჩაბმულ სხვადასხვა ქვეყნებს შორის (Spechler and Spechler, 2008).

რუს ევრაზიისტებს ფანტაზიებში ტოლს არ უდებენ მათი ყაზახი თანამოაზრენი, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ყაზახეთი წმინდა ევრაზიული სახელმწიფოა, რაც პრაქტიკულად გამოირიცხავს ცენტრალურ აზიასთან მის კუთვნილებას. შედეგად კეთდება დასკვნა, რომ იგი არანაირად არ წარმოადგენს ცენტრალური აზიის ქვეყანას, არამედ მხოლოდ გეოგრაფიულად ესაზღვრება ცენტრალურ აზიას (Назарбаева, 2003). მართალია, ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, ყაზახეთის მცირე ნაწილი – დასავლეთ ყაზახეთი – გეოგრაფიულად აღმოსავლეთ ევროპას განეკუთვნება (მაგალითად, Джангужин, 2005, с. 18; Хачиев, 2006, с. 137), მაგრამ ამ ქვეყნისა და ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების ისტორიული ფესვები ღრმად არის გადახლართული (მაგალითად, Толипов, 2006, с. 24). ყაზახეთის თანამედროვე პოლიტიკური წყობაც, რომელიც საპრეზიდენტო ვადის მაქსიმალურ გახანგრძლივებაზეა დაფუძნებული, არანაირად არ განსხვავდება ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნების რეჟიმებისგან (Толипов, 2006, с. 25), რაც აგრეთვე ადასტურებს მოცემული რეგიონიდან ამ ქვეყნის გამოყოფის უსაფუძვლობას. ყველაზე მთავარია ის, რომ ცენტრალური აზიიდან ყაზახეთის გამოყოფა და მისი ევრაზიულ სახელმწიფოდ გამოცხადება სხვა არაფერია, თუ არა ყაზახეთის დამოუკიდებლობაზე ფაქტობრივად უარის თქმა, და საბოლოო ანგარიშით რუსეთის მიერ მისი შთანთქმა (Толипов, 2006, с. 19).

უინტერესო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ცენტრალური აზიიდან ყაზახეთის გამოყოფის და მისი ევრაზიულ სახელმწიფოდ აღიარების შესახებ მოსაზრებების მისამართით მოცემული კრიტიკული შენიშვნების ავტორი იმავდროულად ხაზს უსვამს, რომ თავად ევრაზიისტობის იდეა, მათ შორის ყაზახეთის ევრაზიულობა უბრალოდ მითი კი არა, გეოპოლიტიკური პროვოკაციაა (Толипов, 2006, с. 19), თუმცა, სულაც არ გამოირიცხავს ცენტრალური აზიის (მათ შორის ყაზახეთის) დაბრუნებას ევრაზიაში (სადაც იგი იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში)

მას შემდეგ, რაც ის (ცენტრალური აზია) თავის გეოპოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციას შეძლებს (Толипов, 2006, с. 20). აქ, ბუნებრივია, ისმის კითხვა, თუ რამდენად არიან მზად ცენტრალური აზიის ქვეყნები თუნდაც მომავალში უარი თქვან ფაქტობრივ დამოუკიდებლობაზე რუსეთის სასარგებლოდ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, თუ როგორ შეიძლება ევრაზიაში ინტეგრირება, თუ ეს დაბრუნება, როგორც სავსებით სამართლიანად აღინიშნა, თურმე ეფუძნება „მითს“, „გეოპოლიტიკურ პროვოკაციაზე“ რომ არაფერი ვთქვათ.

ვიზიარებთ რა განხილულ კრიტიკულ დამოკიდებულებას ევრაზიიზმის იდეებისადმი, უნდა ვაღიაროთ, რომ, ჩვენი აზრით, ცენტრალური აზიის ქვეყნებში (თუ ყველგან არა, უმრავლესობაში მაინც) დამოუკიდებლობის მნიშვნელობის, აგრეთვე მომავლის გააზრება ჯერაც პრობლემატურად რჩება, რაც სადღეისოდ ძნელია გადაჭრილად ჩაითვალოს.

§2.4. „ცენტრალური კავკაზია“ – ახალი გეოპოლიტიკური კონცეფცია

ზემოთ, ევრაზიის გეოგრაფიული და გეოპოლიტიკური განმარტებების თანაფარდობის საკითხის განხილვისას, დავასკვენით, რომ ევრაზიაში რუსეთის იმპერიული ზრახვების დასაბუთების გეოპოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, რუსი ევრაზიისტები ავიწროებენ ამ კონტინენტის გეოგრაფიულ საზღვრებს.

რაც შეეხება ცენტრალურ ევრაზიას, როგორც ზემოთ ითქვა, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია, როგორც ევრაზიის კონტინენტის ცენტრალური რეგიონი, ფაქტობრივად მთლიანად მოიცავს გეოგრაფიულ ცენტრალურ აზიას, ხოლო ცენტრალური ევროპა მასში არ შედის. ზემოთ ასევე ხაზი გავუსვით, რომ იმ ლოგიკიდან გამომდინარე, რომ გეოგრაფიული ევრაზია, როგორც კონტინენტი, მსოფლიოს ორი ნაწილისგან შედგება – ევროპისგან და აზიისგან, გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია ცენტრალურ ევროპასთან ერთად, ბუნებრივია, უნდა მოიცავდეს ცენტრალურ

აზიას, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ კავკასიას. ამასთან, ცენტრალური ევრაზიის ნებისმიერი განმარტება, განსხვავებული მოცემული რეგიონის განხილული ლოგიკური დასაბუთებისგან, გვინდა თუ არა, ერთგვარად იმ ტრადიციის გათვალისწინებაა, რომელიც რუსმა ევრაზიისტებმა ჩამოაყალიბეს.

ამასთან, აშკარად შეინიშნება ცენტრალური კავკასიის ქვეყნების – აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის, და ცენტრალური აზიის ქვეყნების – თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის პრობლემების ერთობლივად განხილვისადმი მნიშვნელოვანი მეცნიერული (და არა მხოლოდ) ინტერესი (მაგალითად, Bertsch, Craft, Jones and Beck, eds., 2000; Oliker and Szayna, eds. 2003; Sabahi and Warner, eds., 2004). რვა ჩამოთვლილი ქვეყნისგან შემდგარ ამ რეგიონს, როგორც ამჟამად საყოველთაოდ მიღებულია, ცენტრალური ევრაზია ეწოდება (მაგალითად, Amineh and Houweling, 2005, pp. 2-3; Fairbanks, Nelson, Starr and Weisbrode, 2001, p. vii; Meyer, 2004, p. 206; Xuetang, 2006, p. 117)¹. ამავე ტერმინით მოიხსენიება რეგიონი, რომელიც ამ რვა ქვეყნის გარდა მოიცავს ავღანეთსაც (Исмаилов и Эсенов, 2005), რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იგი ცენტრალური აზიის ჩამოთვლილ ხუთ ქვეყანასთან ერთად დიდი ცენტრალური აზიის შემადგენლობაში შედის.

არსებობს ცენტრალური ევრაზიის უფრო ფართო განმარტება, რომლის თანახმადაც ეს რეგიონი მოიცავს შავი ზღვის, კავკასიის, კასპიისა და ცენტრალური აზიის რეგიონებს (მაგალითად, Дарабади, 2006, с. 10). აშკარაა, რომ ცენტრალური ევრაზიის რეგიონის ამგვარ განსაზღვრებას კონსტრუქციულად ვერ მივიჩნევთ და არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არ არის მკაფიო, არამედ აშკარაა, რომ მისი შემადგენელი ჩამოთვლილი რეგიონებით ერთმანეთის ურთიერთგადაფარვა ხდება.

¹ ცენტრალური აზიის საყოველთაოდ აღიარებულ განმარტებებს აშკარად ეწინააღმდეგება ამ რეგიონის რუსეთთან გაიგივება (Maisaia, 2007, p.16). მოცემული რეგიონის ამგვარი განმარტება, რა თქმა უნდა, მცდარად უნდა მივიჩნიოთ, რადგან, თუ რუსეთი ცენტრალური ევრაზიაა, მაშინ გაურკვეველი რჩება ჩრდილოეთ ევრაზიის ადგილმდებარეობა.

ტერმინი ცენტრალური აზია, როგორც ის დღეს გამოიყენება, გარდა იმისა, რომ გეოგრაფიულად არ ასახავს ამ ჩამოთვლილი ქვეყნების შემცველი რეგიონის არსს, იმავდროულად რუსეთის იმ იმპერიული ამბიციის მატარებელია, რომელიც ეფუძნება რუსეთის ევრაზიასთან გაიგივებას. აქედან გამომდინარე, ბუნებრივად დგება კითხვა: გეოგრაფიულად როგორი იქნება რეგიონის სწორი სახელწოდება, რომელიც ამ რვა ქვეყანას აერთიანებს? და რა აქვთ საერთო ისეთი, რის გამოც მათი ერთად განხილვა გეოპოლიტიკურად გამართლებული იქნება?

ამჟამად ეს რვა ქვეყანა, კვლევის სხვადასხვა მიზნებიდან გამომდინარე, იმ უფრო ვრცელი რეგიონების შემადგენლობაში განიხილება, რომლებიც სხვა ქვეყნებსაც მოიცავს. ასეთებია, მაგალითად, „ევრაზიის ბალკანეთი“ (Бжезинский, 2005a) ან „დიდი ახლო აღმოსავლეთი“ (Kemp and Harkavy, 1997).

იქიდან გამომდინარე, რომ განხილული რვავე ქვეყანა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე დსთ-ის წევრი იყო, გასაკვირი არ არის, რომ ისინი განიხილებოდა ამ ინსტიტუციურად ჩამოყალიბებული ორგანიზაციის კონტექსტითაც. მრავალი ექსპერტის აზრით, დსთ ლამის შექმნის მომენტიდან გარკვეულ სიძნელეებს განიცდიდა და განიცდის ინტეგრაციულ პროცესებში (მაგალითად, Гринберг, Зевин и др., 2001; Козик и Кохно, 2001; Шулъга, (рук. авт. колл.), 2001; Шумский, 2001, 2003, 2004), რისი მთავარი მიზეზიც არის ინტეგრაციული პროცესების დსთ-ის ფარგლებით შეზღუდვის შენარჩუნების ხელშეწყობა წარმოებრივი კოოპერაციის იმ კარჩაკეტილობის გარკვეული ანალოგიით, რომლითაც ხასიათდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა (მაგალითად, Coppeters, 1998, pp. 194-197; Olcott, Åslund and Garnett, 1999). შედეგად დსთ მარგინალურ ორგანიზაციად გადაიქცა (Åslund and Kuchins, 2009b, pp. 121-122). საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია, შემდგომში კი მოსკოვის მიერ ცალმხრივი წესით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღიარება ეჭვქვეშ აყენებს ამ ორგანიზაციის არსებობის მიზანშეწონილობას, რომელიც ფორმალურად აღიარებს მასში შემა-

ვალი სახელმწიფოების საზღვრების ურღვევობას (Allison, 2008, p. 1161). რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო გამოვიდა დსთ-ის შემადგენლობიდან (სივილ ჯეორჯია, 2008ა, 2008ბ), რამაც სხვა სირთულეებთან ერთად კიდევ უფრო ეჭვქვეშ დააყენა ამ ორგანიზაციის მომავალი (Blank, 2008; Лиллис, 2008).

სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული ტერმინი „კასპიის რეგიონი“, რომელიც, შესაბამისი პუბლიკაციების თანახმად, ქვერეგიონების სხვადასხვაგვარ კომბინაციას უნდა მოიცავდეს. არ შეიძლება ჩაითვალოს მიზანშეწონილად ამ ტერმინის გამოყენება რვა ჩამოთვლილი ქვეყნისგან შემდგარი რეგიონის დასახასიათებლად, რადგან ლოგიკურად „კასპიის რეგიონში“ უნდა იგულისხმებოდეს კასპიის ზღვის ირგვლივ მდებარე ქვეყნები – აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ირანი, რუსეთი და ყაზახეთი (მაგალითად, Салыгин и Сафарян, 2005). ამის მიუხედავად, არსებობს ამ რეგიონის ნაკლებად მკაცრი განმარტებებიც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თანახმად, კასპიის რეგიონში გულისხმობენ ცენტრალური აზიის დასავლეთ ნაწილს, სამხრეთ რუსეთს, ჩრდილოეთ და ცენტრალურ კავკასიასა და ჩრდილოეთ ირანს (Дарабади, 2002, с. 6, 2003, с. 77); მეორე განმარტების თანახმად, ჩამოთვლილ კასპიის ზღვის სანაპირო სახელმწიფოებთან ერთად კასპიის რეგიონს მიაკუთვნებენ აგრეთვე საქართველოს, სომხეთს, ტაჯიკეთს, უზბეკეთს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, და ნაწილობრივ ავღანეთს, პაკისტანსა და ახლო აღმოსავლეთსაც კი (Sasley, 2004, p. 194). როგორც ჩანს „კასპიის რეგიონის“ ტერმინის პირველი განმარტების შემთხვევაში, ის ფარავს ცენტრალური აზიის მხოლოდ მცირე ნაწილს, და იმავდროულად მოიცავს იმ ტერიტორიებსაც, რომლებიც არ მიეკუთვნება ნახსენებ რვა ქვეყანას; რაც შეეხება მეორე განმარტებას, ტერმინი „კასპიის რეგიონი“ ნახსენები რვა ქვეყნის გარდა მოიცავს მრავალ სხვა ქვეყანასაც (რომ აღარაფერი ვთქვათ მთელ რეგიონებზე), რომელთა მოცემულ რეგიონთან კუთვნილებას ერთნაირად დასაბუთებულად ვერ მივიჩნევთ. შედარებით მართებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ „კასპიის რეგიონში“ აზერბაიჯანის, საქართველოს,

ველოს, სომხეთის, თურქმენეთის, ყაზახეთის, აგრეთვე ირანისა და რუსეთის შესაბამისი ნაწილების ჩართვა (Weitz, 2008, p. 9), თუმცა სრულად არგუმენტირებული ალბათ მაინც ვერ იქნება ამ რეგიონში საქართველოსა და სომხეთის ჩართვა. ხოლო თუ ასეთ მიდგომას დავეთანხმებით და ვაღიარებთ, რომ ეს ორი ქვეყანა, რომელთაც უშუალო გასასვლელი არ აქვთ კასპიის ზღვაზე, მაინც განეკუთვნებიან ამ რეგიონს, მაშინ ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ რატომ უნდა შევიდნენ „კასპიის რეგიონის“ ქვეყნების შემადგენლობაში ირანი და რუსეთი მხოლოდ ნაწილობრივ?

შესაბამისად, ტერმინის, „კასპიის რეგიონი“ ნებისმიერი ვარიანტი ნაკლებად გამოსადეგია ზემოხსენებული რვა ქვეყნის – აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, უზბეკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის მომცველი რეგიონის იდენტიფიკაციისათვის.

ჩვენ წინაშე დასახული ამ რვა ქვეყნის იდენტიფიკაციის შესახებ ამოცანის გადაჭრის თვალსაზრისით ბევრად უკეთესი არც „კავკასია-კასპიის რეგიონის“ ტერმინია, რომელიც, ზოგიერთი ავტორის თანახმად, მთლიანად მოიცავს კავკასიას (Добаев и Дугин, 2005, с. 91), მაგრამ ამასთან, არათუ არ ადგენს მოცემულ რეგიონში ცენტრალური აზიის ჩართვის დონეს, არამედ ისეთ ფრაზასაც კი შეიცავს, როგორცაა „კავკასია-კასპიის და ცენტრალური აზიის რეგიონები“ (Добаев и Дугин, 2005, с. 94), რითაც ხაზგასმულია, რომ ცენტრალური აზია ერთგვარად კავკასია-კასპიის რეგიონის გარეთ მდებარეობს. უფრო ფართო და ამით უფრო ბუნდოვანი განმარტებით კავკასია-კასპიის რეგიონში იგულისხმება კასპიის ზღვის მთელი აუზი, ცენტრალური აზიის დასავლეთი პროვინციები, ჩრდილოეთ კავკასია, თურქეთის აღმოსავლეთი რაიონები, ირანის ჩრდილოეთი რაიონები, და ნაწილობრივ შავი ზღვის აუზი (Мурадян, 2008, с. 241). სხვა შემთხვევებში საერთოდ არ არის მოცემული ტერმინ „კავკასია-კასპიის რეგიონის“ მეტ-ნაკლებად ზუსტი განსაზღვრება (მაგალითად, Maisaia, 2007).

ბევრად უფრო ზუსტია ტერმინი „კავკასია-ცენტრალური აზიის გეოპოლიტიკური რეგიონი“ (Максименко, 2000, с. 64), თუმცა იგი ფარავს ჩამოთვლილი რვა ქვეყნის საზღვრებს გარე ტერიტორიებს, რადგან კავკასია, როგორც ცნობილია, მოიცავს არა მხოლოდ აზერბაიჯანს, საქართველოსა და სომხეთს.

იქიდან გამომდინარე, რომ ჩამოთვლილი რვა ქვეყანა აყალიბებს ორ ქვერეგიონს – ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას, – მათ მომცველ უფრო მსხვილ რეგიონს შეიძლება ვუწოდოთ **ცენტრალური კავკაზია** (Papava, 2008; Папава, 2007б, с. 47, 2008в, с. 44): ამ შემთხვევაში შენარჩუნებულია სიტყვა „ცენტრალური“, რომელიც სახასიათოა, საკვანძოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკაზია“ ნაწარმოებია ორი სიტყვიდან „კავკასია“ და „აზია“. ინგლისურ ენაზე სიტყვა „კავკაზიის“ ფორმირება რამდენადმე გართულებულია, რადგან მისი ზუსტი თარგმანი – „Caucasia“ სიტყვის „Caucasus“ სინონიმს წარმოადგენს, რაც ქართულ ენაზე „კავკასიას“ ნიშნავს. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია „კავკაზიის“ შესაბამის სიტყვად ინგლისურ ენაზე გამოვიყენოთ „Caucaso-Asia“ (Papava, 2008б), ან „Caucasia“ (Papava, 2008а, pp. 38-39), და შესაბამისად, „ცენტრალური კავკაზია“ ინგლისურად იქნება „Central Caucasio-Asia“. ხოლო თუ განვიხილავთ რეგიონის არა რვა, არამედ ცხრა ქვეყანას ავღანეთის ჩათვლით, ამ შემთხვევაში მართებული იქნება ამ რეგიონს ვუწოდოთ „დიდი ცენტრალური კავკაზია“, რაც ინგლისურად იქნება „Greater Central Caucasio-Asia“.

როცა ცენტრალურ კავკაზიას ვახსენებთ როგორც ერთიან რეგიონს, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკური თუ კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო იგი არ არის ინტეგრირებული (Weisbrode, 2001, p. 13). ამასთან, ამ რეგიონში შემავალ ქვეყნებს ბევრი რამ აქვთ საერთო, რაც საინტერესოა სწორედ ერთიანი რეგიონის ფარგლებში მათი განხილვისათვის (Исмаилов и Эсенов, 2005; Музаффарли 2006).

როგორც ჩანს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ყველა ცენტრალურკავკაზიურ ქვეყანას პრაქტიკულად ერთნაირი სას-

ტარტო პირობები ჰქონდა – ეს არის, უზინარეს ყოვლისა, სახელმწიფოებრიობის მეტი წილი ინსტიტუტების არარსებობა, პოლიტიკური კულტურის საკმაოდ დაბალი დონე და კომუნისტური ტიპის ეკონომიკის არსებობა. სასტარტო პირობების ეს სამივე კომპონენტი არა მხოლოდ ურთიერთკავშირშია, არამედ ამ ქვეყნების რეფორმირების შესაძლებლობების ურთიერთგანმაპირობებელიცაა. მაგალითად, სახელმწიფოებრიობის მეტი წილი ინსტიტუტების არარსებობა, როგორც წესი, აბრკოლებს პოლიტიკური კულტურის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უშლის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას; სახელმწიფოებრიობის მეტი წილი ინსტიტუტების არარსებობა ამავე დროს ართულებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს (მაგალითად, Balcerowicz, 1995, p. 146; Papava, 1996, p. 252, 2005a, p. 13, 2005b, p. 78; Папава и Беридзе, 2005, сс. 68-69), რაც აისახება დემოკრატიული გარდაქმნების შენელებითაც, ეს კი, თავის მხრივ, საგრძნობლად აბრკოლებს საბაზრო რეფორმების გატარებას (მაგალითად, Greskovits, 1998; Пшеворский, 2000). ეს პრობლემები ამა თუ იმ დონით აისახა ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებში განხორციელებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყაზახეთის გამოკლებით, დანარჩენ ცენტრალურკავკაზიურ ქვეყნებში შეინიშნება პირუკუ დამოკიდებულება ნახშირწყალბადოვანი რესურსების ბუნებრივ სიმდიდრესა და საბაზრო გარდაქმნების ტემპებს შორის, როცა ასეთი რესურსების არსებობა სათანადო ეკონომიკურ სტიმულებს არ აძლევს საბაზრო რეფორმებს (Åslund, 2003). თანაც ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების ეკონომიკა მეტისმეტად პოლიტიზებულიცაა (Simons, 2008, p. 7).

ცენტრალური კავკაზია და, მით უმეტეს, დიდი ცენტრალური კავკაზია კონფლიქტური ქვერეგიონებით ხასიათდება (მაგალითად, Weisbrode, 2001; Лунев, 2006, сс. 15-16), რომლებიც ასე თუ ისე აბრკოლებს როგორც ცალკეული ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, ისე იმ პოტენციური შესაძლებლობების გამოყენებას, რომლებიც მოცემულ რეგიონს აქვს შესაბამისი მიმართულე-

ბით რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი მოქმედების შემთხვევაში. არანაკლებ აღსანიშნავია ის, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველა რეგიონალურ კონფლიქტში რუსეთი ჩაბმულია როგორც სამხედრო თვალსაზრისით, ისე პოლიტიკური თვალსაზრისითაც (Simons, 2008, p. 47).

ცენტრალური კავკაზის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება ის არის, რომ ეს რეგიონი მდიდარია ნახშირწყალბადოვანი რესურსებით (Gelb, 2008; Gelb and Twyman, 2004; Victor, Jaffe and Hayes, eds., 2006; Алиев, 2003), რაც მას განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის არა მარტო საინვესტიციო თვალსაზრისით (მაგალითად, Starr, 2003), არამედ ამ რეგიონის მიმართ მსოფლიო და რეგიონალური ლიდერი სახელმწიფოების მხრიდან პოლიტიკური ზეგავლენის დამყარების კონტექსტითაც, რაც სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამჟამად მიმდინარეობს ამ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკასთან ენერგეტიკული პოლიტიკის ინტეგრაცია (მაგალითად, Kalicki and Goldwyn, eds., 2005; Hill, 2004; Rakef, 2005; Sherman, 2000). ამასთან აღსანიშნავია, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების ენერგეტიკულ პოლიტიკაზე ჯერ კიდევ დიდ გავლენას ახდენს რუსეთის ფაქტორი (მაგალითად, Томберг, 2003), რაც, როგორც ჩანს, საბჭოთა ეპოქის ძნელად დასაძლევ მიემკვიდრეობაა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ცენტრალურ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას შეუძლიათ სრული მოცულობით აამოქმედონ ის პოტენციური შესაძლებლობანი, რომლებსაც მათი ურთიერთშეგებადობა შეიცავს. კერძოდ, ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის რესურსებზე დიდი მოთხოვნა დასავლეთის მხრიდან, ხოლო ცენტრალური კავკასია დაინტერესებულია არა მარტო საკუთარი ნავთობისა და გაზის რესურსების დასავლეთში ტრანსპორტირებით, არამედ აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელი ენერგეტიკული (და არა მხოლოდ) სატრანსპორტო დერეფნის ამოქმედებით (მაგალითად, Chase, 2002; Kalicki, 2001; Kalicki and Elkind, 2005; Makhmudov, 2002; Müller, 2000; Roberts, 2001; Starr and Cornell, 2005), რის შედეგადაც ცენტრალური კა-

ვკასია შეიძლება შეასრულოს შესაბამისი „ხიდის“ ფუნქცია, რომელიც გახსნის დასავლეთისათვის გეოპოლიტიკურად დახურულ ცენტრალურ აზიას (Эйвазов, 2004, с. 132).

მოცემულ კონტექსტში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ზბიგნევ ბუეზინსკის თანახმად, ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებს შორის აზერბაიჯანი ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ერთადერთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური ცენტრია (Бжезинский, 2005a, с. 56). „გეოპოლიტიკური ცენტრის“ (Бжезинский, 2005a, с. 55) სტატუსი კი განისაზღვრება სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობით და იმ შედეგებით, რომლებმაც შეიძლება პოტენციურად ზიანი მიაყენოს მას ისეთი „აქტიური გეოსტრატეგიული მოქმედი პირების“ (Бжезинский, 2005a, с. 54) მხრიდან მოქმედების შედეგად, როგორცაა სახელმწიფოები, რომლებსაც აქვთ რეალური უნარი და სახელმწიფოებრივი ნება, განახორციელონ ძალაუფლება და გაავრცელონ გავლენა საკუთარი საზღვრების მიღმა.

ახასიათებს რა აზერბაიჯანს, რომელიც უდიდესი ნახშირწყალბადოვანი რესურსების მქონე ქვეყანაა, როგორც კასპიის ზღვის და ცენტრალური აზიის სიმდიდრეთა შემცველი „ჭურჭლის საცობს“ („cork in the bottle“), ზბიგნევ ბუეზინსკი ხაზს უსვამს, რომ ცენტრალური აზიის სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას პრაქტიკულად განაპირობებს მოსკოვისაგან აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა (Бжезинский, 2005a, сс. 62, 155). შეერთებული შტატებისათვის აზერბაიჯანის გარდა ცენტრალურ კავკაზიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყაზახეთს, რაც ვლინდება ამერიკელთა განზრახვებითა და მოქმედებით, რომ მაქსიმალურად გაზარდონ ამ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციები (Уткин, 2000a, с. 105).

თუ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების სახელმწიფო ინტერესების ღერძად მივიჩნევთ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მოპოვებული სახელმწიფო დამოუკიდებლობის განმტკიცებასა და განვითარებას, ბუნებრივ აუცილებლობად უნდა ვაღიაროთ, რომ მათთვის მიუღებელია არა მარტო ევრაზიიზმი, არამედ

„პართლენდის“ თეორია, როგორც ამ ქვეყნების დაქვემდებარება, შესაბამისად რუსეთის ან დასავლეთის იმპერიული სქემებისადმი.

იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური კავკაზიის ამა თუ იმ სახელმწიფოს ხელმძღვანელობისათვის პირველ ადგილზე დგას საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნება, ხოლო სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება და განვითარება, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ ფასეულობებზე, როგორცაა საზოგადოების დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლებების დაცვა და საბაზრო ეკონომიკის განვითარება მეორეხარისხოვანი ამოცანებია, „დამხმარედ“ შეიძლება გამოჩნდეს ნებისმიერი თეორია (უფრო ზუსტად ფსევდოთეორია) ასეთი ზრახვების შესანიღბავად და გასამართლებლად.

იმავედროულად გულუბრყვილობა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ როგორც მსოფლიო, ისე რეგიონალური გავლენის მქონე სახელმწიფოები თავს დაანებებენ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებს, და ისინი შეძლებენ თავისუფალი რეჟიმით განვითარებას. სინამდვილეში სიტუაცია ბევრად უფრო რთულია, რის გამოც ამ ქვეყნებმა უნდა გააკეთონ არჩევანი იმის გათვალისწინებით, თუ ამა თუ იმ სახელმწიფოს რომელი მისწრაფებები და მოქმედება შეესაბამება ყველაზე მეტად მათ ეროვნულ ინტერესებს.

ევრაზიიზმზე, როგორც რუსეთის იმპერიის აღორძინების მკვეთრად გამოხატულ დოქტრინაზე რომ არაფერი ვთქვათ, ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებზე რუსეთის შედარებით ზომიერი შეხედულებაც კი არ გამორიცხავს იმის ერთგვარ „რბილ“ ვარიანტს, რომ რუსეთის ინტერესები თავს მოახვიონ რეგიონის თუნდაც ზოგიერთ ქვეყანას – იმის მიუხედავად, თუ რამდენად შეესაბამება ეს თავად ამ ქვეყნების ინტერესებს. ასე მაგალითად, რუსეთის ზოგიერთ წრეებში ცენტრალური კავკაზიიდან მხოლოდ საქართველო ითვლებოდა რუსეთისათვის საბოლოოდ დაკარგულად (Лунев, 2006, с. 26), ამასთან, აცხადებენ, რომ საქართველოსა და სომხეთს რუსეთისათვის მინიმალური ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ (Лунев, 2006, с. 26), თუმცა არც იმას ივინყებენ, რომ სომხეთი რუსეთის ობიექტური მოკავშირეა

(Лунев, 2006, с. 27). აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მიმართ რუსეთს ეკონომიკური ინტერესები აქვს ნახშირწყალბადოვანი რესურსების მოპოვებისა და ტრანსპორტირების სფეროში (Лунев, 2006, сс. 25, 26); ხოლო, რაც შეეხება ყაზახეთს და ყირგიზეთს, მათ რუსეთთან ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებასაც კი სთავაზობენ (Лунев, 2006, с. 25). ფაქტია, რომ ასეთ მიდგომას, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მიმართ მხარს არ უჭერენ რუსეთის პოლიტიკურ ელიტაში, რომლისთვისაც, რაც არაერთხელ აღინიშნა ზემოთ, ბევრად უფრო ახლოა ევრაზიზმის იდეები და მათი სხვადასხვაგვარი მოდიფიკაციები.

რაც შეეხება აშშ-ის პოლიტიკას ცენტრალურ კავკაზიაში, იგი ემყარება შემდეგ ობიექტურ ნაწინამძღვრებს (Бжезинский, 2005a, с. 178):

- შეერთებული შტატები იმდენად შორს არის ცენტრალური კავკაზიისგან, რომ ვერ შეძლებს ამ რეგიონში დომინირებას;
- შეერთებული შტატები საკმარისად ძლიერია საიმისოდ, რომ ჩათრეული არ აღმოჩნდეს ცენტრალურ კავკაზიაში მისთვის არასასურველ მოვლენებში.

აქედან გამომდინარე, შეერთებული შტატების უპირველეს ინტერესს წარმოადგენს იმ სიტუაციის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, როცა ვერც ერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს ცენტრალური კავკაზიის გაკონტროლებას, ხოლო მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის ეს რეგიონი შეუფერხებლად ხელმისაწვდომი იქნება ფინანსურ-ეკონომიკური თვალსაზრისით (Бжезинский, 2005a, с. 178).

2001 წლის 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ აშშ-ის ინტერესებშია, ხელი შეუწყოს ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების ისეთ განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ახალი ტერორისტული აქტების საფრთხის აცილებას და დაეხმარება ტერორიზმის წინააღმდეგ ომის წარმატებით დასრულებას (მაგალითად, Gati and Christiansen, 2003). შესაბამისად, რეგიონში აშშ-ის ინტერესები არ იფარგლება მხოლოდ ენერგეტიკის სფეროთი (მაგალითად, Jaffe, 2001). ამრიგად, აშშ-ის ამოცანაა, მხარი

დაუჭიროს რეგიონის ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს საბჭოთა ეკონომიკის ნიშნების დაძლევაში, საბაზრო ეკონომიკისა და კერძო სექტორის განვითარებაში, ეკონომიკური ზრდისათვის მტკიცე საფუძვლების შექმნაში, სამართლის უზენაესობის პრინციპის დამკვიდრებაში, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრაში, ენერგეტიკული რესურსების ათვისებით და საექსპორტო მაგისტრალების ფართო ქსელით სარგებლობის მიღების უზრუნველყოფაში (Mann, 2003). საქართველოში რუსეთის შეჭრის შემდეგ აშშ-ისათვის კიდევ უფრო აქტუალური გახდა რეგიონში დემოკრატიული პროცესების განვითარების მხარდაჭერის პრობლემა (Basora and Boone, 2008).

აქვე მნიშვნელოვანია დავძინოთ, რომ ზოგიერთი რუსი ექსპერტის შეფასების თანახმად, თუ მოსკოვისთვის დამახასიათებელია ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან რუსეთის ისტორიული, ფსიქოლოგიური და მტკიცე კავშირ-ურთიერთობის შესახებ მსჯელობა, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის პრინციპულად მიუღებელია ნებისმიერი თეორიები, რომლებიც განმსჭვალული იქნება ამ რესპუბლიკების „რბილი“ ან „შეზღუდული“ სუვერენიტეტის სულისკვეთებით (მაგალითად, Уткин, 2000a, с. 108). ამასთან, ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი კმაყოფილი უნდა იყოს, თუ უფრო წელგამართული მეზობლები ეყოლება, უფრო სტაბილური გარემოცვა ექნება (მაგალითად, Уткин, 2000a, с. 105).

არანაკლებ საყურადღებოა ცენტრალური აზიის ზოგიერთი ექსპერტის შეფასებებიც, რომელთა თანახმად რუსეთი რეგიონის ქვეყნების მიმართ ორიენტირებულია „უძრაობაზე“ და მოქმედ ხელისუფალთა უპირობო მხარდაჭერაზე, რის გამოც მოსკოვი კარგავს, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რაც უკვე დაკარგა, შესაძლო მოკავშირეებს ამ ქვეყნებში მოდერნიზაციისა და პოლიტიკური ცვლილებების საქმეში; ამავე დროს, ამერიკის პოლიტიკა რეგიონში დემოკრატიის გაფართოებისადმი ხელშეწყობას განასახიერებს (მაგალითად, Толипов, 2007b, с. 24).

ნათქვამიდან გამომდინარე, ცენტრალურ კავკასიაში ვაშინგტონის რეალური ინტერესები პრინციპულად გამორიცხავს –

ნებისმიერი ფორმით – რეგიონის ქვეყნების ინტეგრაციას მასთან, და უფრო მეტიც, მთლიანად შეესაბამება ამ რეგიონის ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს, რომლებიც ემყარება სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებასა და განვითარებას, საზოგადოების დემოკრატიზაციის გაღრმავებასა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებას.

ძალზე მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ სამეცნიერო მოხმარებისთვის „ცენტრალური კავკაზიის“ ცნების შემოღება ეს განსახილველი რეგიონის გეოგრაფიული იდენტიფიკაციის არა მხოლოდ დაზუსტებაა, არამედ რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების ინტერესების ისეთი კონცეპტუალური ხედვაცაა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ევრაზიიზმის სულისკვეთებას და იდეებს (Papava, 2009a, 2010a). ამასთან, ნებისმიერი მსჯელობა ევრაზიიზმის სულისკვეთებით ეგრეთ ნოდებულ „კავკაზიიზმზე“, როგორც ევრაზიიზმის შესაძლო თეორიულ ანტიპოდზე, საფუძველშივე მცდარია, უნინარეს ყოვლისა, ცენტრალური კავკაზიის პოლიტიკური ჰეტეროგენულობის გამო, როცა რეგიონის ყველა ქვეყანა ერთნაირად არ აღიქვამს როგორც თავად სახელმწიფო სუვერენიტეტის სტატუსს, ისე მისი მიღწევის გზებსაც. ამავე დროს სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება და განვითარება, აგრეთვე საზოგადოების დემოკრატიზაციის გაღრმავება და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრება ვერ იქნება მხოლოდ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნების პრეროგატივა.

ამრიგად, თუმცა აღიარებენ, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების მთავარი სტრატეგიული ინტერესებია დამოუკიდებლობა, დემოკრატია და ინტეგრაცია (Толипов, 2007б, с. 32), სულაც არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ ცენტრალური აზია დაბრუნდეს „ევრაზიაში“ (სადაც იყო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში) მას შემდეგ, რაც იგი შეძლებს მოახდინოს თავისი გეოპოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის რეალიზება (მაგალითად, Толипов, 2006, с. 20). თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ამ „ევრაზიაზე“, ევრაზიისტების თანახმად,

„პრეტენზია“ აქვს მოსკოვს, მოყვანილი მსჯელობა არ გამორიცხავს, თუნდაც შედარებით შორეულ პერსპექტივაში (ანუ ცენტრალური აზიის „გეოპოლიტიკური თვითიდენტიფიკაციის“ შემდეგ), ცენტრალური აზიის ქვეყნების ევრაზია-რუსეთში შესვლას. ამასთან, უინტერესო არ იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების ზოგიერთი ექსპერტისათვის სულაც არ არის უცხო საბჭოთა კავშირზე ნოსტალგიური მოგონებები და ნუხილის გამოთქმა მისი დაშლის გამო (მაგალითად, Ниязи, 2003წ, სს. 168-169; Толипов, 2007წ, სს. 19-20).

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარების პროდასავლური ვექტორი ბევრად უფრო შეესაბამება სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების, საზოგადოების დემოკრატიზაციის გაღრმავებისა და საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დამკვიდრების ზემოაღნიშნულ ინტერესებს, ვინაიდან ისინი ძირითადი საყოველთაოდ აღიარებული დასავლური ფასეულობებია.

თავი 3

„პართლანდის“ თეორია და ცენტრალური ევრაზიის თანამედროვე გეოპოლიტიკური სტრუქტურა

§3.1. პლანეტის „ღერქული რეგიონი“ მაკინდერის თეორიაში

XXI საუკუნის დამდეგს გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ ახალი იმპულსი მისცა მთელი ევრაზიის მატერიკის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცის რეგიონალური სტრუქტურის პრინციპების გამოკვლევას (მაგალითად, Cornell, 1999; Tsygankov, 2002; Бжежинский, 2005a; Дарабади, 2006; Дугин, 1997; Исмаилов, и Эсенов, 2005; Кловер, 1999; Ларюэль, 2000; Панарин, 1995). ამასთან დაკავშირებით კვლავ განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ჰალოფორდ მაკინდერის მიერ (XX საუკუნის დასაწყისში), შემდგომში კი მისი ოპონენტის, ნიკოლას სპაიკმენის მიერ წამოყენებული კონცეფციები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია მეტად ორიგინალური მიდგომები ევრაზიის მატერიკის რეგიონალური გეოპოლიტიკური სტრუქტურისა და მისი ცალკეული სივრცობრივი სეგმენტების ფუნქციური მნიშვნელობის განსაზღვრისადმი.

მაკინდერი, რომელიც მსოფლიო-ისტორიულ პროცესებს იმ შედარებით განცალკევებულ არეალებად მსოფლიოს თავდაპირველი დაყოფის შესახებ იდენს საფუძველზე განიხილავს, რომელთაგან თითოეულს ისტორიაში განსაკუთრებული ფუნქცია ეკისრება, ამტკიცებდა, რომ ევროპამ მასზე გარედან წნეხის წყალობით შექმნა თავისი ცივილიზაცია. ამავე მიზეზით ის ევროპასა და ევროპის ისტორიას აზიასთან და მის ისტორიასთან კავშირში განიხილავს. მისი აზრით, ევროპული ცივილიზაცია მნიშვნელოვანწილად აზიიდან თავდასხმების წინააღმდეგ მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგია (Маккиндер, 1995). მაკინდერი ვარაუდობდა, რომ ევროპის განვითარებას და ექსპანსიას განაპირობებდა საპასუხო რეაქციის აუცილებლობა იმ ზემოქმედებაზე, რომელსაც

ის აზიის ცენტრიდან განიცდიდა. მისი მტკიცებით, „მსოფლიო კუნძულის“ ფარგლებში, რომელიც მთელ ევრაზიის მატერიკს და ჩრდილოეთ აფრიკას მოიცავდა, ისტორიული მასშტაბის ყველა გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციის ღერძს წარმოადგენს მის მიერ გამოყოფილი შუა მდებარე მხარე – „ჰართლენდი“ (ევრაზიის კონტინენტური მასების თავმოყრის ადგილი). სწორედ „ჰართლენდი“ მიაჩნია მას იმ პერმანენტული იმპულსების წყაროდ, რომლებიც სტიმულს აძლევდა „მსოფლიო კუნძულზე“ გეოპოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების განვითარებას.

მაკინდერი ხაზს უსვამდა, რომ სახელმწიფოსთვის შუა მდებარეობაა სწორედ ყველაზე ხელსაყრელი გეოპოლიტიკური თვალსაზრისით. „ცენტრალურობის“ ცნების შედარებითობის გათვალისწინებით ის აღნიშნავდა, რომ გლობალური გეოპოლიტიკური პროცესების კონტექსტით მსოფლიოს ცენტრში სწორედ ევრაზიის მატერიკი მდებარეობს; ამ უკანასკნელის ცენტრში კი „ჰართლენდია“. ამგვარად, განსახილველი დოქტრინიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური სუბიექტი, რომელიც „ჰართლენდს“ დაიქვემდებარებს, ხელში ჩაიგდებს ისეთ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ პოტენციალს, რომელიც „მსოფლიო კუნძულის“ და, საბოლოო ანგარიშით, მთელი პლანეტის კონტროლის საშუალებას იძლევა.

მაკინდერის თანახმად, შუა მდებარე მხარეში სამხედრო-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების რეტროსპექციული ანალიზისას აშკარა ხდება მისი ობიექტური გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ერთიანობის ფაქტი (Mackinder, 1943). მკვლევარი ხაზს უსვამს ევრაზიის ვრცელი რეგიონის „ღერძულ“ ხასიათს, რომელიც, როგორც ის აღნიშნავს, თუმცა მიუდგომელია საზღვაო ზომალდებისათვის, მაგრამ ძველად მისანვდომი იყო მომთაბარეებისთვის. მას მიაჩნია, რომ სწორედ ევრაზიაში ჩნდება პერმანენტულად სამხედრო და სამრეწველო სახელმწიფოების განვითარების პერსპექტიული პირობები.

კონცენტრული წრეების სისტემით აგებდა რა გეოპოლიტიკურ სივრცეს, მაკინდერი პირობითად პლანეტის ცენტრში ათავსებდა „ღერძულ არეალს“, რომელიც მდინარეების (ვოლგის, ენისეის,

ამუდარიისა და სირდარიის) და ორი ზღვის (კასპიისა და არალის) აუზებს მოიცავს (Mackinder, 1943). აღნიშნული „ღერძული არეალი“ მიუწვდომელი იყო საზღვაო სახელმწიფოთა თავდასხმებისთვის და ამავე დროს შეეძლო გამოეკვება და დაეცვა მომთაბარე მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომელიც ამ ვეებერთელა სივრცეებზე ცხენებითა და აქლემებით გადაადგილდებოდა და სავსებით მზად იყო ევროპაზე თავდასხმებისათვის, მით უმეტეს, რომ პრაქტიკულად არავითარ წინააღმდეგობას არ აწყდებოდა (Мегоран, и Шарапова, 2005, с. 13).

ამგვარად, წინასწარვე განსაზღვრული იყო, რომ თავისი მდებარეობის გამო „ღერძული არეალი“ ძლიერების ბუნებრივი ცენტრი უნდა გამხდარიყო. აღნიშნული რეგიონის შემდეგ მაკინდერი გამოყოფს „შიგა ნახევარმთვარეს“ – სარტყელს, რომელიც ემთხვევა ევრაზიის სანაპირო სივრცეებს, მისი შეხედულებით, ცივილიზაციის ყველაზე ინტენსიური განვითარების ზონას, რომელშიც შედის ევროპა, სამხრეთი, სამხრეთ-დასავლეთი და აღმოსავლეთ აზია. შემდეგ ის განათავსებდა „გარე ნახევარმთვარეს“, რომელიც მოიცავს დიდ ბრიტანეთს, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკას, სამხრეთ აფრიკას, ავსტრალიასა და იაპონიას – „შიგა“ ევრაზიისადმი გეოგრაფიულად და კულტურულად უცხო ზონებს. ყველა მსოფლიო პროცესის ცენტრად კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, მაკინდერი მიიჩნევდა შუა მდებარე მხარეს – „პართლენდს“ – წარსულის დიდი მომთაბარე იმპერიების არეალს (Плетнева, 1982), თურქი ტომების ბინადრობის ტერიტორიას, რომელთა თავდასხმებმაც, მისი აზრით, ევროპის „შეკავშირებას“ მისცა ბიძგი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მაკინდერი საჭიროდ მიიჩნევდა პრევენციული ზომების მიღებას „ღერძულ არეალში“ სიტუაციაზე ზემოქმედებისათვის და მისდამი კონტროლის შენარჩუნებისათვის, მათ შორის „შიგა ნახევარმთვარის“ კონტროლის მეშვეობითაც. სწორედ მას, მიაჩნდა რა აღმოსავლეთ ევროპა შუა მდებარე მხარის კარიბჭედ, ეკუთვნის შემდეგი ცნობილი გამონათქვამი: „ვინც აღმოსავლეთ ევროპაში ბატონობს, ის მართავს შუამდებარე მხარესაც. ვინც შუა მდებარე მხარეში ბატონობს, ის მარ-

თავს „მსოფლიო კუნძულს“. ვინც „მსოფლიო კუნძულზე“ ბატონობს, ის მართავს მსოფლიოს“ (Mackinder, 1919, p. 113).

„ღერძული რეგიონის“ სივრცის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, რომელსაც ქვემოთ შევხებით, ამკარად იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ მისი სივრცობრივ-ფუნქციური პარამეტრები პერმანენტულად იცვლება. იმის მიუხედავად, რომ მოცემული არეალის ფარგლებში წარსულში მომხდარი პროცესები მაკინდერის მიერ აღნიშნულ აღმოსავლეთ ევროპისა და „ჰართლენდის“ სივრცეთა ფუნქციურ განუყოფელობას ადასტურებს, ჩვენი აზრით, შუა მდებარე მხარის არსი მაინც განისაზღვრება არა იმდენად „ჰართლენდზე“ კონტროლის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის იმპერატიულობით, რამდენადაც მათი სტრუქტურული ერთიანობით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ჰართლენდის“ ჩამოყალიბების ყველა სტადიაში, და განსაკუთრებით ახლა, ევროპის აღმოსავლეთი ნაწილი კვლავაც მისი სტრუქტურის ელემენტად რჩება, რომლის გეოპოლიტიკური მთლიანობა წარმოადგენს სწორედ ევრაზიის მატერიკის მასშტაბით „ღერძული რეგიონის“ ფუნქციური ქმედუნიანობისათვის საჭირო პირობას.


„ჰართლენდში“ აღმოსავლეთ ევროპის სტრუქტურული ჩართულობის შესახებ თეზისი შეიძლება თავად მაკინდერის თეორიითაც დავასაბუთოთ, თუ მის უფრო გვიანდელ ნაშრომებს მივმართავთ (Mackinder, 1943). შეგახსენებთ, რომ დროის მოკლე შუალედის განმავლობაში ის ორჯერ დაუბრუნდა თავის თეორიას, თანაც ახდენდა მის ადაპტაციას ცვალებად გეოპოლიტიკურ სიტუაციასთან. კერძოდ, მან შეცვალა „ღერძული რეგიონის“ სივრცეც (იხ. სურ. 1). მაგალითად, „ჰართლენდში“ შეიყვანა შავი და ბალტიის ზღვების აუზები, ანუ აღმოსავლეთ ევროპა¹. ამიტომ მაკინდერის ფორმულა ამგვარად უნდა წარმოვადგინოთ: „ვინც ბატონობს

¹ აღმოსავლეთ ევროპის შემადგენლობაში მაკინდერმა შეიყვანა აღმოსავლეთ ევროპის იმ ცალკეულ სახელმწიფოთა ტერიტორიები, რომლებიც ოსმანთა იმპერიის (სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო წარმონაქმნები – ბულგარეთის სამეფო, უნგრეთის სამეფო, რუმინეთის სამთავრო, ჩერნოგორიის სამთავრო, სერბიის სამეფო, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია) და რუსეთის იმპერიის (წრდილო-აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფო წარმონაქმნები – პოლონეთის სამეფო, ფინეთის დიდი სამთავრო, ცენტრალური (უკრაინის) რადა, ბელარუსიის რადა და ბესარაბიის, ლაფლანდიის, კურლანდიის, ესტლანდიის გუბერნიები) შემადგენლობაში იყვნენ.

შუამდებარე მხარეში, ის მართავს „მსოფლიო კუნძულს“, ვინც მმართველობს „მსოფლიო კუნძულზე“, ის მართავს მსოფლიოს“.

სურათი 1

მაკინდერის „ღერძული რეგიონი“
1904 და 1919 წლებში



- მაკინდერის 1904 წლის „ღერძი“
- - - - - მაკინდერის 1919 წლის „საბრძოლველი“ მსხმი
ჩართული შავი და ბალტიის ზღვების აუზებით

რუკა მოცემულია (Меропан, и Шарапова, 2005, с. 9) მიხედვით.

XX საუკუნის შუა წლებში ამან, ალბათ, ყველაზე მკაფიო პრაქტიკული დადასტურება პოვა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთის მიმართულებით საბჭოთა კავშირის ბატონობის ზონის გაფართოება და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსა და ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა აღმოსავლეთ ევროპასთან კლასიკური „ჰართლენდის“ არეალის შერწყმას წარმოადგენდა. ამასთან, 1980-იანი წლების დამლევს – 1990-იანი წლების დამდეგს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციისა და თავად საბჭოთა კავშირის დაშლას, აგრეთვე „მსოფლიო კუნძულის“ ფარგლებში ახალ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პირობებს „ჰართლენდისაგან“ ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის მექანიკური

ფუნქციური გამიჯვნა არ გამოუნვევია. უფრო მეტიც, XX საუკუნის დამლევს გეოპოლიტიკური ტრანსფორმაციების შედეგად ხდება რუსეთის, როგორც ევრაზიის გეოპოლიტიკური სუბიექტის, განკერძოება მატერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში და „ღერძული რეგიონის“ სივრცის შევიწროება მის ცენტრალურ ნაწილში, ანუ ამ უკანასკნელის სამ შედარებით დამოუკიდებელ რეგიონალურ სეგმენტში – ცენტრალურ ევროპაში (აღმოსავლეთ ევროპაში, მაკინდერის თეორიის მიხედვით), ცენტრალურ კავკასიაში და ცენტრალურ აზიაში. უფრო ზუსტად, მოხდა „ჰართლენდის“ ძირითადი, შედარებით სახეშეცვლილი ფუნქციების კონცენტრაცია სისტემის წარმომქმნელი სეგმენტების ახალ სივრცობრივ პარამეტრებში, სადაც მათი ინტეგრაციის და ერთიანად აღორძინების მორიგი ციკლი დაიწყო¹.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის დასაწყისში (პირველი მსოფლიო ომის პერიოდში), ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საბჭოთა იმპერიის ევროპის აღმოსავლეთ ნაწილში (ევროპის ურთიერთაღმარების საბჭო) დომინირების საფუძველზე გეოპოლიტიკურად მიზანშეწონილი იყო მის დასავლეთ (ოსმალეთის და რუსეთის/საბჭოთა იმპერიებს დაუქვემდებარებელი ევროპის ქვეყნები) და აღმოსავლეთ (ოსმალეთის და რუსეთის/საბჭოთა იმპერიებს მთლიანად დაქვემდებარებული ევროპის ქვეყნები) ნაწილებად დაყოფა. მაგრამ ამ იმპერიების დაშლის და ევროპის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში რუსეთის განკერძოების შემდეგ ევროპის გათავისუფლებული პოლიტიკური სივრცე (ყოფილი ევროპის ურთიერთაღმარების საბჭოსა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სახელმწიფოები) გეოპოლიტიკურად უკვე ვეღარ იქნება კლასიფიცირებული როგორც აღმოსავლეთ ევროპა, თავად რუსეთის ევროპული ნაწილის ტერიტორიის გარდა. ევრაზიის ბოლო გეოპოლიტიკური სუბიექტის – რუსეთის ფედერაციის და ევრაზიის მატერიკის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მისი დომინირების

¹ „ჰართლენდის“ თანამედროვე სივრცის შესახებ დისკუსია დღესაც გრძელდება. მაგალითად, ზოგიერთი ავტორი მას ცენტრალური აზიის სივრცემდე „ავიწროებს“ (например, Ahrari, 2003; Sloan, 1999).

სფეროს განკერძოებას გარკვეული შედეგები მოჰყვა. ჯერ ერთი, ამან გამოიწვია „ლერძული რეგიონის“ გადაადგილება მატერიკის ჩრდილოეთიდან მისი ცენტრისკენ. და მეორე, ცნებითი თვალსაზრისით ეს მოითხოვდა ბოლო იმპერიის (სსრკ) მიერ კონტროლირებადი ევროპის პოლიტიკური სივრცის ნაწილის, როგორც „ცენტრალური ევროპის“, გადახედვას და შემდგომში მის უკვე თანამედროვე „ლერძული რეგიონის“ – ცენტრალური ევრაზიის ზონაში სავალდებულო შეყვანას, მაშინ როცა რუსეთი, რომელიც სივრცობრივად აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აზიაში დარჩა, „მსოფლიო კუნძულის“ გეოპოლიტიკური სტრუქტურის გათვალისწინებით ახლა კლასიფიცირებული უნდა იყოს როგორც „ჩრდილოეთ ევრაზიის სახელმწიფო“. შესაბამისად, თანამედროვე თურქეთიც უნდა განისაზღვროს როგორც „სამხრეთ ევრაზიის სახელმწიფო“.

მაკინდერის გარდა, მსოფლიო ისტორიაში ევრაზიის მატერიკის შუა ნაწილის როლს მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო სპაიკმენმა (Spykman, 1942, 1944). მაკინდერის შრომებზე დაყრდნობით მან წამოაყენა საბაზო გეოპოლიტიკური სქემის თავისი ვარიანტი, რომელიც არსებითად განსხვავდება მისი ოპონენტის მოდელისაგან. სპაიკმენის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მაკინდერი გადაჭარბებით აფასებს „ჰართლენდის“ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. სპაიკმენის თანახმად, „შიგა ნახევარმთვარის“ – „რიმლენდის“ – „სანაპირო ზონების“ გეოპოლიტიკური ისტორიის დინამიკა განპირობებული იყო განვითარების შინაგანი კანონზომიერებებით და არა „ხმელეთის მომთაბარეთა“ ზემოქმედებით, როგორც ეს მაკინდერს მიაჩნდა. „ჰართლენდი“, ხაზს უსვამს სპაიკმენი, მხოლოდ გეოგრაფიული სივრცეა, რომელიც „რიმლენდიდან“ მომდინარე კულტურულ-ცივილიზაციური იმპულსების ზემოქმედებას განიცდის. მისი აზრით, მაკინდერის „ლერძული არეალი“ არანაირ დამოუკიდებელ ისტორიულ როლს არ ასრულებს. სპაიკმენის თანახმად, სწორედ „რიმლენდი“ წარმოადგენს მსოფლიო ბატონობის გასაღებს, ამიტომაც მაკინდერის გეოპოლიტიკური ფორმულის სანაცვლოდ მან თავისი ფორმულა

ნამოყენა: „ის, ვინც „რიმლენდში“ დომინირებს, ევრაზიაში გაბატონდება; ვინც ევრაზიაში დომინირებს, მსოფლიოს ბედს განაგებს“.

როგორც ჩანს, წარმოდგენილ გეოპოლიტიკურ კონცეფციებში მსოფლიოს სივრცობრივ-ფუნქციური სტრუქტურა მაკინდერთანაც („პართლენდი“-ევრაზია-პლანეტა) და სპაიკმენტანაც („რიმლენდი“-ევრაზია-პლანეტა) სამ ძირითად დონეს მოიცავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ პირველი ხაზს უსვამს „მსოფლიო კუნძულის“ გეოპოლიტიკურ სივრცეში „პართლენდის“ სანყის და განმსაზღვრელ როლს, ხოლო მეორე „რიმლენდისას“.

„პართლენდისა“ და „რიმლენდის“ სახელმწიფო წარმონაქმნები სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ევრაზიის გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში ან ობიექტის, ან სუბიექტის ფუნქციებს ასრულებდნენ. ანალოგიურად იცვლებოდა გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში ამ სივრცეთა ფუნქციური მნიშვნელობაც. ამასთან დაკავშირებით მეტად ძნელია და, მთლიანობაში, თანამედროვე სამყაროს თავისებურებათა გათვალისწინებით, არც ისე სწორია ერთმნიშვნელოვანი დასკვნის გამოტანა: რომელია პირველადი/მნიშვნელოვანი – მაკინდერის „პართლენდი“ თუ სპაიკმენტის „რიმლენდი“. ჩვენი აზრით, ორივე თეორიის ერთ-ერთი მთავარი ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი შემოთავაზებული იყო არა მხოლოდ და არა იმდენად როგორც მოდელები, რომლებიც ხსნის გლობალური გეოპოლიტიკური პროცესების კანონზომიერებას, რამდენადაც დასავლეთის სახელმწიფოების (დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების) სტრატეგიული ინტერესების რეალიზაციის კონცეფციები. სწორედ აქედან გამომდინარეობს მაკინდერისა და სპაიკმენტისათვის დამახასიათებელი ცალმხრივობა, კერძოდ, აღნიშნული საკითხისადმი მიდგომაში: გლობალურ პოლიტიკაში რომელია პირველადი/მნიშვნელოვანი – „პართლენდი“ თუ „რიმლენდი“? არგუმენტაციის ლოგიკა, რომელსაც თითოეული ეს ავტორი მიმართავს, სავსებით ადასტურებს აღნიშნულს. ამიტომაც ჩვენი კვლევის მიზანი მდგომარეობს არა იმაში, რომ სიტყვა-სიტყვით ან მექანიკურად

ჩამოვყალიბოთ მაკინდერისა თუ სპაიკმენის თეორიები ევრაზიის მატერიკზე და მთელ მსოფლიოში „პართლენდისა“ თუ „რიმლენდის“ ადგილისა და როლის შესახებ, არამედ იმაში, რომ მათ მიერ კონსტრუირებული მიდგომები გამოვიყენოთ XXI საუკუნეში მომავალი მსოფლიო მონყობის შესაძლო სცენარებში „ლერძული რეგიონის“ გეოპოლიტიკური ხედვისათვის.


ამრიგად, „ლერძული რეგიონის“ ახლანდელი მდგომარეობის უფრო სიღრმისეული გაგებისათვის უნდა მოვახდინოთ მისი ახლებურად „ნაკითხვა“ და მეცნიერული გააზრება, ანუ საჭიროა:

- ვერ ერთი, გავანალიზოთ „ლერძული რეგიონის“ სივრცის ისტორიული ევოლუცია, ანუ მისი გეოპოლიტიკური სტრუქტურის ჩამოყალიბების კანონზომიერებანი და ეტაპები;
- მეორე, განვსაზღვროთ თანამედროვე პირობებში „ლერძული რეგიონის“ ძირითადი თვისებები, ფუნქციები, ჩამოყალიბებისა და მოქმედების პრინციპები, აგრეთვე პარამეტრები და სტრუქტურა.

§3.2. „ლერძული რეგიონის“ – ცენტრალური ევრაზიის ისტორიული ევოლუცია

„პართლენდის“ ერთიან და მთლიან რეგიონად ჩამოყალიბების ისტორია ქრონოლოგიური თვალსაზრისით ჰუნების იმპერიით იწყება, რომელსაც შემდგომში ცვლიან მოქმედი გეოპოლიტიკური მოთამაშეები: თურქთა და ხაზართა სახაკანოები, არაბთა სახალიფო, სელჩუკთა, მონღოლთა იმპერიები, თემურის იმპერია, ოსმანთა, სეფიანთა, აგრეთვე რუსეთისა და საბჭოთა იმპერიები (იხ. სურ. 2).

ღერძული რეგიონის ევოლუცია



სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში „ღერძული რეგიონი“ ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა აღნიშნული იმპერიული სისტემების ფარგლებში, რომელთა დაშლის შემდეგ, როგორც წესი, დროში მყარი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები წარმოიქმნებოდა. შევჩერდეთ იმ იმპერიული სისტემების საერთო სივრცობრივ-პოლიტიკურ პარამეტრებზე, რომელთა ფარგლებშიც „ღერძული რეგიონის“ ისტორიული ევოლუცია მიმდინარეობდა (იხ. ცხრ. 1)

1. *კუნების იმპერია* (IV-V სს.) (Бернштам, 1951; Гумилёв, 1960) – ეკავა ტერიტორია კავკასიიდან რაინამდე და დუნაის მარჯვენა სანაპიროდან დანიის კუნძულებამდე. V საუკუნის შუა წლებში დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური ევროპა (V ს-ის მეორე ნახ. – V ს-ის დასნ.) – ბალკანეთის, ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთის დინასტიების სამფლობელოები;

- ჩრდილოეთ კავკასია (V ს-ის მეორე ნახ. – V ს-ის დასნ.) – ადგილობრივი დინასტიების სამფლობელოები.

„პართლანდის“ თაორია და ცენტრალური ვერაზიის თანამედროვე გეოკოლიტიკური სტრუქტურა

ტერიტორია

იმპერიების სფეროები	„პართლანდის“ ტერიტორია სხვადასხვა იმპერიების შემადგენლობაში										(იგნეხადა) - იდასაფაბს „ეიამენსაფაბს“	
	მათ შორის სფეროების ფართობი იმპერიის დაშლის შემდეგ					მათ შორის სფეროების ფართობი იმპერიის დაშლის შემდეგ						
	იმპერიის სფეროების ფართობი		საერთო		პართლანდის		კავკასიური		აზიური			
იმპერიების სფეროების ფართობი	ათასი კმ.კმ	%	ათასი კმ.კმ	%	ათასი კმ.კმ	%	ათასი კმ.კმ	%	ათასი კმ.კმ	%	ათასი კმ.კმ	%
საუკუნეები IV-V	3,237	100	-	3,237	100	2,882	89	355	11	4,796	84	-
საუკუნეები VI-VIII	5,701	100	-	5,701	100	550	10	355	6	4,796	84	-
საუკუნეები IX-X	791	100	-	791	100	436	55	355	45	-	-	-
საუკუნეები XI-XIII	13,848	100	19	1,917	14	-	-	187	1	1,730	13	9,325
საუკუნეები XIV-XV	2,150	100	5	2,171	57	-	-	993	26	1,178	31	1,430
საუკუნეები XVI-XVII	3,801	100	5	2,171	57	-	-	993	26	1,178	31	1,430
საუკუნეები XVIII-XIX	22,484	100	7	14,144	63	2,145	10	653	3	11,346	50	6,775
საუკუნეები XX	244	100	4	4,248	72	-	-	298	5	3,950	67	1,437
საუკუნეები XXI	447	100	9	1,114	14	1,079	13	35	1	-	-	6,289
საუკუნეები XXII	779	100	9	1,114	14	1,079	13	35	1	-	-	6,289
საუკუნეები XXIII	779	100	11	335	17	-	-	35	2	300	15	1,437
საუკუნეები XXIV	2,000	100	228	11	335	17	-	35	2	300	15	1,437
საუკუნეები XXV	22,430	100	73	6,073	27	1,480	6	599	3	3,994	18	-
საუკუნეები XXVI	22,402	100	77	5,202	23	1,021	4	187	1	3,994	18	-
საუკუნეები XXVII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXVIII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXIX	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXX	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXI	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXIII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXIV	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXV	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXVI	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXVII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXVIII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XXXIX	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XL	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLI	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLIII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLIV	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLV	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLVI	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLVII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLVIII	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები XLIX	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441
საუკუნეები L	17,200	100	65	8,693	33	2,295	9	187	1	6,211	23	441

2. თურქთა სახაკანო (VI-VIII სს.) (Гумилёв, 1967) – ეკავა ცენტრალური სარტყელი მანჯურიიდან შავიზღვისპირეთის სტეპებამდე და ყირიმამდე. VI საუკუნის მეორე ნახევარში დაიშალა „ჰართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური ევროპა (VI ს-ის მეორე ნახ. – VIII ს-ის პირველი ნახ.) – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დინასტიების სამფლობელოები;

- ჩრდილოეთ კავკასია (VI ს-ის მეორე ნახ. – VIII ს-ის პირველი ნახ.) – ადგილობრივი დინასტიების სამფლობელოები;

- ცენტრალური აზია (VI ს-ის მეორე ნახ. – VIII ს.);

- აღმოსავლეთ თურქთა სახაკანო (609 წ.), რომელსაც ეკავა ტერიტორია სირდარიიდან აღმოსავლეთით მანჯურიაამდე. 745 წელს აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოს დაშლის შემდეგ მის ბაზაზე წარმოიქმნა უილურთა სახაკანო – (თანამედროვე ჩინეთის სინძიან-უილურის ავტონომიური რაიონი);

- დასავლეთ თურქთა სახაკანო (603 წ.), რომელსაც ეკავა ტერიტორია სირდარიიდან დასავლეთით კასპიის ზღვამდე, აგრეთვე ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კასპიისპირეთის სტეპები. 659 წელს დასავლეთ თურქთა სახაკანოს დაშლის შემდეგ მის ბაზაზე წარმოიქმნა ხაზართა სახაკანო.

3. ხაზართა სახაკანო (VII ს-ის შუა-X ს-ის შუა წწ.) (Артамонов, 1962) – მოიცავდა მთელ ჩრდილოეთ კავკასიას, აზოვისპირეთს, აღმოსავლეთ ევროპის სტეპებსა და ტყეებს დნეპრამდე, აგრეთვე ბიზანტიისათვის წართმეულ ყირიმის მნიშვნელოვან ნაწილს. VII საუკუნის მეორე ნახევრიდან X საუკუნემდე პერიოდში დაიშალა „ჰართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური ევროპა (VIII ს-ის მეორე ნახ. – IX ს-ის დასას.) – ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის დინასტიების სამფლობელოები;

- ჩრდილოეთ კავკასია (VIII ს-ის მეორე ნახ. – IX ს-ის დასას.) – ადგილობრივი დინასტიების სამფლობელოები.

ამგვარად, ცენტრალურ აზიაში წარმოიქმნილმა თურქი ტომების კავშირებმა ოთხი საუკუნის განმავლობაში სამი ძლიერი სახ-

ელმნიფო (ჰუნების იმპერია, თურქთა და ხაზართა სახაკანოები) შექმნეს, რომლებმაც პირველად ჩაუყარეს საძირკველი „ღერძულ რეგიონს“ და ესწრაფოდნენ მის მაქსიმალურად გაფართოებას¹. თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს და სამივე იმპერია დაიშალა. ამასთან, ამ სატიტულო ეთნოსებმა მის ვერც ერთ სეგმენტში დამკვიდრება და თავიანთი სახელმწიფოს შექმნა ვერ შეძლეს. შედეგად ისინი ისტორიამ „შთანთქა“.

4. არაბთა სახალიფო (VII ს-ის პირველი ნახ. – XIII ს.) (Беляев, 1966)² – ეკავა ტერიტორია ატლანტიკის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე და კავკასიიდან და ცენტრალური აზიიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე. VIII საუკუნის შუა წლებიდან XIII საუკუნის შუა წლებამდე პერიოდში სახალიფო დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური კავკასია (X ს-ის შუა წწ. – XII ს.) – კახეთის სამთავრო (VIII ს-ის დამლევვი), ჰერეთის სამთავრო (VIII ს-ის დამლევვი), ტაო-კლარჯეთის სამთავრო (IX ს-ის დასაწ.), აფხაზეთის სამთავრო (IX ს-ის დასაწ.), თბილისის საამირო (ჯაფარიდების დინასტია – IX ს-ის დასაწ.) – (თანამედროვე საქართველო), განჯის საამირო (შადადიდების დინასტია – 971 წ.) და შირვანის სახელმწიფო (861 წ.) – (თანამედროვე აზერბაიჯანი);

- ჩრდილოეთ კავკასია (X ს-ის შუა წწ.) – დარუბანდის საამირო (ჰაშიმიდების დინასტია – X ს-ის შუა წწ.) – (თანამედროვე რუსეთის სამხრეთი ნაწილი);

- სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია (IX ს-ის II ნახ. – X ს.) – საჯიდთა (879 წ.), სალარიდთა (941 წ.), რავადიდთა (979 წ.) სახელმწიფოები – (თანამედროვე ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი);

¹ ჰუნები და ხაზარები ბატონობდნენ ევროპისა და კავკასიის სეგმენტებზე, ხოლო თურქი ხაკანები ძირითადად აზიის, კავკასიისა და ნაწილობრივ ევროპის სეგმენტებზე.

² X საუკუნის I ნახევარში არაბთა სახალიფო დაიშალა კორდოვის (ომეიადების) სახალიფოდ (929-1031 წწ.), ფათიმიდთა სახალიფოდ (909-1171 წწ.) და აბასიდთა სახალიფოდ (750-945 წწ.), რომლის დაშლის შემდეგაც წარმოიქმნა ბაღდადის სახალიფო, რომლის მმართველებსაც მხოლოდ რელიგიური ძალაუფლება ჰქონდათ. პულაგუ-ყაენის მეთაურობით მონღოლთა ჯარების მიერ ბაღდადის აღების (1258 წ.) შემდეგ სახალიფომ არსებობა შეწყვიტა.

- ცენტრალური აზია (IX ს-ის II ნახ.) – სამანიდთა სახელმწიფო (875 წ.) – (თანამედროვე უზბეკეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და ავღანეთი);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- დასავლეთ ევროპა (VIII ს-ის შუა წწ. – X ს-ის I ნახ.) – კორდოვის საამირო (756 წ.), კორდოვის სახალიფო (929 წ.) – (თანამედროვე ესპანეთი, პორტუგალია);

- დასავლეთ აზია (IX ს-ის I ნახ. – X ს-ის I ნახ.) – ტაპირიდების (821 წ.), საფარიდების (861 წ.), ალიდების (864 წ.), ბუიდების (935 წ.) სახელმწიფოები – (თანამედროვე ირანი);

- ჩრდილოეთ აფრიკა (VIII ს-ის II ნახ. – X ს.) – ფატიმიდთა სახალიფო (909 წ.), რომლის შემადგენლობაშიც შევიდა რუსტამიდების (776 წ.), იდრისიდების (788 წ.), ალაბიდების (800 წ.), ტულუნიდების (868 წ.), იხშიდების (935 წ.) სახელმწიფოები – (თანამედროვე ალჟირი, მაროკო, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე).

გეოპოლიტიკურად „რიმლენდიდან“ გამოყოფილ სუბიექტს წარმოადგენს დასავლეთ აზიის (Xს-ის შუა წწ.) – ბალდადის სახალიფო (945-1258 წწ.), სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი* – არაბები. რვა საუკუნის განმავლობაში ის თანამედროვე საუდის არაბეთად ჩამოყალიბდა.

5. სელჩუკთა იმპერია (XI ს-ის I ნახ. – XII ს-ის I ნახ.) (Агаджанов, 1991; Гордлевский, 1960; Райс, 2004) – მოიცავდა ტერიტორიას ცენტრალური აზიიდან მცირე აზიის ჩათვლით და კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე. XI საუკუნის შუა წლებიდან XII საუკუნის I ნახევრამდე პერიოდში ის დაიშალა „ჰართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური კავკასია (XII ს.) – აზერბაიჯანის ილდეღიზიდების ათაბეგების სასულთნო¹ (1136 წ.) – (თანამედროვე აზერბაიჯანის, ერაყისა და ირანის ნაწილები); შირვანის სახელმწიფო – (თანამედროვე აზერბაიჯანი), საქართველოს სამეფო – (თანამედროვე საქართველო);

¹ 1136 წელს ერაყის სასულთნო ილდეღიზიდ ათაბეგთა აზერბაიჯანის სასულთნოდ გარდაიქმნა (Буниятов, 1999).

- ცენტრალური აზია (X ს-ის დასასრ. – XII ს-ის I ნახევარი) – ხორეზმშაჰების სახელმწიფო (1127 წ.) – (თანამედროვე უზბეკეთი);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- დასავლეთ აზია (XI ს.) – ქირმანის სასულთნო (1041 წ.), ისმაილიტა სახელმწიფო (1090 წ.) – (თანამედროვე ირანი); ერაყის სასულთნო (1118 წ.) – (თანამედროვე ერაყი);

- მცირე აზია (XI ს-ის II ნახ.) – დანიშმენდების საამირო (1071 წ.), კონიის სასულთნო (1077 წ.) – (თანამედროვე თურქეთის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილები).

გეოპოლიტიკურად „პართლენდიდან“ გამოყოფილ სუბიექტს წარმოადგენს ცენტრალური აზიის (XII ს.) – დიდ სელჩუკთა სასულთნო (1118-1157 წწ.) ხორასანში – სელჩუკიდთა დიდი სულთნების დომენი, სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი – თურქმენები*, რომლებმაც გაერთიანება და გეოპოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბება ვერ შეძლეს. რვა საუკუნის განმავლობაში ის თანამედროვე თურქმენეთად გარდაიქმნა.

6. *მონღოლთა იმპერია* (XIII-XIV სს.) (Филипс, 2003) – გადაჭიმული იყო ჩინეთიდან მცირე აზიამდე და ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთისა და კასპიისპირეთის სტეპებიდან სპარსეთის ყურემდე. XIII საუკუნის I ნახევარში ჩინგის ყაენმა თავისი იმპერია ოთხ ულუსად დაყო (1224 წ.), რომლებსაც სათავეში ედგნენ მისი შვილები: ჯუჩი, ჩალათა, უგედე და თოლუი. 1256 წელს ჩინგის ყაენის შვილიშვილმა ჰულაგუმ, დაიპყრო რა ირანი და ერაყი, მეზუთე ულუსი შექმნა (Али-заде, 1956; Пигулевская, Якубовский, Петрушевский, Строева и Беленицкий, 1958). ეს ულუსები XIV-XV საუკუნეებში დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- აღმოსავლეთ ევროპა (XV ს.) – მოსკოვის დიდი სამთავრო – (ოქროს ურდოს დასავლეთი ნაწილი (ჯუჩის ულუსი) – (თანამედროვე რუსეთის ევროპული ნაწილი);

- ჩრდილოეთ კავკასია (XIII-XIV სს.) – ავარიის სანუცალო, დარუბანდის სამფლობელო (XIV ს-ის შუა წწ.), ნოღაის ურდო

(XIV ს-ის დამლევი) – (ოქროს ურდოს სამხრეთი ნაწილი (ჯუჩის ულუსი) – (თანამედროვე რუსეთის სამხრეთი ნაწილი);

- ცენტრალური კავკასია (XIV ს-ის პირველი ნახ.) – საქართველოს სამეფო, შირვანის სახელმწიფო – (ჰულაგუს ულუსის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი) – (თანამედროვე საქართველო და აზერბაიჯანი);

- ცენტრალური აზია (XIV ს.):

- თეთრი ურდო (XIV ს.) – (ოქროს ურდოს აღმოსავლეთი ნაწილი (ჯუჩის ულუსი) – (თანამედროვე ყაზახეთი);

- მონღოლთა სახანო (1347 წ.) – (ჩალათას ულუსი – თანამედროვე უზბეკეთი, თურქმენეთი);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- დასავლეთ აზიის (XIV ს-ის I ნახ.) – ჯალაირიდების (1336 წ.), სერბეदारების (1337 წ.), მოზაფერიდების (1340 წ.), სეიდების (1350 წ.) სახელმწიფოები – (ჰულაგუს ულუსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი) – (თანამედროვე ირანი);

- აღმოსავლეთ აზია (XIV ს-ის II ნახ.) – მინის იმპერია (1368 წ.) – (თოლუის ულუსის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) – (თანამედროვე ჩინეთი).

გეოპოლიტიკურად „პართლენდიდან“ გამოყოფილ სუბიექტს წარმოადგენს ცენტრალური აზიის (XV ს-ის დასაწყისი) – ოირათთა სახანო (1318-1455 წწ.) – (თოლუის ულუსის ჩრდილოეთი ნაწილი – დიდი ყაენების დომენი, სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი – მონღოლები*, რომლებმაც გაერთიანება და გეოპოლიტიკურ სუბიექტად ჩამოყალიბება ვერ შეძლეს). ექვსი საუკუნის განმავლობაში ის თანამედროვე მონღოლეთად გარდაიქმნა.

7. **თემურის იმპერია** (XIV ს-ის II ნახ. – XV ს-ის I ნახ.) (Мушинов, 1968; Py, 2007) – მოიცავდა ტერიტორიას ცენტრალური აზიიდან მცირე აზიამდე და კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე: მავერანაჰრს, ხორეზმს, ხორასანს, ცენტრალურ კავკასიას, ირანს, ფენჯაბს. XV საუკუნის დასაწყისში დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური კავკასია (XV ს-ის დასაწ.) – შირვანის სახელმწიფო – (ჩრდილოეთ აზერბაიჯანი) და საქართველოს სამეფო – (თანამედროვე საქართველო);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- დასავლეთ აზია (XV ს-ის დასაწ.) – ყარა-ყოიუნლუს სახელმწიფო (1410 წ.) – (თანამედროვე ირანი).

„პართლენდიდან“ გამოყოფილ გეოპოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს ცენტრალური აზიის (XV ს-ის დასაწ.) – შერათის (1409-1447 წწ.) და სამარყანდის (1409-1449 წწ.) საამიროები, სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი* – უზბეკები, რომლებმაც გაერთიანება და გეოპოლიტიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბება ვერ შეძლეს. ხუთი საუკუნის განმავლობაში ის თანამედროვე უზბეკეთად გარდაიქმნა.

8. *ოსმანთა იმპერია* (XV ს-ის შუა წწ.) (Ихсаноглу, ред., 2006) – მოიცავდა ტერიტორიას კავკასიიდან ბალკანეთამდე და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთიდან ჩრდილოეთ აფრიკამდე (Ихсаноглу, ред., 2006, сс. 22-23). XVII საუკუნის დამლევადან XX საუკუნის დამდეგამდე პერიოდში ის დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური ევროპა (XVII ს-ის დასაწ. – XX საუკუნის დასაწ.) – ალბანეთის სამთავრო, ბულგარეთის სამთავრო, უნგრეთის სამეფო, საბერძნეთის სამეფო, ბოსნია-ჰერცეგოვინა, მაკედონია – (თანამედროვე ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, მოლდოვა, ჩერნოგორია, სერბეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მაკედონია, აგრეთვე უკრაინის სამხრეთი);

- ცენტრალური კავკასია (XIX ს-ის I ნახ.) – იმერეთის სამეფო (1804 წ.); სამეგრელოს (1803 წ.), აფხაზეთის (1810 წ.), გურიის (1811 წ.), სვანეთის (1833 წ.) სამთავროები – (თანამედროვე საქართველო);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- ჩრდილოეთ აფრიკა (XVIII ს-ის დასაწ. – XIX ს-ის II ნახ.) – ალჟირის (1711 წ.), ლიბიის (1711 წ.), ეგვიპტის (1805 წ.),

ტუნისის (1881 წ.) საფაშოები – (თანამედროვე ალჟირი, ლიბია, ეგვიპტე, ტუნისი);

- დასავლეთ აზია (XIX ს. – XX ს-ის დასაწ.) – ერაყი (1918 წ.), სირია (1918 წ.), ლიბანი (1918 წ.), პალესტინა (1832 წ.), ჰიჯაზი (1916 წ.) – (თანამედროვე ერაყი, სირია, ლიბანი, ისრაელი, საუდის არაბეთი).

„პართლენდიდან“ გამოყოფილ გეოპოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს მცირე აზიის (1923 წ.) – თურქეთის რესპუბლიკა (1923 წ. – დღემდე), სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი – თურქები*.

9. *სეფიანთა იმპერია* (XVI ს-ის დასაწ. – XVIII ს-ის I ნახ.) (Локкарт, 2004; Рахмани, 1991; Эфендиев, 1961) – მოიცავდა ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე და ცენტრალური აზიიდან მცირე აზიამდე. XVIII საუკუნის პირველ ნახევარში სეფიანთა იმპერია დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ჩრდილოეთ კავკასია (XVIII ს-ის I ნახ.) – დარუბანდის სახანო (1747 წ.) – (თანამედროვე რუსეთის სამხრეთი ნაწილი);

- ცენტრალური კავკასია (XVIII ს-ის I ნახ.) – კახეთის (1747 წ.) და ქართლის (1747 წ.) სამეფოები – (თანამედროვე საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი); ყუბის (1726 წ.), შუკის (1743 წ.), განჯის (1747 წ.), თალიშის (1747 წ.), ნახჭევანის (1747 წ.), ერევნის (1747 წ.), ბაქოს (1747 წ.), ჯავადის (1747 წ.), ყარაბაღის (1748 წ.), შირვანის (1748 წ.) სახანოები, სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი – აზერბაიჯანელები* – (თანამედროვე აზერბაიჯანი);

- სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასია (XVIII ს-ის I ნახ.) – თავრიზის (1745 წ.), მარაღის (1747 წ.), ხოის (1747 წ.), მაქოს (1747 წ.), სარაბის (1747 წ.), ურმიის (1747 წ.), არდებილის (1747 წ.), გილანის (1747 წ.), ყარადაღის (1748 წ.) სახანოები, სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი – აზერბაიჯანელები* – (თანამედროვე ირანის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი);

და „რიმლენდის“ სეგმენტებად:

- დასავლეთ აზია (XVIII ს-ის მეორე ნახ.) – ზენდების სახელმწიფო (1760 წ.) – (თანამედროვე ირანი) (Иванов, 1952).

„**პართლენდიდან**“ გამოყოფილ გეოპოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს ცენტრალური კავკასიის (XVIII ს-ის პირველი ნახ.) 20 აზერბაიჯანული სახანო, სადაც დამკვიდრდა სატიტულო ეთნოსი – აზერბაიჯანელები, რომლებმაც გაერთიანება და გეოპოლიტიკურ სუბიექტებად ჩამოყალიბება ვერ შეძლეს. ორი საუკუნის განმავლობაში ცენტრალური კავკასიის აზერბაიჯანული სახანოები თანამედროვე აზერბაიჯანად გარდაიქმნა.

10. რუსეთის იმპერია (1721-1917 წწ.) (Гладкий, 2006; Д'Анкокс, 2005; Широкопад, 2007) – მოიცავდა ტერიტორიას შორეული აღმოსავლეთიდან ცენტრალურ ევროპამდე და ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანიდან კავკასიამდე და ცენტრალურ აზიამდე. 1917 წელს ის დაიშალა „პართლენდის“ სეგმენტებად:

- ცენტრალური ევროპა (XX ს-ის I ნახ.) – პოლონეთის სამეფო, ფინეთის დიდი სამთავრო, ცენტრალური (უკრაინის) რადა, ბელორუსიის რადა, გუბერნიები: ბესარაბიის, ლიფლანდიის, კურლანდიის, ესტლანდიის – (თანამედროვე პოლონეთი, ფინეთი, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი);

- ჩრდილოეთ კავკასია (XX ს-ის I ნახ.) – დაღესტნის რესპუბლიკა, მთიელთა რესპუბლიკა, ყუბანის რადა – (თანამედროვე რუსეთის სამხრეთი ნაწილი);

- ცენტრალური კავკასია (1918 წ.) – აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკა, არარატის რესპუბლიკა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – (თანამედროვე აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო);

- სამხრეთ-დასავლეთ კავკასია (1918 წ.) – არაზ-თურქული რესპუბლიკა და სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის (ყარსის) დემოკრატიული რესპუბლიკა – (თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ილქები);

- ცენტრალური აზიის (XX ს-ის პირველი ნახ.) – ალაშურდოს „მთავრობა“, „კოკანდის ავტონომია“, ბუხარისა და ხივის

სახანოები¹ (თანამედროვე ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი).

„პართლენდიდან“ გამოყოფილ გეოპოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპა – ჩრდილოეთ აზიის (1917 წ.) – რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა (1917-1991 წწ.), სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი* – რუსები.

11. სსრკ (1922-1991 წწ.) (Верт, 2003; Маргания, ред., 2007; Пономарев, ред., 1966-1968) – არსებობდა სივრცეზე, რომელიც რუსეთის იმპერიისგან მემკვიდრეობით ერგო. 1949 წელს საბჭოთა კავშირმა შექმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელიც სხვა ტერიტორიებთან ერთად მოიცავდა ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური აზიის სხვა ნაწილებს, აგრეთვე ცალკეულ სახელმწიფოებს პლანეტის სხვადასხვა ნაწილში. 1991 წელს სსრკ/ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო დაიშალა **„პართლენდის“ სეგმენტებად:**

- ცენტრალური ევროპა (1991 წ.) – პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, გდრ, იუგოსლავია, უკრაინა, ბელორუსია, მოლდავეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი;

- ცენტრალური კავკასია (1991 წ.) – აზერბაიჯანი, საქართველო; სომხეთი;

- ცენტრალური აზია (1991 წ.) – ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი, მონღოლეთი, ავღანეთი.

„პართლენდიდან“ გამოყოფილ გეოპოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს აღმოსავლეთ ევროპა – ჩრდილოეთ აზიის (1991 წ.) – რუსეთის ფედერაცია (1991 წ. – დღემდე), სადაც დამკვიდრდა *სატიტულო ეთნოსი* – რუსები.

„ღერძული რეგიონის“ ევოლუციის მოკლე აღწერა ცხადყოფს, რომ IV საუკუნეში „რიმლენდის“ აღმოსავლეთი ნაწილის გეოპოლიტიკური სუბიექტის – ჩინეთის იმპერიის მიერ „პართლენ-

¹ აღნიშნული წარმონაქმნების გარდა ცენტრალურ აზიაში 1918 წელს შეიქმნა თურქესტანის ასსრ დედაქალაქით ტაშკენტი რსფსრ-ის შემადგენლობაში.

დის“ ცენტრალური აზიის სეგმენტიდან გამოდევნილმა ჰუნებმა პირველად დაიწყეს „ლერძული რეგიონის“ ევროპისა და კავკასიის სეგმენტების ჩამოყალიბება ფუნქციურად ერთიან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ სივრცედ. მაგრამ მათ ვერ შეძლეს „პართლენდის“ წარმოქმნილ სეგმენტებს შორის წარმოშობილი ინტეგრაციული ტენდენციების დამკვიდრება და განვითარება, რადგან განაგრძობდნენ ევროპაში ბატონობისათვის ბრძოლას რომის (და ბიზანტიის) იმპერიასთან, რომელიც ძირითადად „რიმლენდის“ დასავლეთ ნაწილს აკონტროლებდა. მართალია, ჰუნებმა მას გამანადგურებელი დარტყმები მიაყენეს და საძირკველიც შეურიყეს, მაგრამ საფრანგეთში კატალაუნის დაბლობზე „ხალხთა ბრძოლაში“ (451 წ.) მარცხმა დაასრულა მათი პასიონარობის¹ განვითარების პერიოდი. ამის შემდეგ ჰუნების იმპერიამ მალე შეწყვიტა არსებობა და ამის შედეგად ბოლო საუკუნეებში ვერც „პართლენდმა“ და ვერც „რიმლენდმა“ ველარ შეძლეს სრულად აღორძინება და ევრაზიაში გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქციების შესრულება.

100 წლის შემდეგ დაიწყო „ლერძული რეგიონის“ ჩამოყალიბების პროცესის მეორე ციკლი. ჰუნების ყოფილ სამშობლოში იქმნება ახალი სახელმწიფო – თურქთა სახაკანო, რომელიც, თავიდან, გაბატონდა რა მთელ ცენტრალურ აზიაში, ესწრაფოდა თავისი არეალის გაფართოებას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით. აღმოსავლეთის მიმართულებით თურქებმა დაიწყეს მანჯურიის, სინძიანის, ალთაის, მონღოლეთის ტერიტორიების გაკონტროლება, ხოლო დასავლეთის მიმართულებით თავიანთი ბატონობა დაამყარეს მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაზე და ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში არსებულ ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთზე (ბოსფორი/ქერჩი). ამ დაპყრობების შედეგად თურქთა სახაკანოებმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარეს დიდი აბრეშუმის გზის ყველა ძირითადი მარშრუტი, ანუ „ლერძული რეგიონის“ ყველა მნიშვნელოვანი სეგმენტი, რაც მათ საშუალებას აძლევდა გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური ფუნქცია შეესრულებინათ ევრაზიის მატერიკზე. მაგრამ მათ ვერ

¹ პასიონარობის თეორიის შესახებ იხ. (Гумилев, 2001).

შეძლეს განემტკიცებინათ თავიანთი ბატონობა „ღერძულ რეგიონში“ და 588 წელს ერთიანი თურქთა სახელმწიფო აღმოსავლეთ და დასავლეთ თურქთა სახაკანოებად დაიშალა.

ასი წლის შემდეგ (VII ს.) დასავლეთ თურქთა სახაკანოს ბაზაზე შეიქმნა ხაზართა სახაკანო, რომელიც მოიცავდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის არეალებს. ჰუნების იმპერიის მსგავსად, ის ესწრაფოდა, თავისი ბატონობა გაეფართოებინა „ღერძული რეგიონის“ კავკასიისა და ევროპის სეგმენტებზე, მაშინ როდესაც „ჰართლენდის“ აზიის სეგმენტში აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოს მმართველები ბატონობდნენ. მათი ძირითადი ძალისხმევა მიმართული იყო „რიმლენდის“ აღმოსავლეთ ნაწილის გეოპოლიტიკური მოთამაშის – ჩინეთის წინააღმდეგ, რომელთანაც სახაკანო ხანგრძლივ ომს აწარმოებდა, რასაც, საბოლოოდ, სახელმწიფოს დაღუპვა მოჰყვა.

იმავდროულად (VII საუკუნეში) „რიმლენდის“ დასავლეთ ნაწილში, არაბეთის ნახევარკუნძულზე წარმოიქმნა ახალი გეოპოლიტიკური სუბიექტი – არაბთა სახალიფო. დაიპყრეს რა უზარმაზარი ტერიტორიები ატლანტიკის ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე, ანუ „მსოფლიო კუნძულის“ სანაპირო ზოლის მთელი დასავლეთი მონაკვეთი, არაბებმა „ღერძული რეგიონის“ ცალკეულ სეგმენტებზეც დაიწყეს გაბატონება. „ჰართლენდის“ კავკასიის სეგმენტში სახალიფო მთელი VIII საუკუნის განმავლობაში ეომებოდა ხაზართა სახაკანოს, ხოლო ცენტრალური აზიის სეგმენტში – აღმოსავლეთ თურქთა სახაკანოს (712-713 წწ.).

„რიმლენდის“ (არაბთა სახალიფო და ჩინეთის იმპერია) და „ჰართლენდის“ (ხაზართა სახაკანო და აღმოსავლეთ თურქთა სახაკანო) „ახალი“ საკვანძო მოთამაშეების შეტაკებების განახლების შედეგად ამ უკანასკნელებმა, როგორც გეოპოლიტიკურმა სუბიექტებმა, არსებობა შეწყვიტეს. ამით არაბთა სახალიფომ თავისი ბატონობა დაამყარა „ღერძული რეგიონის“ ორ სეგმენტზე – ცენტრალურ აზიასა და ცენტრალურ კავკასიაზე. ამრიგად, არაბთა სახალიფო, შეწყვიტა რა „ღერძულ რეგიონში“ წარმოქმნილი ინტეგრაციული ტენდენციების განვითარება,

ორი საუკუნის განმავლობაში ბატონობდა როგორც „რიმლენდის“, ისე „პართლენდის“ ძირითად სეგმენტებზე, ანუ თითქმის მთელ „მსოფლიო კუნძულზე“.

მაგრამ IX საუკუნის პირველ მეოთხედში იწყება სახალიფოს დაცემა, მას ეტაპობრივად გამოეყოფა „რიმლენდის“ სეგმენტები – სამხრეთ-დასავლეთ ევროპა, ჩრდილოეთ აფრიკა, დასავლეთ აზია და მცირე აზიის ნაწილი, ხოლო „პართლენდიდან“ – ცენტრალური აზია და ცენტრალური კავკასია.

XI საუკუნეში „ღერძული რეგიონის“ ცენტრალური აზიის სეგმენტში კვლავ წარმოიქმნება ევრაზიული სახელმწიფო – სელჩუკთა სახელმწიფო, რომელმაც დასაბამი მისცა „პართლენდის“ აღორძინების ახალ ფაზას. ცენტრალურ აზიაში რომ გაბატონდნენ, სელჩუკებმა დაიპყრეს „ღერძული რეგიონის“ მეორე სეგმენტიც – ცენტრალური კავკასია, აგრეთვე „რიმლენდის“ ცალკეული სეგმენტები – დასავლეთ აზია, მცირე აზიის ნაწილი და საკუთრივ არაბთა (ბალდადის) სახალიფო. „არაბული“ „რიმლენდის“ დასასრულმა ხელი შეუწყო „სელჩუკთა“ „პართლენდის“ აღორძინებას, რომელიც, დროთა განმავლობაში გარდაიქმნებოდა რა „ღერძული რეგიონის“ სხვა გეოპოლიტიკურ მოთამაშეებად, XX საუკუნის დამლევამდე სხვადასხვა ფორმით უწყვეტად ბატონობდა „მსოფლიო კუნძულზე“.

XIII საუკუნეში „ღერძულ რეგიონში“ სელჩუკები შეცვალა მონღოლთა ორსაუკუნოვანმა ბატონობამ, ამასთან, არა მარტო „პართლენდის“ ყველა სეგმენტში (ცენტრალური ევროპა, ცენტრალური კავკასია და ცენტრალური აზია), არამედ თითქმის მთელი ევრაზიის მატერიკზე.

XV საუკუნეში მონღოლები შეცვალეს თურქებმა (ოსმანებმა), რომლებიც ძირითადად XII-XIII საუკუნეებში ცენტრალური აზიიდან მცირე აზიაში გადასახლდნენ და 1299 წელს შექმნეს თავიანთი სახელმწიფო – ოსმანთა ბეილიქი. ოსმანთა იმპერიამ ბოლო მოუღო ბიზანტიის იმპერიას (1453 წ.) და დაიპყრო მისი ტერიტორია, ხოლო XVI საუკუნიდან ეტაპობრივად თავის ბატონობას ამყარებდა როგორც „პართლენდის“ ცენტრალური ევროპისა და

ცენტრალური კავკასიის სეგმენტებზე, ისე „რიმლენდის“ სეგმენტებზეც – ჩრდილოეთ აფრიკაში.

XVI საუკუნეში სეფიანთა იმპერია „ღერძული რეგიონის“ ცენტრალური აზიისა და ცენტრალური კავკასიის სეგმენტებზე თავისი ბატონობის დამყარების პროცესში ოსმანთა სახელმწიფოს შეეჯახა. ამ მრავალსაუკუნოვანმა დაპირისპირებამ საბოლოო ანგარიშით სეფიანთა სახელმწიფოს დაშლა და, შედეგად, ცენტრალური კავკასიის (აღმოსავლეთი ნაწილი) და ცენტრალური აზიის სეგმენტებში ეთნოპოლიტიკური და სახელმწიფო წარმონაქმნების დამოუკიდებლობის აღდგენა გამოიწვია. იმავდროულად არსებითად შემცირდა ოსმანთა იმპერიის გავლენა ცენტრალური ევროპისა და ცენტრალური კავკასიის (დასავლეთ ნაწილში) სეგმენტებში.

XVIII საუკუნის შუა პერიოდიდან რუსეთის იმპერიამ დაიწყო გაბატონება „ღერძული რეგიონის“ ყველა სეგმენტში, ხოლო XIX საუკუნეში მთელი ცენტრალური კავკასია მოიცვა და დასავლეთის (ცენტრალური ევროპის) და აღმოსავლეთის (ცენტრალური აზიის) მიმართულებით დაიწყო გაფართოება.

ამრიგად, XIX საუკუნეში, შეიძლება ითქვას „ჰართლენდში“ თურქული იმპერიების (ჰუნების იმპერია, თურქთა/ხაზართა სახაკანოები, სელჩუკთა და მონღოლთა იმპერიები, თემურის იმპერია, ოსმანთა და სეფიანთა იმპერიები) თითქმის უწყვეტი მბრძანებლობა დასრულდა და დაიწყო სლავების სახელმწიფოს (რუსეთის იმპერიის) ბატონობა.

რუსულმა ეთნოსმა, რომელიც უმთავრესად „ჰართლენდის“ აღმოსავლეთ ევროპის სეგმენტში ცხოვრობდა, რუსეთის იმპერიის პერიოდში შეძლო XIX საუკუნეში თავისი ბატონობა დაემყარებინა „ღერძული რეგიონის“ ყველა ძირითად სეგმენტში (ცენტრალური ევროპა, ცენტრალური კავკასია და ცენტრალური აზია), აგრეთვე დაეპყრო სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სანაპირო ზოლები დასავლეთში (ბალტიისპირეთი, ფინეთი), აღმოსავლეთში (კამჩატკა, სახალინი, ზღვისპირეთის მხარე, ალასკა) და ჩრდილოეთში (ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სანაპირო

ზოლი), რითაც სამ ოკეანეში გასასვლელი მოიპოვა და სახმელეთო-საზღვაო სახელმწიფო გახდა, რომელსაც ერთდროულად როგორც „პართლენდის“, ისე „რიმლენდის“ გეოპოლიტიკური მოთამაშის ფუნქციების შესრულება შეეძლო.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერია გარდაიქმნა საბჭოთა კავშირად, რომელმაც მისი ტერიტორია და გეოპოლიტიკური შესაძლებლობები მემკვიდრეობით მიიღო და შექმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (1949 წ.), რითაც მაქსიმალურად გააფართოვა „ღერძული რეგიონი“, შეიყვანა რა მის არეალში ცენტრალურ ევროპაში „სოციალისტური ბანაკის“ სახელმწიფოები – პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი, გდრ და იუგოსლავია, ხოლო ცენტრალურ აზიაში – მონღოლეთი და ავღანეთი. ამრიგად, „ღერძული რეგიონის“ სივრცე ყველაზე სრულად საბჭოთა იმპერიის პერიოდში ყალიბდება და ფუნქციონირებს.

თუ გავანალიზებთ „ღერძული რეგიონის“ ევოლუციის ბოლო ციკლის დამამთავრებელ ეტაპს, ანუ ევრაზიის ბოლო უკანასკნელი სახელმწიფოს – საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდს და ახალი ციკლის პირველი ეტაპის დასაწყისს – „პართლენდის“ მორიგ აღორძინებას, მკაფიოდ დავინახავთ, რომ, ისევე როგორც წინა ციკლებში, აქაც გამოიყო ცენტრალური ევროპის, ცენტრალური კავკასიის, ცენტრალური აზიის სეგმენტები, აგრეთვე „ღერძულ რეგიონს“ გამოყოფილი გაბატონებული ერის საკუთარი არეალი, როგორც წესი, გეოპოლიტიკის დამოუკიდებელი სუბიექტი – რუსეთის ფედერაცია.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ „ღერძულ რეგიონში“ „ნარმოქმნილი“ ყოველი ევრაზიული სახელმწიფო თავისი ევოლუციის პროცესში, როგორც წესი, გამოიყოფოდა გეოპოლიტიკის დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელიც გაბატონებული იყო „მშობელ“ ობიექტზე – „პართლენდზე“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თავისი ჩამოყალიბების დასაწყისში ობიექტის ეს ნაწილი, ნარმოადგენდა რა „პართლენდის“ სისტემის ნარმოქმნელ ელემენტს, დროთა განმავლობაში გარდაიქმნებოდა სუბიექტად, რომელიც

ფუნქციურად განსხვავდებოდა ობიექტის – „ღერძული რეგიონის“ სხვა შემადგენელი ელემენტებისგან. ამით ახალი გეოპოლიტიკური სუბიექტი, თითქოსდა, ტოვებს თავის „დამბადებელ“, ანუ „მშობელ“ ობიექტს – „ჰართლენდს“, რომელიც სივრცობრივად ვინროვდება ზუსტად იმდენად, რამდენადაც ფართოვდება სატიტულო ერის საკუთარი არეალი.

ამგვარად, „ღერძული რეგიონის“ და მისი სეგმენტების სივრცე, „თვალის გუგასავით“, დროში ხან ფართოვდებოდა, ხან ვინროვდებოდა, ხან ადგილს იცვლიდა, ანუ პერმანენტულად მოძრაობდა. სწორედ ეს არის იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ თანამედროვე სახელმწიფოების და ცენტრალური ევრაზიის სეგმენტების ტერიტორიები მათ სანყის ისტორიულ საზღვრებს არ ემთხვევა.

როგორც „ჰართლენდის“, ისევე „რიმლენდის“ ჩამოყალიბების პრინციპები უპირატესად ეთნიკურ (ჰუნთა, თურქთა, ხაზართა, სელჩუკთა, მონღოლთა იმპერიები, თემურის იმპერია, ოსმანთა, სეფიანთა იმპერიები, სადაც თურქული ეთნოსი სატიტულო იყო, რუსეთის იმპერიაში სატიტულო რუსული ეთნოსი იყო), რელიგიურ (არაბთა სახალიფო – „მაჰმადიანები“) და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ (საბჭოთა კავშირი – „საბჭოთა ხალხი“) საფუძველზე ხორციელდებოდა. მისი ევოლუცია ყველა ეტაპზე ერთიანი ალგორითმის შესაბამისად მიმდინარეობდა:

- „ჩამოყალიბება-გამოყოფა“ სატიტულო ერისა და მისი დამკვიდრება „ღერძული რეგიონის“ ათვისებულ არეალში;
- „აყვავება-სრული კონტროლი“ „ღერძული რეგიონის“ ძირითად სეგმენტებზე და მთელი მსოფლიოს დაპყრობის მისწრაფება;
- „დაშლა-დასანყისი“ „ღერძული რეგიონის“ სეგმენტების ახალი სივრცობრივი საზღვრების ჩამოყალიბებისა და მისგან სატიტულო ერის ტერიტორიის გამოყოფა.

ამრიგად, „ჰართლენდის“, როგორც მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელი მთლიანი ობიექტ/სუბიექტის, ჩამოყალიბების სტადიაზე მრავალი ეთნოსიდან გამოირჩეოდა პასიონარული, ევრაზიის მატერიკის შუა ნაწილის დანარჩენ ეთნოსებზე დომინი-

რებადი ეთნოსი, რის შემდეგაც იწყებოდა მეორე სტადია – აყვავება. ამ პერიოდში პასიონარული ეთნოსის არეალი, როგორც „ღერძული რეგიონის“ ყველაზე მყარი ეთნოპოლიტიკური ერთეული, გეოპოლიტიკის ობიექტიდან გარდაიქმნება მის სუბიექტად, ანუ იმპერიად, რომელიც ისწრაფვის იბატონოს თავიდან „ღერძული რეგიონის“ მოსაზღვრე ტერიტორიებზე, შემდეგ მთელ მსოფლიოში. მაგრამ „პართლენდზე“ და „რიმლენდის“ გარკვეულ ნაწილზე გაბატონების შემდეგ დაიწყო ევრაზიის იმპერიული სისტემის დაშლის პროცესი და, შედეგად, „პართლენდის“ ერთიანი სივრცე დაიყო ცალკეულ, შედარებით განკერძოებულ სეგმენტებად, რომელთაგან ერთ-ერთში იკვეთებოდა სატიტულო ეთნოსის სახელმწიფოს ტერიტორიის საზღვრები. ასეთი სქემით მიმდინარეობდა „პართლენდის“ ევოლუციის ყოველი ციკლი.

§3.3. „ღერძული რეგიონის“ არსი, ფუნქციები და ჩამოყალიბების პრინციპები XXI საუკუნეში

„ღერძული რეგიონის“ არსი. „პართლენდი“ პლანეტის ყველაზე დიდი „მსოფლიო კუნძულის“ შუა მდებარე ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც არ აქვს გასასვლელი სტრატეგიულად მნიშვნელოვან სანაპირო ზოლებზე, მაგრამ ჭარბი შინაგანი პოტენციური ეთნოდემოგრაფიული და სოციალურ-პოლიტიკური ენერჯია – პასიონარობა ახასიათებს, რომლის მონესრიგებისა და მართვის ხარისხზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მთელი ევრაზიის მატერიკის სისტემური, დინამიკური და სტაბილური განვითარება.

„ღერძული რეგიონის“ ფუნქცია. „პართლენდის“ – ცენტრალური ევრაზიის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მყარი სახმელეთო კავშირის უზრუნველყოფა როგორც ჰორიზონტალურად (განედურად) – „დასავლეთი-აღმოსავლეთი“, ისე ვერტიკალურად (მერიდიანულად) – „ჩრდილოეთი-სამხრეთი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ცენტრალურმა ევრაზიამ ხელი უნდა შეუწყოს ევრაზიის მატერი-

კის მსხვილი და შედარებით განკერძოებული არეალების სტაბილურ გეოპოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტეგრაციას.

„ღერძული რეგიონის“ ჩამოყალიბების პრინციპები. თანამედროვე პერიოდში „ღერძული რეგიონის“ ჩამოყალიბებისას კაცობრიობის გლობალური განზონასწორებული განვითარების მისაღწევად უპირატესად უნდა გამოიყენებოდეს სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის (თავსებადობისა და ურთიერთშეგვების) და თვითორგანიზაციის პრინციპები, ხოლო მისი ფუნქციონირებისას – თვითრეგულირებისა და თვითმმართველობის პრინციპები. როგორც ცენტრალური ევრაზიის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ ცხადყო, ეს იმითაა განპირობებული, რომ პერიოდები, როცა „პართლენდი“ უპირატესად ეთნოკონფესიური ან პოლიტიკური-იდეოლოგიური პრინციპით ყალიბდებოდა და, შესაბამისად, დაპყრობილი არეალის სხვა ხალხებზე სატიტულო ერის ბატონობის პრინციპით მოქმედებდა, საბოლოო ანგარიშით, ევრაზიის იმპერიების დაშლა და, შესაბამისად, „პართლენდის“, როგორც ერთიანი, მთლიანი გეოპოლიტიკური სივრცის ცალკეულ სეგმენტებად დანაწევრება ხდებოდა. ამით მთელი ევრაზიის მატერიკის ძირითად რეგიონებს შორის ჩამოყალიბებული ობიექტური ურთიერთკავშირი ირღვეოდა.

§3.4. ცენტრალური ევრაზიის ახალი გეოპოლიტიკური სტრუქტურა

„ღერძული რეგიონის“ ევოლუცია, რომლის ძირითადი ეტაპები ზემოთ განვიხილეთ, მისი სისტემანარმომქმნელი სეგმენტების პერმანენტულ ფუნქციურ მობილურობას მოწმობს. ეს გულისხმობს, რომ სიცხადე უნდა შევიტანოთ იმ საკითხში, თუ სტრუქტურულად როგორ უნდა შეფასდეს დღეს ცენტრალური ევრაზიის არეალი. ჩვენი გამოკვლევის დასაწყისში, მოცემული რეგიონის თეორიული, ისტორიულ-ემპირიული და თანამედროვე წარმოდგენიდან გამომდინარე, დავასკვნით, რომ სივრცობრივ-

ფუნქციური თვალსაზრისით ცენტრალური ევრაზია უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ცენტრალური კავკასია პლუს ცენტრალური აზია¹. ასეთი დასკვნის საფუძველს მხოლოდ სივრცობრივი თვალსაზრისით მსჯელობაც კი იძლევა. თუ ევრაზიის მატერიკი ორგანულად მოიცავს ევროპას და აზიას, შესაბამისად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისი ცენტრალური ნაწილი უნდა მოიცავდეს ორივე კონტინენტის ცენტრალურ სეგმენტებს, ანუ როგორც ცენტრალური ევროპის ქვეყნების ტერიტორიებს, ისე ცენტრალური აზიის ქვეყნების ტერიტორიებსაც; ასევე განსაკუთრებულ ზონას, „მათი გადაკვეთის სფეროს“ – ცენტრალური კავკასიის ქვეყნების ტერიტორიებს, რაც, როგორც უკვე აღინიშნა, „ღერძული რეგიონის“ სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების მრავალსაუკუნოვანი ისტორიითაც დასტურდება.

ამავე დროს ევრაზიის გეოპოლიტიკური სივრცის სტრუქტურიზაცია ვერ იქნება დაფუძნებული მხოლოდ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პრინციპებზე, ანუ მხოლოდ სივრცობრივ-გეოგრაფიულ პარამეტრებზე². ჩვენი აზრით, გეოპოლიტიკური სივრცის რეგიონალური სტრუქტურიზაცია უნდა მოხდეს არა იმდენად ფიზიკურ-გეოგრაფიული კრიტერიუმების გათვალისწინებით, რამდენადაც მოცემული სივრცის ფუნქციური ერთიანობის, დამოუკიდებელი მოსაზღვრე სახელმწიფოების თავსებადობის და ურთიერთშევესების, საერთო-ისტორიული წარსულის ბაზაზე მათი სოციალურ-კულტურული სიახლოვის, აგრეთვე მსოფლიო პოლიტიკასა და ეკონომიკაში მათი ერთობლივი ფუნქციური მნიშვნელობის პრინციპის გათვალისწინებით.

¹ პოსტსაბჭოთა პერიოდში ცენტრალური ევრაზიის შემადგენლობაში ძირითადად შეჰყავდათ „ღერძული რეგიონის“ ორი სეგმენტი: კავკასია და ცენტრალური აზია (იხ. მაგალითად, Исмаилов и Эсенов, 2005; Amineh, and Houweling, 2005, pp. 2-3; Fairbanks, Nelson, Starr and Weisbrode, 2001, p. vii).

² ხშირად ამის გამო ცალკეული რეგიონების შემადგენლობაში შეჰყავთ როგორც სუვერენული სახელმწიფოების, ისე მოსაზღვრე ქვეყნების ტერიტორიები. მაგალითად, გეოპოლიტიკური ცნება „ცენტრალური აზია“ განიხილება როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი, რადგან ხუთი ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოს ტერიტორიის გარდა აქ შეჰყავთ დასავლეთ ჩინეთის ტერიტორიის ნაწილიც (სინძიან-ულურთა ავტონომიური რაიონი).

ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მიგვაჩნია ცენტრალური ევრაზიის რეგიონის თანამედროვე გეოპოლიტიკური სტრუქტურა განვიხილოთ როგორც სამი სეგმენტისაგან შემდგარი (Исмаилов, 2007, 2008): ცენტრალური ევროპა, ცენტრალური კავკასია და ცენტრალური აზია (იხ. სურ. 3).

სურათი 3

ცენტრალური ევრაზიის
გეოპოლიტიკური სივრცის სტრუქტურა



ჩვენი აზრით, ცენტრალური ევრაზიის ადგილისა და როლის ასეთი გაგება საშუალებას იძლევა, „ღერძული რეგიონის“ მთლიანობა შევაფასოთ „დაკლებული ელემენტით“ – ცენტრალური ევროპით.

ამრიგად, იმ არსებული კონცეფციებისგან განსხვავებით, რომლებიც მოიცავს მხოლოდ ორ სეგმენტს (ცენტრალურ აზიასა და ცენტრალურ კავკასიას) და მათ ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას „სატიტულო ერის ბატონობის“ პრინციპით გულისხმობს, „ღერძული რეგიონის“ – ცენტრალური ევრაზიის პარამეტრების, სტრუქტურის, ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პრინციპების განსაზღვრისადმი ჩვენ მიერ წარმოდგენილი მიდგომა ითვალისწინებს:

– ჯერ ერთი, „ღერძული რეგიონის“ შემადგენლობაში (ცენტრალური აზიისა და ცენტრალური კავკასიის გარდა) მესამე

სეგმენტის – ცენტრალური ევროპის სახელმწიფოთა ტერიტორიების ჩართვას;

– მეორე, „პართლენდის“ ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებას სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის, თვითორგანიზაციის, თვითმმართველობისა და თვითგანვითარების პრინციპებზე დაყრდნობით.

როგორც ისტორიული გამოცდილება და დღევანდელი გეოპოლიტიკური კონიუნქტურა ცხადყოფს, „ღერძული რეგიონის“ – ცენტრალური ევრაზიის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების სწორედ ამ პრინციპებს შეუძლია უზრუნველყოს გრძელვადიანი, უწყვეტი სახმელეთო კავშირი როგორც ჰორიზონტალურად – „დასავლეთი-აღმოსავლეთი“, ისე ვერტიკალურად – „ჩრდილოეთი-სამხრეთი“, ანუ დასავლეთ ევროპა-აღმოსავლეთ აზიის, რუსეთ-სამხრეთ აზიის სტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ინტეგრაცია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულში გლობალიზაციის პროცესების გაძლიერების გამო გეოპოლიტიკურ ლიტერატურაში (რეგიონთმცოდნეობა და ქვეყანათმცოდნეობა) სულ უფრო ხშირად გამოიყენება მაკროკატეგორიები, მათ შორის სიტყვა „დიდი“, მაგალითად „დიდი ევროპა“ (მაგალითად, Максими́чев, 2003; Солосовов, 2005), „დიდი ახლო აღმოსავლეთი“ (მაგალითად, Коэн, 2004; Крылов, 2006; Лагунина, 2003; Эрдоган, 2004), „დიდი ცენტრალური აზია“ (მაგალითად, Лаумулин, 2005; Казахстан: аналитика, 2006), „დიდი ჩინეთი“ (მაგალითად, Сыроежкин, 2) და ა.შ. ამგვარი მიდგომის რაციონალურობა აშკარაა, ის უკავშირდება არა იმდენად ევრაზიის გეოპოლიტიკურ „არენაზე“ მოთამაშე კონკურენტთა პოზიციებისა და ინტერესების კონცეფციურად დასაბუთების აუცილებლობას, რამდენადაც გლობალიზაციის პირობებში ევრაზიის სივრცეში რეგიონალური პოლიტიკური სისტემების განვითარებისა და ურთიერთმოქმედების ობიექტურ კანონზომიერებებს.

ამ რეგიონალური ქვესისტემების შემადგენელი სახელმწიფოების დინამიკური და მყარი პოლიტიკური, ეკონომიკური და

სოციალურ-კულტურული განვითარების ინტერესები დღეს ვერ განხორციელდება, თუ სათანადო დონეზე არ იქნა ფუნქციური გახსნილობა და მიმდინარე პროცესებში ურთიერთიარსებობა. სახელმწიფოთა განვითარებაში ავტოკრატიულობაზე იმედის დამყარება კლასიკური გეოპოლიტიკის პერიოდებში ხდებოდა, მაგრამ ახლა, გლობალიზაციის პირობებში, ვერც ერთი ქვეყანა თვითკმარობას ვერ მიაღწევს – თუნდაც ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალსაზრისით. და ეს, ბუნებრივია, აისახება იმ პროცესებზე, რომლებიც ამჟამად მიმდინარეობს ევრაზიის მატერიკის ყოველ სეგმენტში და მათ შორის ურთიერთობებში.

ამგვარად, ევრაზიის რეგიონების „ვიწროდ“ მონიშვნა სრულად არ წარმოაჩენს გაფართოებული და გაღრმავებული რეგიონთაშორისი კავშირებისა და ურთიერთობების თანამედროვე რეალებს. შესაბამისად, მათი ყოვლისმომცველი გაგება მოითხოვს ევრაზიის სივრცის სტრუქტურულიზაციისადმი „ფართო“ (მაკრორეგიონალურ) მიდგომას. ამასთან დაკავშირებით არა მარტო შესაძლებლად, არამედ მიზანშეწონილადაც მიგვაჩნია ტერმინი „ცენტრალურ ევრაზიას“, და შესაბამისად, მის შემადგენელ ნაწილებს, საჭიროების შემთხვევაში, წინ დაერთოს სიტყვა „დიდი“.


ასევე გასათვალისწინებელია, რომ ცენტრალური აზიის რეგიონის დახასიათებისას წინ დართული სიტყვა „დიდი“ უკვე გამოიყენება, ანუ ცნება „დიდი ცენტრალური აზია“ ფართოდაა გავრცელებული სამეცნიერო ლიტერატურაში. თუმცა ორ სხვა სეგმენტთან – ცენტრალურ ევროპასთან და ცენტრალურ კავკასიასთან¹ მიმართებაში იგივე მიდგომა ჯერჯერობით არ გამოიყენება. ამასთან დაკავშირებით რეგიონების გაფართოების ლოგიკიდან გამომდინარე, დიდ ცენტრალურ ევროპად უნდა ვიგულისხმოთ, როგორც ეს ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გეოგრაფიული სივრცე, რომელიც სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის (ბელორუსია, უკრაინა, მოლდავეთი) გარდა, მოიცავს ასევე ბალტიის რესპუბლიკებს (ლატვია, ლიტვა, ესტონეთი) და ყოფილი ევროპის ურთიერთდახმარების საბჭოს სახელმწიფოებს (აღბანეთი, ბულგარეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა,

¹ ცენტრალური კავკასიის შეზღუდული სივრცის გამო წინასწარი „დიდი“ ამ რეგიონთან დაკავშირებით მიუღებელია.

უნგრეთი, მაკედონია, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ხორვატია და ჩერნოგორია) (იხ. სურ. 4).

სურათი 4

ცენტრალური ევრაზიის ქვეყნები



ერთი შეხედვით შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ცენტრალურ ევრაზიაში შეყვანილი ქვეყნები განსხვავდება თავიანთი ისტორიით, იდეოლოგიით, ეთნიკური კუთვნილებით, ფასეულობათა სისტემით, და ამიტომ ისინი ვერ შეძლებენ თვითორგანიზებას, თვითმმართველობას და თვითგანვითარებას ევრაზიის მატერიკისა და მთელი პლანეტის განვითარების საერთო ტენდენციების მიმართულებით. მაგრამ „ღერძული რეგიონის“ ფარგლებში გარკვეული ინტეგრაციული პოტენციალი ემყარება სწორედ ცენტრალური ევრაზიის ხალხების საერთო-ისტორიულ წარსულს (რომლებიც თითქმის ყველა ევრაზიული იმპერიის შემადგენლობაში ერთად იყვნენ), მათ ხანგრძლივ თანაარსებობას და ეთნიკურ შერევას. ბუნებრივია, ამან განაპირობა საჭირო სიახლოვე კულტურულ, ენობრივ, ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ ურთიერთობაში. სამწუხაროდ, სოციალურ-პოლიტიკურ და ისტორიულ ლიტერატურაში ბევრი ისტორიული პერიოდი და მოვლენა ობიექტურად არ შუქდება, რაც, თავის მხრივ, საგრძნობლად უშლის ხელს „ღერძული რეგიონის“ და მთლიანად ევრაზიის მატერიკის ინტეგრაციის დაჩქარებას.

ჩამოთვლილი და მთელი რიგი სხვა სირთულეების მიუხედავად, ცენტრალური ევრაზიის ინტეგრაცია მიზანშეწონილია განხორციელებდეს თანამიმდევრულად და ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით ყველა მის სეგმენტში. ჩვენი აზრით, ცენტრალური ევრაზიის სეგმენტების სახელმწიფოთა ერთობლივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით, ინტეგრაცია უნდა დაიწყოს, უწინარეს ყოვლისა, თავად სეგმენტებში თანამშრომლობით, რისთვისაც მნიშვნელოვანია როგორც სეგმენტის სახელმწიფოთა შორის, ისე თავად სეგმენტებს შორის წინააღმდეგობების გამოვლენა და მათი ეფექტიანი დაძლევის დაჩქარებული გზების გამოხატვა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ცენტრალური ევრაზიის სხვადასხვა სეგმენტის სახელმწიფოთა თანამშრომლობის მოცულობა და დონე უფრო მაღალია, ვიდრე თითოეულ მათგანში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობისა. მაგალითად, ცენტრალური აზიის ყაზახეთის ცენტრალური კავკასიის აზერბაიჯანთან თანამშრომლო-

ბის დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე, ვთქვათ, ცენტრალური აზიის თურქმენეთთან, ხოლო აზერბაიჯანს სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს ცენტრალური ევროპის უკრაინასთან, ამავე დროს კი საომარ მდგომარეობაშია ცენტრალური კავკასიის სომხეთთან.

ჩვენი აზრით, ცენტრალურ ევრაზიაში ინტეგრაციული პროცესების რეალიზაცია გულისხმობს ყოველ სეგმენტში მაინიცირებელი ბირთვის, ანუ ეკონომიკურად და პოლიტიკურად ყველაზე განვითარებული ქვეყნების ჯგუფის გააქტიურებას, რომლებიც თავად სეგმენტში ინტეგრაციის საფუძველს შექმნიდნენ ცენტრალური ევრაზიის რეგიონში საერთო-ინტეგრაციული ტენდენციების გათვალისწინებით. მაგალითად, ცენტრალური ევრაზიის ინტეგრაციაში „მაინიცირებელი ბირთვის“ როლზე პრეტენზიას აცხადებენ: ცენტრალური ევროპის სეგმენტში – უკრაინა; ცენტრალური კავკასიის სეგმენტში – აზერბაიჯანი და საქართველო; ცენტრალური აზიის სეგმენტში – ყაზახეთი, რომლებიც, საერთო შიგა და რეგიონთაშორისი წინააღმდეგობის მიუხედავად, შეუდგენენ მთელი ცენტრალური ევრაზიის რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის ეფექტიანი გზების ძიებას. ამიტომ ცენტრალური ევრაზიის ერთიანი ეკონომიკის ჩამოყალიბება და ფუნქციონირება, როგორც ჩანს, მითი სულაც არ არის, როგორც ამას ზოგიერთი ამტკიცებს.

თვალსაწიერ მომავალში ცენტრალური ევრაზიის განვითარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაერთიანებად ჩამოყალიბება რომც არ მოხდეს, რეგიონში ინტეგრაციული პროცესები და ის როლი, რომელიც აქ სამი სეგმენტის „მაინიცირებელმა ბირთვებმა“ იკისრეს, მონაბობს, რომ „პართლენდის“ ეკონომიკური და პოლიტიკური ძლიერება კვლავ აღორძინების გზაზე დგას.

ამრიგად, მსოფლიო გაერთიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც XXI საუკუნის პირველ მეოთხედში უნდა გადაწყდეს, ჩვენი შეხედულებით, სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის, თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობის პრინციპებზე დაყრდნობით ცენტრალური ევრაზიის სეგმენტებს შორის (ანუ ცენტრალური ევროპის, ცენტრალური კავკასიისა

და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის) სისტემური კავშირ-
ურთიერთობის დამყარება წარმოადგენს. ეს, თავის მხრივ, ცენ-
ტრალურ ევრაზიას საშუალებას მისცემს, უზრუნველყოს ევრა-
ზიის მატერიკის შედარებით განკერძოებული, დიდი არეალების
მიმართ პლანეტური (გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური)
ფუნქციების ხანგრძლივად, განუხრელად და ეფექტიანად შეს-
რულება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

ცენტრალური ევრაზიის ახლებურ განსაზღვრებასთან დაკავშირებით

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო არა მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბების, არამედ იმ ახალი გეოპოლიტიკური არეალების შექმნის ისტორიული პროცესი, რომლებიც აერთიანებს ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკას. ბოლო წლებში სულ უფრო ფართოდ ვრცელდება შედარებით ახალი გეოპოლიტიკური ტერმინიც „ცენტრალური ევრაზია“, რომელიც, როგორც წესი, ერთიან გეოპოლიტიკურ არეალში მოიცავს აზერბაიჯანს, სომხეთს, საქართველოს, ყაზახეთს, ყირგიზეთს, ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს.

- გეოგრაფიული ცენტრალური ევრაზია მთლიანად მოიცავს გეოგრაფიულ ცენტრალურ აზიას, მაშინ როცა, ცენტრალური ევროპა მასში არ შედის. თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, იმის გათვალისწინებით, რომ გეოგრაფიული ევრაზია, როგორც კონტინენტი, ქვეყნის ორი ნაწილისაგან – ევროპისა და აზიისაგან შედგება, გეოგრაფიული ევრაზია ბუნებრივად უნდა მოიცავდეს ცენტრალურ ევროპასა და ცენტრალურ აზიას, აგრეთვე მათ გამაერთიანებელ ცენტრალურ კავკასიას.

რუსეთთან და ევრაზიიზმთან დაკავშირებით

- საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეროვნული და ტერიტორიული იდენტურობის საკითხი განსაკუთრებით მწვავედ დადგა რუსეთის წინაშე, რომელიც ბოლო ორასი წლის განმავლობაში პირველად აღმოჩნდა მნიშვნელოვნად შევიწროებულ საზღვრებში, რამაც მნიშვნელოვანი სტიმული მისცა მისი გან-

საკუთრებული როლის შესახებ კონცეფციების ძიებას, ყოველ შემთხვევაში პოსტსაბჭოთა სივრცეში. რუსეთის იმპერიული ამბიციების თეორიულ დასაბუთებად წარმატებით შეიძლება ე. წ. „ევრაზიიზმის“ იდეების გამოყენება, რომლებმაც პოსტსაბჭოთა პერიოდში „მეორე სიცოცხლე“ შეიძინა.

- ფაქტობრივად დისკუსია იმის თაობაზე, რომ კომპრომისი მოიძებნოს ევრაზიისა და იმ ტერიტორიის სწორ გეოგრაფიულ განსაზღვრებას შორის, რომელზეც რუსეთის კონტროლი ვრცელდება, ამონურული არ არის. თავისი ხასიათით რუსული გეოპოლიტიკური სკოლის ევრაზიისტული მიმდინარეობა ხელს უწყობს რუსეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული იმპერიული ამბიციების გამართლებას – იბატონოს ევრაზიის გეოგრაფიული კონტინენტის ცენტრში.

- მართალია, რუსეთში ევრაზიიზმის მომხრენი ხელისუფლების სათავეში არ არიან, მაგრამ ელცინის პერიოდისაგან განსხვავებით, თანამედროვე ევრაზიისტები პუტინის ოფიციალური თავიდანვე უფრო მიმზიდველები გახდნენ და შედეგად ევრაზიიზმი რუსეთის პოლიტიკურმა სპექტრმა მალე აიყვანა გაბატონებული იდეოლოგიის დონემდე.

- საეჭვოა რუსეთმა შეძლოს გაბატონება პოსტსაბჭოთა სივრცეში და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სივრცეში გაჩენილ სხვა „მოთამაშეებს“ ბევრად მეტი ეკონომიკური, საინფორმაციო და სამხედრო რესურსები აქვთ, არამედ, უწინარესად, იმის გამო, რომ რუსეთის პოლიტიკური ელიტა არ არის დაინტერესებული უზრუნველყოს და განამტკიცოს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სახელმწიფო სუვერენიტეტი. ცენტრალურ კავკასიაში რუსეთის თანამედროვე პოლიტიკა, სამწუხაროდ, ემყარება არა იმ გარემოების გაგებას, რომ რუსეთისათვის უფრო ხელსაყრელია საქმე ჰქონდეს ცენტრალური კავკასიის ერთიან, მთლიან და სტაბილურ ქვეყნებთან, არამედ პრაქტიკულად ემთხვევა ევრაზიისტულ მიდგომას კონფლიქტური რეგიონებისა და სტრატეგიული პარტნიორებისადმი. განვლილი ოცი წლის განმავლობაში ცენტრალური აზიის ქვეყნებმა, მხოლოდ საკუთარი

ინტერესებიდან გამომდინარე, ისწავლეს ლავირება იმ სხვადასხვა ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან თავიანთი ინტერესების განხორციელებაში.

- გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ცივი ომი დასრულდა და ახალი რუსეთი შეუქცევადად დაადგა ცივილიზებულ სამყაროსთან თანამშრომლობის, დემოკრატიული გარდაქმნებისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის გზას. ეს შთაბეჭდილება ჯერ კიდევ გორბაჩოვის ეპოქაში შეიქმნა, შემდეგ კი ელცინის პრეზიდენტობის დროს განმტკიცდა. მაგრამ 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი მოწმობს, რომ ცივი ომის დასრულება ეს რეალობა კი არა, უფრო დასავლეთის მიერ რეალობად მიღებული დასავლეთისავე სურვილია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ილუზიაა. ამ ილუზიას განაპირობებდა ის, რომ მომაკვდავი საბჭოთა კავშირი და მისი სამართალმემკვიდრე – ახლად შექმნილი რუსეთის სახელმწიფო პოლიტიკურად და ეკონომიკურად იმდენად იყვნენ დასუსტებულნი, რომ დასავლეთისგან ეკონომიკური დახმარების მიღების სურვილმა მოსკოვი აიძულა დასავლეთისკენ, დასავლური ფასეულობებისკენ შებრუნებულიყო. იმავდროულად, რუსეთში ნოსტალგია დაკარგულ იმპერიაზე ძლიერდებოდა.

- რუსეთში ცენტრალური კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებზე შედარებით სალი შეხედულებაც კი არ გამოიციხავს რეგიონის თუნდაც ზოგიერთი ქვეყნისათვის რუსეთის ინტერესების თავს მოხვევის ერთგვარ „რბილ“ ვარიანტს – იმის მიუხედავად, შეესაბამება თუ არა ეს თავად ამ ქვეყნების ინტერესებს. თუ მოსკოვისათვის დამახასიათებელია მსჯელობა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან რუსეთის ისტორიულ, ფსიქოლოგიურ და სხვა კავშირებზე, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის პრინციპულად მიუღებელია ნებისმიერი თეორია ამ რესპუბლიკების „რბილი“ ან „შეზღუდული“ სუვერენიტეტის სულისკვეთებით. ამასთან, ამერიკელებს მიაჩნიათ, რომ რუსეთი დაინტერესებული უნდა იყოს უფრო განვითარებული მეზობლებით, უფრო სტაბილური გარემოცვით.

„ღერძული რეგიონის“ ევოლუციასთან დაკავშირებით

- XXI საუკუნის დამდეგს შექმნილმა გეოპოლიტიკურმა სიტუაციამ ახალი სტიმული მისცა მთელი ევრაზიის მატერიკის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური სივრცის რეგიონალური სტრუქტურის რეორგანიზაციის პრინციპების გამოკვლევას. ამასთან დაკავშირებით კვლავ განსაკუთრებულ აქტუალურობას იძენს ჰალფორდ მაკინდერის, შემდეგ კი ნიკოლას სპაიკმენის მიერ წამოყენებული კონცეფციები.

- „ღერძული რეგიონის“ სივრცის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია აშკარად იძლევა იმის დასკვნის შესაძლებლობას, რომ პერმანენტულად იცვლება მისი სივრცობრივ-ფუნქციური პარამეტრები. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში „ღერძული რეგიონი“ ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა ამა თუ იმ იმპერიული სისტემის ფარგლებში, რომელთა დაშლის შემდეგ, როგორც წესი, დროის გამძლე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები წარმოიქმნებოდა.

- ცენტრალური ევრაზია შედგება სამი სეგმენტისაგან: ცენტრალური ევროპა, ცენტრალური კავკასია და ცენტრალური აზია. ცენტრალური ევრაზიის ადგილისა და როლის ამგვარი გაგება შესაძლებელს ხდის „ღერძული რეგიონის“ მთლიანობა შეივსოს „დაკლებული ელემენტით“ – ცენტრალური ევროპით.

- თანამედროვე პერიოდში კაცობრიობის გლობალური განთავსების განვითარების მისაღწევად „ღერძული რეგიონის“ ჩამოყალიბებისას უპირატესად უნდა გამოვიყენოთ თავსებადობის, ურთიერთშევესებისა და თვითორგანიზაციის პრინციპები. როგორც ცენტრალური ევრაზიის მრავალსაუკუნოვანი ისტორია მოწმობს, ეს განპირობებულია იმით, რომ პერიოდებში, როცა „ჰართლენდი“ ყალიბდებოდა უპირატესად ეთნოკონფესიური თუ პოლიტიკურ-იდეოლოგიური პრინციპით და, შესაბამისად, ფუნქციონირებდა დაპყრობილი არეალის დანარჩენ ხალხებზე სატიტულო ერის ბატონობის პრინციპით, საბოლოო ანგარიშით, ევრაზიულ

იმპერიათა დაშლა და, შესაბამისად, „ჰართლენდის“, როგორც ერთიანი, მთლიანი გეოპოლიტიკური სივრცის ცალკეულ სეგმენტებად დანაწევრება ხდებოდა. ამით ირღვეოდა ჩამოყალიბებული ობიექტური ურთიერთკავშირი ევრაზიის მთელი მატერიკის ძირითად რეგიონებს შორის.

- „ღერძული რეგიონის“ ფარგლებში არსებული გარკვეული ინტეგრაციული პოტენციალი ემყარება სწორედ ცენტრალური ევრაზიის ხალხების საერთო-ისტორიულ წარსულს, რომლებიც ერთად იყვნენ ყველა ევრაზიულ იმპერიაში, მათ ხანგრძლივ თანაარსებობას და ეთნიკურ შერევას. ბუნებრივია, ამან განაპირობა უცილობელი სიახლოვე კულტურული, ენობრივი, ეკონომიკური და ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

„ცენტრალური კავკაზიის“ კონცეფციასთან დაკავშირებით

- რეგიონს, რომელიც მოიცავს ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას ერთად, შეიძლება ვუწოდოთ ცენტრალური კავკაზია (Central Caucaso-Asia): ამ შემთხვევაში შენარჩუნდება სიტყვა „ცენტრალური“, რომელიც დამახასიათებელი, საკვანძოა ორივე ქვერეგიონისათვის, ხოლო სიტყვა „კავკაზია“ წარმოებულია ორი სიტყვისგან „კავკასია“ და „აზია“. პოლიტიკური თუ კულტურული ჰომოგენურობის არარსებობის გამო ცენტრალური კავკაზია არ არის ინტეგრირებული. ამასთან, მოცემულ რეგიონში შემავალ ქვეყნებს ბევრი საერთო აქვთ, რაც საინტერესოა საიმისოდ, რომ ისინი ერთიანი რეგიონის ფარგლებში განვიხილოთ.

- დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ ცენტრალურ კავკასიას და ცენტრალურ აზიას, ანუ „ცენტრალურ კავკაზიას“, შეუძლიათ სრული მოცულობით აამოქმედონ პოტენციური შესაძლებლობები, რომლებიც ჩადებულია მათ ურთიერთშეჯახების უნარში: ცენტრალურ კავკასიას შეუძლია იმ „ხიდის“ ფუნქცია შეასრულოს, რომელიც გახსნის დასავლეთისათვის დახურულ ცენტრალურ აზიას. გულუბრყვილობა იქნება იმის ფიქრი, რომ

როგორც მსოფლიო, ისე რეგიონალური დიდი სახელმწიფოები თავს დაანებებენ ცენტრალური კავკაზიის ქვეყნებს და ისინი შეძლებენ თავისუფალი რეჟიმით განვითარებას. სინამდვილეში სიტუაცია ბევრად უფრო რთულია, რის გამოც ამ ქვეყნებმა არჩევანი უნდა გააკეთონ იმის გათვალისწინებით, თუ ამა თუ იმ დიდი სახელმწიფოს რომელი მისწრაფებები და მოქმედება შეესაბამება უმეტესად მათ ეროვნულ ინტერესებს.

- სამეცნიერო ხმარებაში „ცენტრალური კავკაზიის“ ცნების შემოღება ეს განსახილველი რეგიონის გეოგრაფიული იდენტიფიკაციის არა მხოლოდ დაზუსტებაა, არამედ რეგიონის ქვეყნების სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცების ინტერესების კონცეფციური ხედვაა, რომელიც საფუძველშივე ეწინააღმდეგება ევრაზიის სულისკვეთებასა და იდეებს.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ XXI საუკუნის პირველ მეოთხედში მსოფლიო გაერთიანების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ცენტრალური ევრაზიის სეგმენტებს, ანუ ცენტრალური ევროპის, ცენტრალური კავკასიის და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის სისტემური კავშირ-ურთიერთობის დამყარება სოციალურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის, თვითორგანიზაციისა და თვითმმართველობის პრინციპების საფუძველზე.

ცენტრალური ევრაზიის სახელმწიფოთა ერთობლივი განვითარების ობიექტური კანონზომიერებების შესახებ საუბრისას ასევე მნიშვნელოვანია ზუსტად განისაზღვროს წინააღმდეგობანი ერთი სეგმენტის სახელმწიფოებს შორის და სეგმენტებს შორის, რათა გამოინახოს მათი დაძლევის უმოკლესი გზები. გარკვეულ შემთხვევებში ცენტრალური ევრაზიის სხვადასხვა სეგმენტის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის მოცულობა და დონე უფრო მაღალია, ვიდრე ერთი და იმავე სეგმენტის სახელმწიფოთა შორის. მაგალითად, ცენტრალური კავკასიის აზერბაიჯანისა და ცენტრალური აზიის ყაზახეთის თანამშრომლობის დონე ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ცენტრალურ აზიაში მის მეზობელ თურქმენეთთან ურთიერთობის დონე. მეორე მხრივ აზერბაიჯანს

სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს ცენტრალური ევროპის უკრაინასთან, მეორე მხრივ კი საომარ პირობებშია ცენტრალური კავკასიის მეორე ქვეყანასთან – სომხეთთან.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ცენტრალურ ევრაზიაში ინტეგრაციულ პროცესს, უნდა გამოვყოთ ყოველი სეგმენტის „მანიცირებელი ბირთვი“. ეს ნიშნავს ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით ყველაზე განვითარებული ქვეყნების ჯგუფის გამოყოფას, რომლებიც ყოველ სეგმენტში ინტეგრაციული პროცესების ქვაკუთხედს წარმოადგენენ და მთელ ცენტრალურ ევრაზიაში ინტეგრაციულ პროცესებს შეუწყობენ ხელს. ამგვარ ჯგუფს წარმოადგენენ ცენტრალური ევრაზიის შემდეგი ქვეყნები: უკრაინა – ცენტრალური ევროპის სეგმენტში, აზერბაიჯანი და საქართველო – ცენტრალური კავკასიის სეგმენტში და ყაზახეთი – ცენტრალური აზიის სეგმენტში. ამ ქვეყნებმა ხელი უნდა შეუწყონ რეგიონსშიგა და რეგიონთაშორის წინააღმდეგობათა აღმოფხვრას მთელ ცენტრალურ ევრაზიაში თანამშრომლობის ყველაზე ეფექტიანი გზების გამოსაძებნად. გარკვეული სკეპტიციზმის მიუხედავად, ცენტრალურ ევრაზიაში სწორედ ამ კონტექსტით შეიძლება შეიქმნას ინტეგრირებული და შეუფერხებლად ფუნქციონირებადი ეკონომიკური სისტემა. ნაკლებად სარწმუნოა, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდეს, რადგან სამი აღნიშნული სეგმენტის „მანიცირებელი ბირთვი“ ეს-ესაა იწყებს „ჰართლენდის“ ეკონომიკურ და პოლიტიკურ აქტიურობაზე ზემოქმედებას.

ცენტრალური ევრაზიისათვის მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი მისი გლობალური (გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური) ფუნქციების გრძელვადიანი, მყარი და ეფექტიანი შესრულება: ევრაზიის კონტინენტის შედარებით იზოლირებული, მაგრამ მსხვილი არეალების ინტეგრირება, რომელთა დამოუკიდებელი განვითარება, რუსეთის ევრაზიიზმის ტრადიციის თანახმად, უარყოფილია.

გამოყენებული ლიტერატურა

აბაშიძე, ზურაბ, 2009. *ცივი ომი – წარსული თუ დღევანდელი* თბილისი: სეზანი.

ასმუსი, რონალდ დ., 2010. *მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა: საქართველო, რუსეთი და დასავლეთის მომავალი*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გამყრელიძე, თამაზ, 1999. საქართველო ევროპაა თუ აზია? *საქართველოს რესპუბლიკა*, 26 ივნისი.

გამყრელიძე, თამაზ, 2001. საქართველო ევროპაა თუ აზია? *ACADEMIA*, ტ. 1, გვ. 3-8.

გამყრელიძე, თამაზ, 2008. „ტრანსკავკასია“ თუ „სამხრეთ კავკასია“? (გეოპოლიტიკური ნომენკლატურის დაზუსტებისათვის). წიგნში: *თამაზ გამყრელიძე. ენა და ენობრივი ნიშანი*. თბილისი: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, გვ. 169-171.

გაჩეჩილაძე, რევაზ, 2008. *ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა*. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

გეგეშიძე, არჩილ, 1997. *გეოპოლიტიკა*. თბილისი: ESM-თბილისი.

გრიგალაშვილი, სულიკო, 2007. *გეოპოლიტიკა*. თბილისი.

ისმაილოვი, ელდარ, და ვლადიმერ პაპავა, 2007. *ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები*. თბილისი: დიოგენე.

კვინიკაძე, გიორგი, 2008. *გეოეკონომიკა*. თბილისი: „უნივერსალი“.

მეტრეველი, როინ, 2007. *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში*. თბილისი: არტანუჯი.

პაპავა, ვლადიმერ, 2008. „ჰაბი“-ს ცნება და მისი გამოყენება ცენტრალური კავკასიის ქვეყნებისათვის. წიგნში: *პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული*. რედაქტორი რამაზ აბესაძე. თბილისი: „პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა“, გვ. 19-27.

პაპავა, ვლადიმერ, 2009. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკონომიური ნარკვევი. თბილისი: „სიახლე“.

პაპავა, ვლადიმერ, და თამარ თაფლაძე, 2009. „ლიბერალური იმპერიის“ რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება. *ეკონომისტი*, № 1, გვ. 23-26.

რონდელი, ალექსანდრე, 2003. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში. თბილისი: „მეცნიერება“.

რონდელი, ალექსანდრე, 2006. საერთაშორისო ურთიერთობები. თბილისი: „ნეკერი“.

სივილ ჯეორჯია, 2008ა. პარლამენტმა დსთ-დან გამოსვლას დაუჭირა მხარი. – სააკაშვილი. *Civil.Ge*, 14 აგვისტო, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19145&search=dsT>.

სივილ ჯეორჯია, 2008ბ. საქართველო ტოვებს დსთ-ს – სააკაშვილი. *Civil.Ge*, 12 აგვისტო, <http://www.civil.ge/geo/article.php?id=19096&search=dsT>.

ჩიტაძე, ნიკა, 2008. გეოპოლიტიკა. თბილისი: „მაჯენტა პრინტი“.

ჩხეიძე, პაატა, 2010. საით? *ჩვენი მწერლობა*, 2 აპრილი.

ხადური, ნოდარ, 2008. საქართველოს ეკონომიკა და რუსეთის „ლიბერალური“ იმპერია. წიგნში: *ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები თანამედროვე ეტაპზე. საქართველოს ეკონომისტთა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მასალების კრებული*. თბილისი, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 35-38.

ჯავახიშვილი, რევაზ, 2008. ეკონომიკური ინტეგრაციის ძირითადი პრობლემები ცენტრალურ კავკასიაში. წიგნში: *პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული*. რედაქტორი რამაზ აბესაძე. თბილისი: პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა, გვ. 105-111.

Adalian, Rouben Paul, 1995. Armenia's Foreign Policy: Defining Priorities and Coping with Conflict. In *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*, eds. Adeed Dawisha, and Karen Dawisha. Armonk: M.E. Sharpe, pp. 309-339.

Adams, Laura, 2008. Can We Apply Postcolonial Theory to Central Eurasia? *Central Eurasian Studies Review*, Vol. 7, No. 1, pp. 2-7, available at http://www.cesr-cess.org/pdf/CESR_07_1.pdf.

Ahmadian, Bahram Amir, 1998. Caucasus: Geopolitical Buffer Region (A New Concept for Development). *Caucasica. The Journal of Caucasian Studies*, Vol. 2, pp. 24-35.

Ahrari, Ehsan, 2003. The Strategic Future of Central Asia: A View from Washington. *Journal of International Affairs*, Vol. 56, No. 2, pp. 164-165.

Aktürk, Şener, 2006. Reflections on Central Eurasian Model: A Foundation Reply to Barfield on the Historiography of Ethno-Nationalisms. *Central Eurasian Studies Review*, No. 5, No. 2, pp. 19-25.

Alieva, Leila, 1995. The Institutions, Orientations, and Conduct of Foreign Policy in Post-Soviet Azerbaijan. In *The Making of Foreign Policy in Russia and The New States of Eurasia*, eds. Adeed Dawisha, and Karen Dawisha. Armonk: M.E. Sharpe, pp. 286-308.

Alkhazashvili, Malkhaz, 2006. Armenia-Azerbaijan: Trade Relations via Georgia. *The Messenger*, January 24, No. 015 (1035), p. 3.

Allison, Roy, 2008. Russia Resurgent? Moscow's Campaign to 'Coerce Georgia to Peace.' *International Affairs*, Vol. 84, No. 6, pp. 1145-1171.

Amineh, Mehdi Parvizi, and Henk Houweling, 2005. Introduction: The Crisis in IR-Theory: Towards a Critical Geopolitics Approach. In *Central Eurasia in Global Politics: Conflict, Security and Development*, eds. Mehdi Parvizi Amineh, and Henk Houweling. Leiden: Brill, pp. 1-21.

Amsden, Alice H., 2007. *Escape from Empire: The Developing World's Journey Through Heaven and Hell*. Cambridge: The MIT Press.

